პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- ფაშისტების გამოსვლა ბერლინში. — ებრაელების დარბევა
- გაიხსნა ინგლისის პროფმოძრაობის უმცირესობის ყრილობა
- ვარშავის პოლიციის რეპრესიები ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მოახლოებასთან დაკავშირებით
- შეტაკება პოლიციასა და გაფიცულ ფეიქრებს შორის კალკუტაში (ინდოეთი)
- ლიტვის ნოტა ერთა ლიგას პოლონეთის ინტრიგების გამო
- არეულობა პალესტინაში. — შეტაკებები არაბებსა და ებრაელებს შორის
- დასრულდა პიონერთა საკავშირო შეკრება

სამშაბათი, 27 აგვისტო 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 196 (2542)

დღეს, აგვისტოს 27-ს საღ. 7 ს. მთავრობის სასახლეში

შესდგება

საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს მორიგი სხდომა

საქართველოს სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართველი
პ. მეგრელიშვილი.

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა სექტემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს მდგომარეობა

(პურის დამზადების კამპანიის გამო)

პურის ახალი მოსავალი თითქმის ყველგან აღებულია. ამასთან დაკავშირებით მთელი თავისი სიმწვავით ისმება საკითხი პურის დამზადების კამპანიის გაჩაღების შესახებ. ჩვენი მიზანია ყოველი ზომები მივიღოთ სოფლად არსებულ ზედმეტი პურის დაგროვებისათვის სახელმწიფოს ხელში და მის მიზანშეწონილად განაწილებისათვის მოსახლეობაში. იმ სიძნელეების გამო, რომელთაც სხვადასხვა ობიექტიურ მიზეზებით ადგილი აქვთ პურის მომარაგება-განაწილების საქმეში, განსაკუთრებული ღონისძიებათა მიღება გვმართებს, რომ მაქსიმალურად ამოვწუროთ ყველა ადგილობრივი შესაძლებლობანი პურის დამზადების დარგში. მთავარი ისაა, რომ პარტიული, კოოპერატიული, სახელმწიფო-სავაჭრო და სხვა ორგანიზაციები გაიმსჭვალონ ამ მორიგი კამპანიის უაღრესი მნიშვნელობის შეგნებით. ენერგიული ბრძოლა უნდა გამოეცხადოს გულგრილობას, რომელსაც ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაცია იჩენს პურის დამზადების საქმისადმი. ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევითვისოთ ის აზრი, რომ მარტო მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოზიდულ პურის იმედით ყოფნა არ შეიძლება. ჩვენში არის ადგილობრივი პურის დამზადების მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი და ისინი რაც შეიძლება სრულად უნდა იქნან გამოყენებული.

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება პურის დამზადების საქმეში, — ესაა ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის ფართოდ და აქტიურად დარაზმვა ამ ამოცანის გატარების ირგვლივ. თავისთავად ცხადია, კულაკობა, ჩარჩ-სპეკულიანტები და ყველა ჯურის სხვა ანტი საბჭოთა ელემენტები არავითარ საშუალებას წინაშე არ დაიხევენ, რომ ჩაშალონ პურის დამზადების საქმე. მაგრამ ჩვენ უნდა შევქმნათ სოფლად ისეთი პირობები, რომ ამ ელემენტების მავნე ცდებს გასავალი არ დაურჩეს. ღარიბ და საშუალო გლეხობამ თავის საზოგადოებრივ ზეგავლენის სალტეში უნდა მოაქციოს კულაკობა და უნდა აიძულოს ისინი დროზე და სრულად ჩააბარონ პური დამამზადებელ ორგანოებს.

ამავე დროს ყოველი ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ ძირშივე ჩავკლათ კერძო ვაჭრის მავნებლობა პურის დამზადების საქმეში. როგორც ვიცით, კერძო ვაჭარი პურის ბაზარზე შედარებით უფრო მეტ აქტიობას იჩენს. მას ამ შემთხვევაში მოკავშირეც ჰყავს — ესაა კულაკობა, რომელიც ჩარჩ-სპეკულიანტებთან ერთად მთლიანი ფრონტით გამოდის პურის დამამზადებელ ორგანოების წინააღმდეგ. ჩარჩ-სპეკულიანტების მავნებლობის აღსაკვეთად მტკიცედ და სრულად უნდა იქნას გამოყენებული ყველა ის ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მიცემულ დირექტივებში: პურის გადამყიდველნი და პურით სპეკულიაციის გამწევნი უნდა დაჯარიმებულ იქნან, აშკარად მტრულ და გაუსწორებელ სპეკულიანტებს უნდა ჩამოერთვას პური კონფისკაციის წესით, რასაც აგრეთვე ითვალისწინებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი თავის დირექტივებში პურის დამზადების შესახებ; ამასთან ერთად სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული ისინი, ვინც შეეცდება პურის დამზადებისათვის ხელის შეშლას დაწესებულ მტკიცე ფასების დარღვევის მიზნით.

პურის დამზადების წარმატებით ჩატარების ერთად-ერთ პირობას წარმოადგენს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათა აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში. სამწუხაროდ არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი სათანადო ენერგიულ მონაწილეობას იღებენ პურის დამზადებაში. მთელი ზედმეტი პურის ჩაბარებით მათ მაგალითი უნდა მისცენ სხვებს. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები უნდა გადაიქცნენ ღარიბ და საშუალო გლეხობის წინამძღოლ ორგანიზაციებად პურის დამზადების საქმეშიაც. დღემდე არსებული მდგომარეობა მოსათმენი არაა. საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ხასიათის ღონისძიებების მიღება იმისათვის, რომ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის საქმიანობაში შესაფერი გარდატეხა მოხდეს ამ მიმართულებით.

ადგილობრივი ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების გამოყენებას პურის დამზადების კამპანიაში. ამავე დროს უდავოა, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას ამ შემთხვევაშიც უდიდესი სარგებლობის მოცემა შეუძლია. ცალკე რაიონებმა, სოფლებმა, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებმა, დამამზადებელ ორგანოებმა და თვითეულ გლეხმა უნდა გამოიწვიოს ერთმანეთი შეჯიბრებაში: ვინ უფრო ადრე და უკლებლივ ჩააბარებს პურს დამამზადებელ ორგანოს, რომელი რაიონი ან სოფელი უფრო მეტი რაოდენობით და უფრო ჩქარა დაამზადებს პურს, სად უფრო მტკიცედ იქნება დაცული ფასების პოლიტიკა და სხ. აი ის საკითხები, რომელთა ირგვლივაც უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება პურის დამზადების საქმეში.

ის, რაც დღემდე გაკეთდა პურის დამზადების ორგანიზაციისათვის, სრულიადაც საკმაო არ არის. მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციები, სადაც დამზადება მიმდინარეობს, ჯერ კიდევ ვერ იჩენენ საჭირო ინტერესს ამ საქმისადმი. დრო კი არ ითმენს. ჩარჩ-სპეკულიანტები და კულაკობა სარგებლობენ თვითეულ ჩვენ მიერ დაკარგული დღით. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. პარტია და ხელისუფლება მოითხოვს ყოველგვარ შესაძლებლობათა ამოწურვას პურის დამზადების წარმატებით ჩატარებისათვის. ამ მოთხოვნის სრულად და ურყევლად შესრულების პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კოოპერატიულ-სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებს. დაუყოვნებლივ და მთელი ენერგიით გავაცხოველოთ პურის დამზადება.

ჰააგაში ამაოდ ცდილობენ შეთანხმების მიღწევას

სნოუდენმა კვლავ უარჰყო ოთხ სახელმწიფოს ახალი წინადადებები

გერმანია კატეგორიულად აცხადებს უარს ახალი ვალდებულებების მიღებაზე

4 სახელმწიფოს ახალი წინადადება

პარიჟი, 25 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ოთხი სახელმწიფოს—საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის და იაპონიის დელეგატებმა, რომლებიც ჰააგის კონფერენციის საფინანსო კომისიაში მუშაობდნენ, დაამთავრეს იმ მემორანდუმის ტექსტის შემუშავება, რომელშიაც ჩამოყალიბებულია სნოუდენისადმი წაყენებული წინადადებანი. ეს წინადადებანი ინგლისის მოთხოვნას აკმაყოფილებენ 50 პროცენტით და იუნგის გეგმასთან შედარებით ადიდებენ რეპარაციის იმ ყოველწლიურ ნაწილს, რომელიც ინგლისს უნდა მიეცეს. მემორანდუმის ჩაბარების შემდეგ დელეგატები წინადადებას მისცემენ სნოუდენს განაცხადოს—რას გააკეთებს თავის მხრით ინგლისი იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას საერთო თანხმობა იუნგის გეგმის განხორციელების საკითხში. კონფერენციის წრეებში აღნიშნავენ, რომ თუ სნოუდენი არ გაიზიარებს ახალ წინადადებებს, კონფერენციას შეუძლია ინგლისის შეურიგებლობა აღიაროს კონფერენციის ჩაშლის მიზეზად.

სნოუდენი არ სცვლის პოზიციას

ჰააგა, 25 აგვისტო. მთელი კვირა დღე გაგრძელდა მოლაპარაკება. მოლაპარაკების მიზანი იყო რაიმე კომპრომისის გამოძებნა და ჰააგის კონფერენციის სრული დამარცხების თავიდან აცილება.

ინგლისის დელეგაცია განაგრძობს თავის მოთხოვნილებათა დაცვას, მაგრამ ერიდება ისეთ ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია მოლაპარაკების ჩაშლა გამოიწვიოს. საფრანგეთის დელეგაციაც ცდილობს შეთანხმების მიღწევას იუნგის გეგმის მიღების საკითხში. საფრანგეთის წრეებს ეგონათ, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები ამა თუ იმ სახით ჩაერეოდა მოლაპარაკებაში და იქონიებდა ზეგავლენას ინგლისზე. მაგრამ ამერიკელები დღეინებით განაგრძობენ განზე დგომას და ამიტომ საფრანგეთის დელეგაცია თანდათან დათმობის გზას ადგება ინგლისის მიმართ.

შეთანხმებისაკენ მიისწრაფვის აგრეთვე გერმანიის დელეგაციაც, რომელსაც სურს ჩაიტანოს ბერლინში გადაწყვეტილება გერმანიის სასარგებლოდ ორი ძირითადი საკითხის შესახებ. მას სურს პირველი, რომ 1 სექტემბრის გადასახადები შეიცვალოს იუნგის გეგმით გათვალისწინებული გადასახადებით და მეორე — მიღებულ იქნას რაიმე განსაზღვრული დადგენილება რეინის ოლქის ოკუპაციის საკითხზე.

ხელმძღვანელი დელეგაციების ასეთ განწყობილების გამო მოლაპარაკება გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ სნოუდენი ერთი მეორეზე იწუნებს წინადადებებს.

ყველაზე მეტ სიძნელეს ჰქმნის ინგლისის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ რეპარაციის ის ნაწილი, რომელიც ინგლისს ეთმობა, არ იყოს იმაზე ნაკლები, რაც მას ერგებოდა სპაში დაწესებული განაწილების მიხედვით, ე. ი. საქმე ეხება იუნგის გეგმით გათვალისწინებულ ინგლისის ნაწილის გადიდებას 48 მილიონი მარკით. ამავე დროს მოლაპარაკება რეინის ოლქის საკითხის შესახებ. გერმანიის დელეგაცია დათმობაზე მიდის რეინის ოლქის მუდმივი კონტროლის საქმეში. (ადს).

სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ.

ჰააგა, 25 აგვისტო. ინგლისის დელეგაციამ არ მიიღო ოთხი სახელმწიფოს (საფრანგეთი, იტალია, ბელგია და იაპონია) ახალი წინადადება, რომლითაც ისინი ინგლისს 32 მილიონ მარკით უდიდებდნენ გერმანიისაგან მისაღებ გადასახადს. სნოუდენი მოითხოვს 48 მილიონს. გერმანელები აცხადებენ, რომ გერმანია არ კისრულობს პასუხისმგებლობას იმ წინადადებათა შესახებ, რომლებსაც ინგლისს გერმანიის ხარჯზე სთავაზობენო. (ადს).

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

ნანკინის მთავრობა უხერხულ მდგომარეობაშია

ტოკიო, 25 აგვისტო. „ნიცი-ნიცი“-ს პეიპინელი კორესპონდენტის ცნობით, ნანკინის მთავრობამ, რომლის მდგომარეობაც, საბჭოთა კავშირთან ჩამოვარდნილ კონფლიქტის გამო, უფრო და უფრო მძიმე ხდება, გადასწყვიტა სთხოვოს „ზოგიერთ სახელმწიფოს“ — იკისრონ შუამდგომლობა. (ადს).

ნანკინი ცდილობს იაპონიასთან შეთანხმებას

ტოკიო, 25 აგვისტო. როგორც სიმბუნრენგოს სააგენტო შანხაიდან იუწყება, ჩანჩი- იაპონიაში მიემგზავრება „იმ მიზნით, რომ შეთანხმდეს იაპონიის მთავრობასთან ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის საკითხში“

ნანკინის არა გულწრფელი საქციელი

თეირანი, 25 აგვისტო. „ირან“-ი აღნიშნავს ნანკინის მთავრობის არა გულწრფელ საქციელს, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან თავი მოარიდა კონფლიქტის სამართლიან გადაჭრას და მიმართა საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმების გზას (ადს).

საბჭოთა ახალგაზრდობის გაბედული საქმე ხარბინში

ტოკიო, 25 აგვისტო. ხარბინიდან მიღებული ცნობით, 25 აგვისტოს საბჭოთა ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი შევიდა იქ, სადაც ინახებოდა თეთრგვარდიელთა გაზეთის „ფაშისტ“-ის ახლად დაბეჭდილი პირველი ნომრის რამდენიმე ათასი ცალი. თავდამსხმელები მოდარაჯე ფაშისტებს წარუდგნენ, როგორც ფაშისტთა მებრძოლი ჯგუფის წარმომადგენლები, შემდეგ წაიღეს პაჩეთის ყველა ეგზემპლიარი და გაანადგურეს. ფაშისტები განცვიფრებულნი არიან ამ გაბედული საქციელით (ადს).

მატარებლის გადავარდნა

ტოკიო, 25 აგვისტო. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის სადგურებზე კვლავ მოხდა მატარებლების დაჯახება და ორთქლმავლების აფეთქება. ამ შემთხვევების დროს დაზარალ- (ადს).

გაურბიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზით მოგზაურობას

ტოკიო, 25 აგვისტო. რადგან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე გახშირდა უბედური შემთხვევები და მგზავრები გაურბიან ამ გზით სიარულს, რკინის გზის სამმართველოს განზრახვა აქვს შესწყვიტოს მოძრაობა ზოგიერთ უბანში (ადს).

შტობე დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეებთან

ხარბინი, 25 აგვისტო. გერმანიის კონსულმა შტობემ ინახულა ხარბინის საპყრობილეში მყოფი 58 პატიმარი საბჭოთა მოქალაქენი, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის სტამბის მუშები. (ადს).

თეთრგვარდიელებმა სცადეს საბჭოთა კავშირის საზღვარზე გადმოსვლა.

ხაბაროვსკი, 26 აგვისტო. ბაქან ლასტოჩკას და გუბეროვოს რაიონში თეთრგვარდიელთა მცირე ბანდებმა ისარგებლეს წვიმიანი ამინდით და ორ ადგილას გადმოვიდნენ ჩვენს საზღვარზე დაზვერვის მიზნით. მაგრამ ბანდები წააწყდნენ რკინისგზელებს და სასწრაფოდ შეაფარეს თავი ჩინეთის ტერიტორიას.

ინგლისის პროფმოძრაობის უმცირესობის ყრილობა

ლაპარაკობენ ნამდვილი მუშები

ლონდონი, 25 აგვისტო. აქ გაიხსნა ინგლისის პროფკავშირთა უმცირესობის ეროვნული მოძრაობის მეექვსე წლიური ყრილობა.

ყრილობის თავისებურებას შეადგენს ის, რომ ყრილობის დელეგატთა დიდი ნაწილი უშუალოდ ფაბრიკებისა და ქარხნების მიერ არიან გაგზავნილი.

ყრილობა გაიხსნა ინგლისის მუშათა მოძრაობის ვეტერანის—ტომ მანის სიტყვით. (ადს).

ლონდონი, 25 აგვისტო. უმცირესობის მოძრაობის კონფერენციამ დაადგინა—გაუგზავნოს მისალმება გასტონიის გაფიცვის მონაწილეებს და მირუთის პატიმრებს. კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს—მოაწყონ ადგილებზე კამპანია ინდოეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა განთავისუფლების სასარგებლოდ. შემდეგ მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც გამოიტანა სამედიატორო კომისიამ საფეიქრო კონფლიქტის შესახებ. მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლიუციები იმპერიალიზმის საკითხის შესახებ. ამ საკითხის გამო გამსვლელმა ორატორებმა საჭიროდ სცნეს მჭიდრო კავშირის დამყარება ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშებს შორის. ისინი სიხარულით ეგებებოდნენ იმ წინადადებას, რომელიც მოითხოვს საქარხნო-საფაბრიკო დელეგაციის გაგზავნას საბჭოთა კავშირში.

პოლიტის რეზოლიუცია, რომელიც შეეხებოდა ომის მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ერთხმად იქნა მიღებული.

საბჭოთა პრ[illegible] წარმომადგენლის სიტყვა

საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლის—ციხონის გამოსვლას ყრილობა ტაშით და „ინტერნაციონალის“ სიმღერით შეხვდა. ციხონმა ყრილობას გადასცა საბჭოთა კავშირის იმ მუშების სალამი, რომლებიც მთელ თავიანთ ძალ ღონეს ახდომებენ სოციალიზმის მშენებლობას. მან სთქვა, რომ ეხლა ამოცანად დასახულია არა ის, თუ როგორ შესრულდეს ხუთწლიანი გეგმა, არამედ ის, თუ როგორ დაჩქარდეს მისი შესრულება.

დასასრულ ციხონმა აღნიშა ტაქტიკის გამოყენების საჭიროება, რომელიც პროფინტერნმა მიიღო 1929 წელს, კერძოდ მოქმედების კომიტეტების შექმნის საჭიროება საწარმოებში. ციხონის სიტყვა მრავალჯერ დაფარა ტაშმა.

ამ სიტყვის დამთავრების შემდეგ დელეგატებმა იმღერეს „ინტერნაციონალი“. შემდეგ კონფერენციამ განიხილა უმცირესობის მოძრაობის ამოცანები. კონფერენციამ აღიარა, რომ მოძრაობის შეცდომები გამომდინარეობენ პროფკავშირის ბიუროკრატიასთან კომპრომისის დამყარების ტენდენციიდანო (ადს).

შეერთებული შტატების მთავრობა აშკარავებს

გერმანიის მთავრობის კავშირს ყალბი საბუთების დამმზადებლებთან

[illegible] ყალბ ანტი-საბჭოთა საბუთების დამამზადებელთა შესახებ

ვაშინგტონი, 25 აგვისტო. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ ბერლინში საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა მოხსენება ანტისაბჭოთა ყალბი საბუთების დამამზადებლების ორლოვისა და პავლონოვსკის პროცესის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს მოხსენება გადაუგზავნა სენატორს ბორას, რომელმაც იგი გამოაქვეყნა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ გერმანიის ხელისუფლება „უშედეგოდ ცდილობდა იმ კავშირის დაფარვას, რომელიც მას დამნაშავეებთან ჰქონდა“. მოხსენება იმ დასკვნამდე მიდის, რომ ორლოვს „თავისუფლად შეუძლია განაგრძოს თავისი ბოროტი მოქმედებაო“.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორას გადაუგზავნა შემოკლებული მოხსენება და განაცხადა, რომ მთელი მოხსენების გამოქვეყნება მიზანშეუწონლად არ მიაჩნია.

ბორამ მოითხოვა მოხსენების მთელი ტექსტის გამოქვეყნება. ზოგიერთი გაზეთი ფიქრობს, რომ მთლიან მოხსენებაში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორი საერთაშორისო კავშირი ჰქონდათ გაბმული ყალბი საბუთების დამამზადებლებს. შეიძლება მოხსენება ფარდას ხდის აგრეთვე ერთი „საბუთის“ წარმოშობას და, მათ შორის, იმათ წარმოშობასაც, რომელთა შესახებაც იუზმა, საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს, განაცხადა, რომ ის ინფორმაცია, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაშია, საბჭოთა კავშირის ცნობის საშუალებას არ იძლევაო. (ადს).

ლატვიის მთავრობის ნოტა ერთალიგას

კოვნო, 25 აგვისტო. ლიტვის მთავრობამ ერთა ლიგას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მოყვანილია იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ პოლონეთი მონაწილეობას იღებს პლეშკაიტისების ორგანიზაციაში და ტერორისტული აქტების ჩადენაში ლიტვის ტერიტორიაზე.

ნორვეგიის მუშათა კონგრესი

ოსლო, 25 აგვისტო. გაიხსნა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის მიერ მოწვეული მუშათა კონგრესი, რომელიც წარმოადგენს 60.000 მუშას. კონგრესმა მიიღო მისალმება პროფინტერნისა და ინგლისის კომპარტიისაგან. კონგრესის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი კითხვები: საერთაშორისო მდგომარეობა, ომის საფრთხე, საბჭოთა კავშირის დაცვა, ნორვეგიის პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობა, პროლეტარიატის რევოლიუციონური მუშაობის ამოცანები.

პირველი საკითხის შესახებ მომხსენებელმა ფრიზმა კონგრესს გააცნო თეთრგვარდიელთა გამოსვლები შორეულ აღმოსავლეთში, იმპერიალისტების ფარული მოქმედება და ომის საფრთხის რეალური ხასიათი. ფრიზმა დაწვრილებით გააშუქა ნორვეგიის როლი საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბლოკში. დასასრულ ფრიზმა ჩამოსთვალა მუშათა კლასის რევოლიუციონური ამოცანები და საჭიროდ სცნო, საწარმოებში განსაკუთრებით სამხედრო ქარხნებში დაარსდეს მოქმედების კომიტეტები და მუშები მჭიდროდ დაუკავშირდნენ ჯარისკაცებსა და მატროსებს (ადს).

მემარჯვენეთა ცილისწამება პარტიის წინააღმდეგ

უკანასკნელი წლების განმავლობაში პარტია სწრაფი ნაბიჯით მიიმართება წინ და ამაგრებს თავის რიგებს რიცხვობრივად და ხარისხობრივად. ეს ადვილად გასაგებია. ჩვენ გვაქვს ფართოდ გაშლილ-განვითარებული სოციალისტური მშენებლობა. იზრდებიან და ძლიერდებიან მუშათა კლასის რიგები. დღითი-დღე დიდდება პროლეტარიატის ბრძოლის აქტივობა სოციალისტური მშენებლობისათვის და კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. თვით კრიტიკის გაშლა-განვითარება, სოციალისტური შეჯიბრების მეთოდები, სამეურნეო მშენებლობაში პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცება,—ყოველივე ეს ხელს უწყობს რეკონსტრუქციის პერიოდთან დაკავშირებულ სიძნელეთა წარმატებით დაძლევას. მუშათა კლასი მხურვალედ უჭერს მხარს პარტიის გენერალურ ხაზს და ჩვენს ბრძოლას ორ ფრონტზე, მეტადრე მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის ეხლანდელ პერიოდში ყველაზე უფრო საშიშია.

რასაკვირველია, უდიდეს წარმატებათა მიუხედავად, დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენში ყოველ ფრონტზე ყველაფერი რიგზეა და არაფერი დეფექტი არა გვაქვს. ეს, სულ ცოტა, ბიუროკრატიული თვითკმაყოფილება იქნებოდა. პარტიას კარგად ესმის ჩვენი გამძაფრებული მუშაობის სიძნელეები, იგი ითვალისწინებს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ჩვენს ქვეყანაში და კაპიტალისტური ელემენტების ცდას, რომ ჩაშალონ სოციალისტური შეტევის გეგმა. სწორედ ამიტომ ანვითარებს პარტია ასე გაბედულად თვითკრიტიკას, ამჟღავნებს არსებულ დეფექტებს ამა თუ იმ ორგანიზაციების, სამეურნეო, საბჭოთა, პროფესიონალური და პარტიული მშენებლობის ამა თუ იმ დარგების მუშაობაში და ულმობლად ამხელს ბიუროკრატებს, რომლებიც ცდილობენ მიაფუჩეჩონ ეს შეცდომები ან გამოასწორონ „შინაურულად“, მასების მონაწილეობის გარეშე.

ყოველგვარი შეცდომისა და დეფექტის გამომჟღავნება კი არ ასუსტებს ჩვენს ძალღონეს, არამედ, პირიქით, აძლიერებს ჩვენს მუშაობას, ამაგრებს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას. ყოველი შეცდომისა და დეფექტის გამომჟღავნება გაკვეთილად ადგება ყველა ორგანიზაციას. მასა ირაზმება ამა თუ იმ ორგანიზაციის პოლიტიკური შეცდომებისა და ბიუროკრატიული საქციელის წინააღმდეგ საბრძოლველად, იზრდება მასების გულის ყური და სიფხიზლე ბიუროკრატიზმთან და პროლეტარული ხაზის გამრუდებასთან ბრძოლის საქმეში.

სწორედ ამიტომ არ ეშინია ძლიერსა და მტკიცე პარტიას—მუშათა კლასის ავანგარდს და სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელს—გამოამჟღავნოს ის შეცდომები და დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვთ გაშლილი სოციალისტური ფრონტის ზოგიერთ ნაწილში. სწორედ ამიტომ ანვითარებს პარტია თამამად მასების კრიტიკას „პიროვნების განურჩევლად“. შარშან ისეთი „საქმეების“ გამოაშკარავებამ, როგორიც იყო შახტის, არტემოვსკის, სმოლენსკის და სხვა საქმეები, სარგებლობა მოგვიტანა. ამ ორგანიზაციებში მუშაობის გამოცოცხლებისა და გამაგრების გარდა, პარტიამ პოლიტიკური დასკვნები გამოიტანა პარტიისა და საბჭოთა აპარატის გენერალური წმენდის, თვითკრიტიკის შემდგომი განვითარების, სპეციალისტების კადრების მომზადების, მუშათა დაწინაურების და სხვათა შესახებ. ეს ამოცანები მხოლოდ ხელს გვიწყობენ წინსვლაში.

უკანასკნელ დროს გამოაშკარავებული „საქმეები“ (უჯრედი სახელმწიფო ბანკისა, განათლების სახ. კომისარიატისა და სხვ.) ყველა ორგანიზაციის წინაშე ხელახლა აყენებს სხვადასხვა კონკრეტულ ღონისძიებას ჩვენი მუშაობის მეთოდების შემდგომი გარდაქმნისათვის, ქვემოდან კონტროლის გაძლიერებისათვის, მუშების მაქსიმალური დაწინაურებისათვის მუშაობის მეთოდების შეფარდებისათვის რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან და სხვ.

უკანასკნელი „საქმეების“ გაკვეთილები ადგილობრივი ორგანიზაციების უფრო და უფრო მეტ მობილიზაციას ახდენენ და კიდევ და კიდევ აიძულებენ მათ—შეამოწმონ თავიანთი მუშაობა ოპორტუნიზმთან ნამდვილი ბრძოლის თვალსაზრისით, პარტიისა და მისი ც. კ.-ის ხაზისათვის ნამდვილი ბრძოლის თვალსაზრისით. უეჭველია, ასეთი თვითკრიტიკა მხოლოდ სარგებლობას მოიტანს. ასეთი თვითკრიტიკა კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროვებს პარტიას და გააძლიერებს სოციალისტურ მშენებლობას. ამიტომ მასების თვითკრიტიკის შემდგომი განვითარება პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება.

მაგრამ როცა პარტია მთელი თავისი ძალებით ანვითარებს თვითკრიტიკას, გარშემო იკრებს მასებს ბიუროკრატიზმთან და კლასობრივ მტერთან საბრძოლველად, ლენინური ხაზის განსახორციელებლად, ამ დროს ფრაქციული ბრძოლით დაბრმავებული, პარტიისა და მისი ც. კ.-ის პოლიტიკით უკმაყოფილო მემარჯვენე ოპოზიცია ლაპარაკს უნდება იმის შესახებ, რომ პარტიაში ადგილი აქვს პარტიის ზემოქმედებას, ბიუროკრატიზმის განვითარებას და სხვ.

არსებითად რომ ვსთქვათ, როცა ბუხარინი და მისი თანამოაზრენი თავს ესხმიან შინაპარტიულ რეჟიმს, ისინი დგებიან „იდეურ დაჯგუფებათა თავისუფლების“ იმავე პოზიციაზე, რომელზედაც იდგა ტროცკისტული ოპოზიცია თავისი განვითარების პირველ საფეხურზე. მართლაც, რას ამბობენ ახალს მემარჯვენენი პარტიაში არსებული რეჟიმის შესახებ? ისინი არსებითად იმეორებენ ტროცკისტების ცილისწამებას „აპარატის ზემოქმედების“, „პარტიის ბიუროკრატიზაციის“ და სხვ. შესახებ. საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ ტროცკის სიტყვები (1923 წლის 8 ოქტომბრის წერილი) შინაპარტიული რეჟიმის, „სამდივნო ბიუროკრატიზმის“ და იმის შესახებ, რომ „პარტიული აპარატის ბიუროკრატიზაცია გაუგონარ განვითარებას აღწევს და შემოღებულია სამდივნოს მიერ შერჩევის მეთოდები“.

რა არის მიზეზი? რატომ მოხდა, რომ იმ ამხანაგებმა, რომლებიც პარტიის უთვალსაჩინოესი მუშაკები არიან და ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ტროცკისტების წინააღმდეგ ბოლშევიკურად იბრძოდნენ პარტიის ხაზისათვის, ეხლა ტროცკისტული ენით დაიწყეს ლაპარაკი აუტანელი პარტიული რეჟიმის შესახებ და სხვა?

მთელი საიდუმლოება იმაშია, რომ ამ ამხანაგებმა საერთაშორისო და შინაური პოლიტიკის მთავარ საკითხებში დაიჭირეს პარტიის ხაზისაგან განსხვავებული პოზიცია, მემარჯვენე პოზიცია. სრულიად ბუნებრივია, რომ ლენინის ერთგული პარტია მკაცრად შეებრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტებს, „პიროვნების განურჩევლად“. სხვანაირად არც შეიძლებოდა: ჩვენ რომ საკუთარ წრეში არ შევბრძოლებოდით მემარჯვენე ელემენტებს, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ პარტიის დემორალიზაცია, გახრწნან მუშათა კლასის რიგები, შეუფარდონ ჩვენი პოლიტიკა „საბჭოთა ბურჟუაზიის“ გემოვნებას და იარაღი დაჰყარონ სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა წინაშე,—ეს იქნებოდა პროლეტარული პოზიციების თანდათანი დათმობა კლასობრივი მტრისათვის.

პარტიამ იცის, რომ თუ გადალახული არ იქნება მემარჯვენე გადახრა, შეუძლებელია სიძნელეთა დაძლევა, გადამწყვეტ წარმატებათა მიღწევა სოციალისტურ შეტევით.

როცა მთელი პარტია გადაჭრით შეებრძოლა მემარჯვენე ოპოზიციას, მან ხმა-მაღლა დაიწყო ლაპარაკი ზემოქმედების, პარტიის ბიუროკრატიზაციის შესახებ და სხვ.

რა წამსაც ბუხარინმა პარტიულ გზას გადაუხვია, მაშინვე იგრძნო, რომ ბოლშევიკურ პარტიაში სული ეხუთება, ხოლო შინაპარტიული რეჟიმი, რომელიც მცირე ხნის წინათ კარგი იყო, ეხლა მისთვის აუტანელი შეიქნა.

ბუხარინისა და მისი თანამოაზრეების აზრით ისე გამოდის, რომ პარტიას უფლება არა აქვს ამხილოს მათი ოპორტუნისტული შეცდომები. პარტიამ, მათის აზრით, უნდა შესწყვიტოს ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და მისდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან. როცა ბუხარინი პრესაში შემცდარ წერილებს აქვეყნებს, ხოლო პარტიული მასა, რომელიც პოლიტიკურად გაიზარდა, მეტადრე უკანასკნელ წლებში, აკრიტიკებს ამ წერილებს, როგორც შემცდარს და ც. კ.-ის ხაზის წინააღმდეგ მიმართულს, — ყოველივე ეს ბუხარინისა და მისი თანამოაზრეებას უკმაყოფილებას იწვევს პარტიული რეჟიმის მიმართ, უკმაყოფილებას მასების კრიტიკას გამო, რომლის მიზანია ოპორტუნისტული შეცდომების გასწორება.

ეხლა ყველამ კარგად იცის, რომ ცილისწამებები ზემოქმედებისა და პარტიის ბიუროკრატიზაციის შესახებ შემთხვევითი არ არის. ჩვენს პარტიას (მისი თვითკრიტიკისა და შინაპარტიული დემოკრატიის მეთოდებით) ბიუროკრატიზმი და ბიუროკრატიზაცია შეუძლიათ დააბრალონ მხოლოდ ისეთმა ამხანაგებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან შინაპარტიული რკინისებური დისციპლინისა, მხოლოდ ისეთმა ამხანაგებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან, რომ პარტიის დიდი უმრავლესობა არ ეთანხმება მათ პანიკურ „პლატფორმებს“ და „თეზისებს“, მხოლოდ ისეთმა ამხანაგებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ლენინის ხაზის მტკიცედ გამტარებელი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ეხლანდელი შემადგენლობისა.

მართალი იყო ამხ. ლენინი, როცა ასეთ ამხანაგებს უწოდებდა ბატონ-კაცური ანარქიზმით შეპყრობილ ადამიანებს, როცა მათი მისამართით ამბობდა: „ცხადი უნდა იყოს, რომ ყვირილი ყბადაღებული ბიუროკრატიზმის შესახებ უბრალო ნიღაბია ცენტრების პირადი შემადგენლობით გამოწვეული უკმაყოფილების დასაფარავად, ლეღვის ფოთოლია მხოლოდ“. პარტიული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ცილისწამება გამომდინარეობს იმ შემცდარი ხაზიდან, რომელსაც დაადგნენ ბუხარინი და მისი თანამოაზრენი. ისინი ობიექტიურად გამოხატავენ იმ უკმაყოფილებას, რომელსაც წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები განიცდიან სოციალისტური შეტევისა და ჩვენი რკინისებური პროლეტარული დისციპლინის გამო.

პარტია ულმობელად ამხელს მემარჯვენე გადახრის პოლიტიკასა და პრაქტიკას, ულმობელად ამხელს ცილისწამებას პარტიულ რეჟიმზე. ყალბი განცხადებანი იმის შესახებ, რომ პარტია ანვითარებს ბიუროკრატიზმს, ნიშნავს იმ უდიდესი მუშაობის დისკრედიტაციას, რომელსაც პარტია თვითკრიტიკისა და შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე ანვითარებს ბიუროკრატიზმთან და კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში.

როცა მემარჯვენე ოპოზიცია სახელს უტეხს თვითკრიტიკას, ამას მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ პირდაპირ შეებრძოლოს თვითკრიტიკის ლოზუნგს. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ შარშან სლეპკოვი და სხვები გამოვიდნენ თვითკრიტიკის ლოზუნგის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მის შეზღუდვას ბიუროკრატების ხასიამოვნოდ.

პარტია იბრძოდა და იბრძოლებს მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების დასაძლევად, შინაპარტიული დემოკრატიისა და პროლეტარული თვითკრიტიკის შემდგომი გაშლა - განვითარებისათვის, პირველ ყოვლისა, თავის რიგებში.

პარტია ამასთან ერთად გადაჭრით უარჰყოფს კრიტიკის ისეთ „თავისუფლებას“, როგორიც სურთ მემარჯვენე ოპორტუნისტებს თავიანთი კაპიტულიანტური ხაზის დასაცავად. ბოლშევიკური პარტია გადაჭრით უარჰყოფს ისეთ თვითკრიტიკას, ისეთ დემოკრატიას, რომელიც აკანონებს გადახრებს და ფრაქციულ ჯგუფებს პარტიის შიგნით.

პარტია აღშფოთებით აღნიშნავს ცილისწამებით სავსე ბრალდებას ზემოქმედებისა და ბიუროკრატიზაციის შესახებ; იგი თვითკრიტიკისა და პროლეტარული დემოკრატიის საფუძველზე, როგორც წინათ, მომავალშიაც გაბედულად გაუძღვება ფართო პროლეტარულ მასებს ახალი გამარჯვების მოსაპოვებლად სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

„პრავდა“, 25 აგვისტო.

ტრაგიკულად დაიღუპა

ძველი ბოლშევიკი, რევოლიუციის თავდადებული ჯარისკაცი

ამხ. ი. ფ. ფაბრიციუსი

24 აგვისტოს სოჭაში აეროპლანის ავარიის დროს დაიღუპა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწე ამხ. იან ფრიცის ძე ფაბრიციუსი

თბილისში მიღებული ცნობებით, ამხ. ფაბრიციუსი შემდეგ პირობებში დაიღუპა:

24 აგვისტოს ამხ. ფაბრიციუსი შვებულებიდან კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრებზე აპირებდა გამომგზავრებას. სოჭაში ის დაჯდა „უკრვოზდუხპუტ“-ის აეროპლანზე, რომელიც აფრენისთანავე იძულებული შეიქნა დაშვებულიყო და ჩავარდა ზღვაში ნაპირის მახლობლად. ავარიას დროს დაიღუპა სამი მგზავრი, მათ შორის ამხ. ფაბრიციუსი. ორი მგზავრი გადარჩა. ავარიის მიზეზების გამოსარკვევად სოჭაში გაფრინდა სპეციალური კომისია.

ბრძანება

კავკასიის წითელდროშოვან არმიის ჯარებს

ქ. თბილისი № 178. 1929 წ. 25 აგვისტო.

ამხანაგნო წითელ არმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო!

სამხედრო მოვალეობის ასრულების დროს აეროპლანის ავარიის გამო დაიღუპა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწე და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი ამხ. ფაბრიციუსი.

არალეგალურად მომუშავე რევოლიუციონერი, ძველი ბოლშევიკი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის აქტიური მშენებელი, სამოქალაქო ომის სახელოვანი გმირი, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა მრისხანე და ულმობელი მტერი,—ასეთი იყო ჩვენი დაღუპული ამხანაგი. მისი დაღუპვა მძიმე დანაკლისია მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის, რომლის რიგებშიც იგი განსაკუთრებული თავდადებული გმირული ბრძოლისათვის დაჯილდოვებულ იქნა წითელი დროშის 4 ორდენით.

მთელი მისი ცხოვრება და მუშაობა საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ რანაირი უნდა იყოს სოციალისტური რევოლიუციის არმიის წითელარმიელები — მებრძოლი მოქალაქე.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო, პოლიტმუშაკნო! მაგალითი აიღეთ ამხ. ფაბრიციუსისაგან, ისე იცხოვრეთ და იბრძოლეთ, როგორც ცხოვრობდა და იბრძოდა ის, რათა იმპერიალისტურ არმიებთან გაჩაღებულ მომავალ ბრძოლებში ისეთივე მძიმე გამანადგურებელი დამარცხება აწვნიოთ მათ, როგორსაც ჩვენს მტრებს აწვნევინებდა ჩვენი დაღუპული ამხანაგი.

წარუშლელი იყოს განსვენებული ამხანაგის და გმირის ხსოვნა მებრძოლთა შეგნებაში, მისმა ხსოვნამ აამოძრაოს ისინი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილების პოლიტიკური და სამხედრო მზადების ახალ-ახალი წარმატებებისათვის.

დაე, ჩვენი ძვირფასი ამხანაგის პირველ ძეგლად გადაიქცნენ არმიის მანევრები, საითკენაც მიეშურებოდა, მაგრამ გზად დაიღუპა ამხ. ფაბრიციუსი.

მაღლა ავწიოთ ჩვენი საბრძოლველი, სისხლით შეღებილი წითელი დროშები, რევოლიუციონური სიმტკიცით, რევოლიუციონური მისწრაფებით აღფრთოვანებულებმა წინ გავსწიოთ ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ, ახალი მიღწევებისაკენ და განვამტკიცოთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო ძლიერება!

ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ასეულსა, ბატარეასა, ესკადრონსა და კომანდაში.

კავკ. წითელდროშოვან არმიის სამხ.-რევ. საბჭო:
ავქსენტიევსკი,
იპო,
ელიავა,
კარაევი,
კოსტანიანი.

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმისაგან

მოსკოვი, 26 აგვისტო. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება საკავშირო ცაკის კანდიდატის ამხ. ი. ფაბრიციუსის ტრაგიკულად დაღუპვას.

საქ. ცაკისა და სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახ. კომისართა საბჭო აცხადებენ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწის ამხ. იან ფაბრიციუსის დაღუპვას.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახ. კომისართა საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ კავკასიის წითელდროშოვან არმიის მებრძოლებს წითელი არმიის გმირის, რევოლიუციის ვეტერანის ამხ. იან ფაბრიციუსის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

იმ დროს, როდესაც მსოფლიო კონტრ-რევოლიუცია უფრო და უფრო აქტიური ხდება და მსოფლიოს ერთად-ერთი მუშური სახელმწიფოს წინააღმდეგ ომს ამზადებს,—წითელი არმიის ერთ-ერთი, უაღრესად გამოცდილი ხელმძღვანელის დაღუპვა მძიმე დანაკლისს წარმოადგენს.

საქართველოს მშრომელები, საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, თავიანთ მწუხარებას გამოსთქვამენ და თან იმედოვნებენ, რომ მუშათა კლასი წითელარმიას ახალ გმირებს შესძლევს მომავალი ბრძოლებისათვის.

საქართველოს ცაკის და სახ. კომისართა საბჭო.

ამხ. ფ. მახარაძის დეპეშა

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო რევოლიუციონურმა საბჭომ საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო ბორჯომიდან:

არ ძალმიძს სიტყვით გამოვსთქვა ის მძიმე გრძნობა, რომელსაც განვიცდი წითელი არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი ბელადის და ხელმძღვანელის, პროლეტარული რევოლიუციის საქმისათვის ბრძოლაში გამობრძმედილი უძველესი ბოლშევიკის, პროლეტარიატის მტერთა შესამუსრავად, წითელი ჯარის არა ერთხელ უშიშრად წამყვანის, სამოქალაქო ომის ჭეშმარიტი გმირის, ჩვენი ძვირფასი ამხანაგის ფაბრიციუსის ტრაგიკული დაღუპვის გამო.

ეს უდიდესი დანაკლისია მთელი, ჩვენი კავშირისათვის. დაე, მისმა გმირულმა ცხოვრებამ აღაფრთოვანოს წითელი არმია და მთელი მუშათა კლასი მომავალი გმირობისათვის სამხედრო და სამოქალაქო ფრონტებზე. მწამს, რომ ერთი დაღუპულის ადგილს დაიჭერს ასი და ათასი მებრძოლი, რომლებიც ღირსეულად შეცვლიან ი. ფ. ფაბრიციუსს. დაე, იცოცხლოს მისმა სახელოვანმა საქმემ წითელ არმიაში.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე.

ბოლშევიკი--მეომარი

ი. ფ. ფაბრიციუსის ბიოგრაფია

ამხ. იან ფრიცის ძე ფაბრიციუსი დაიბადა 1877 წელს ქალაქ ვინდავაში (ლატვია), მუშის ოჯახში. რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა ყმაწვილობიდანვე. 1903 წელს შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში (ბოლშევიკების). იმავე წელს პირველ მაისობას ამხ. ფაბრიციუსი დააპატიმრეს. 1904 წლის თებერვალს მეფის სასამართლომ მას მიუსაჯა ოთხი წლის საკატორღო მუშაობა. 1905 წლამდე ფაბრიციუსი იაკუტიასა და შორეულ-აღმოსავლეთის ოლქებში იმყოფებოდა. 1915 წელს, როდესაც მეფის მთავრობა შეუდგა ლატვიელთა მსროლელი ნაწილების შედგენას, ლატვიის ბოლშევიკების პარტიის ც. კ.-ის წინადადებით ამხ. ფაბრიციუსი ერთ-ერთ პოლკში შევიდა. 1917 წელს იგი არჩეულ იქნა საარმიო კომიტეტში, ხოლო 6 დეკემბერს ამ კომიტეტთან ერთად გადავიდა წითელი გვარდიის რიგებში.

საბჭოების მესამე ყრილობაზე ამხ. ფაბრიციუსი არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის წევრად და რამდენსამე ხანს იქ მუშაობდა. გერმანელების შემოტევის დროს ამხ. ფაბრიციუსი რაზმებს მეთაურობდა პსკოვის რაიონში. ბრესტის ზავის შემდეგ ამ რაიონის საგანგებო სამხედრო კომისრად იყო. გერმანელებთან ბრძოლაში ჭრილობა მიიღო.

1919 წელს ამხ. ფაბრიციუსი მონაწილეობას იღებდა დენიკინთან ბრძოლაში. მან მოახდინა მამონტოვის რეიდის ლიკვიდაცია, დაინიშნა კიკვიძის სახელობის დივიზიის მე-48 ბრიგადის მეთაურად და მასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ლუგანსკისა და ხოვოჩერკასკის აღებაში; შემდეგ მოახდინა თეთრების დესანტის ლიკვიდაცია ტამანის ნახევარკუნძულზე და დაიჭირა ნოვოროსიისკი.

1920 წელს იგი გაგზავნილ იქნა პოლონეთის ფრონტზე, სადაც ნოვოგეორგიევსკამდე მივიდა. პოლონეთიდან უკან დახევის დროს ამხ. ფაბრიციუსის ბრიგადა არიერგარდულ ბრძოლას აწარმოებს და არაერთხელ დააღწია თავი ალყას.

პოლონეთთან ზავის დადების დღეს ამხ. ფაბრიციუსი დაჭრილ იქნა. განკურნების შემდეგ, 1921 წელს დაინიშნა 43 გაერთიანებული კურსების უფროსად და დასავლეთ ფრონტის საკურსანტო ბრიგადის მეთაურად.

1921 წლის მარტს ამხ. ფაბრიციუსი არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის კომპარტიის (ბ) მე-10 ყრილობისათვის, საიდანაც იგი კრონშტადტის ამბოხების ჩასაქრობად გაემგზავრა. მან 501-ლი პოლკის მეთაურობა იკისრა და ერთ-ერთი პირველთაგანი შეიჭრა კრონშტადტში.

1923 წლიდან ამხ. ფაბრიციუსი მეთაურობდა ბელორუსიის მეორე ტერიტორიალურ დივიზიას, მერე სწავლობდა უმაღლეს აკადემიურ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ ჯერ დაინიშნა მსროლელთა მე-17 კორპუსის, მერე კი მეოთხე კორპუსის სარდლად და კომისრად. 1927 წლის დამლევს გაიგზავნა უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის გაუმჯობესების 10 კვირიან კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ჯარების სარდლის თანაშემწედ.

ტრაგიკულმა სიკვდილმა ამხ. ფაბრიციუსს ამ თანამდებობაზე მოუსწრო.

ამხ. ფაბრიციუსი ერთი იმ ოთხ გმირთაგანია, რომლებიც დაჯილდოვებულ იქნენ წითელი დროშის ოთხივე ორდენით. პირველი ორდენი მან მიიღო პსკოვის აღებისათვის; მეორე—სმორგონის პოზიციების გარღვევისათვის პოლონეთის ფრონტზე; მესამე—კრონშტადტის ამბოხების ლიკვიდაციისათვის და მეოთხე—მარჯვე არიერგარდული ბრძოლებისათვის პოლონეთის ფრონტზე უკან დახევის დროს.

ამხ. ფაბრიციუსი—საკავშირო მთავრობის, რ. ს. ფ. ს. რ.-ის მთავრობის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის და საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი იყო

დაბლა დავხაროთ ბრძოლის დროშა

თანდათან მცირდება ძველი ბოლშევიკური გვარდიის კადრები. ჩვენს წრეს მოშორდა რევოლიუციის ერთ-ერთი ვეტერანი, ბრძოლებში ნაცადი ამხანაგი იან ფრიცის ძე ფაბრიციუსი.

ტრაგიკულმა, უაზრო, შემთხვევამ სიკვდილმა, რომლისათვისაც ბრძოლების დროს ამხ. იანს არა ერთხელ გაუყრია თვალი თვალში, სამსახურის სადარაჯოზე მოასწრო; ამ დროს იგი მოეშურებოდა მანევრებზე, რათა თავისი დიდი გამოცდილება და რევოლიუციონური ენტუზიაზმი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე მის გულში ცეცხლად ენთებოდა, მოეხმარებინა წითელ დროშოვანი არმიის ნაწილების მუშაობისათვის.

ძველი მებრძოლი კომუნარის აზრი და ფიქრი უკანასკნელ წამამდე თავს დასტრიალებდა იმ არმიას, სადაც იგი მოწინავე მებრძოლიც იყო და ერთ-ერთი ნიჭიერი ორგანიზატორი—მშენებელიც. იგი მასთან ერთად განიცდიდა კონტრ-რევოლიუციონური ბანდების პირველ მახვილსაც, არმიის მშენებლობის პირველი წლების გაჭირვებასა და სიძნელეებსაც, კრონშტადტისა და პოლონეთის ეპოპეასაც, დამარცხებასაც და გამარჯვებასაც. იგი არმიასთან ერთად და მისი ენტუზიაზმით გატაცებული ჯარების სათავეში მიიმართებოდა წინ; მან განვლო სასახელო გზა სამოქალაქო ომის უკანასკნელი დღეების გამარჯვებამდე.

რევოლიუციის ერთგული, თავდადებული ბოლშევიკი —ფარული მომუშავე, სალი კლდესავით მაგარი, მეთაური და ხელმძღვანელი, წითელი დროშის ოთხი ორდენის დამსახურებული გმირი—იან ფრიცის ძე ფაბრიციუსი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენდა ფოლადისებურ მკაცრს, გაკაჟებულ მებრძოლს და იშვიათ გულთბილ, გულშემატკივარ ადამიანს იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდნენ და იბრძოდნენ. მას საბჭოთა კავშირის მშრომელები და არმია იცნობდნენ როგორც ერთ-ერთს თავის საუკეთესო გმირს, ბოლშევიკ-ლენინელს, მეთაურს და მეგობარს.

მძიმეა ეს დანაკლისი. და ყველაზე მტკივნეულად ამას არმია განიცდის

მაგრამ ეს ტკივილი უფრო მჭიდროდ გვაერთიანებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელი კადრის გარშემო, რომლის რიგებში იწვრთნებოდნენ და იწრთვნებიან ისეთი მებრძოლები, როგორიც იყო ამხ. ფაბრიციუსი.

ამხ. იანის ხსოვნა მოგვიწოდებს დაუღალავი მუშაობისა და ბრძოლისათვის, ბრძოლის უნარის გაძლიერებისათვის, გაშლილ-გაფართოებული მშენებლობის წარმატების უზრუნველყოფისათვის. ყოველმა წითელ არმიელმა, ყოველმა პოლიტმუშაკმა და მეთაურმა ამხ. ფაბრიციუსის სიკვდილის პასუხად უნდა გააძლიეროს თავისი კლასობრივი შეგნება, ბრძოლისათვის საჭირო თვისებანი და ცოდნა.

დაბლა დავხაროთ ბრძოლის დროშები ამხანაგ—გმირის ნეშტის წინაშე, რათა კვლავ უფრო მაღლა აღვმართოთ ისინი და მისი ხსოვნით გულაღბეჭდილებმა ავაფრიალოთ მომავალი ბრძოლისათვის, მომავალი გამარჯვებისათვის.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი ქ. ავქსენტიევსკი.

სამგლოვიარო სხდომა

ამხ. ი. ფ. ფაბრიციუსის ხსოვნის აღსანიშნავად

გუშინ საღამოს წითელი არმიისა და ფლოტის სახლში შესდგა ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ცენტრალური ადმინისტრატიული სამმართველოს მუშაკთა და თბილისის გარნიზონის ნაწილების წარმომადგენელთა საერთო კრება ამხ. ი. ფ. ფაბრიციუსის ხსოვნის აღსანიშნავად.

დიდი სიტყვა წარმოსთქვა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალმა ამხ. ავქსენტიევსკიმ, მან აღნიშნა, რომ ამხ. ფაბრიციუსი იყო ერთ-ერთი საუკეთესო შვილი იმ ურყევი ფოლადისებურ რაზმისა—საკავშირო კომუნისტური პარტიისა,—რომელმაც მთელ მსოფლიოს უჩვენა, თუ რა შეუძლია მუშას, როდესაც იგი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებს. რევოლიუციას მრავალი გმირი ჰყავს. მაგრამ რჩეულთა შორისაც კი ირჩევა იან ფაბრიციუსის ფიგურა. მისთვის ყველგან და ყოველთვის პირველ ადგილზე იყო რევოლიუციის ინტერესები. იგი იყო ძველი ბოლშევიკი—არალეგალური მუშაკი. 1917 წლის შემდეგ მან დაამტკიცა, თუ რა ძალა იფარებოდა მის პიროვნებაში. რევოლიუციის განსაკუთრებით საშიშარ სამუშაოზე იგი ყოველთვის პირველი იყო. კერძო ინტერესები მისთვის არ არსებობდა. იგი ყოველთვის ამოწმებდა ყოველ თავის ნაბიჯს, რათა მისი ცხოვრება ყოველთვის და უცვლელად რევოლიუციის სამსახური ყოფილიყო.

საკავშირო ლენინურმა კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა თავის ერთგული წევრი, ყველა იმის შეურიგებელი მტერი, ვინც ცდილობს პარტიაში დეზორგანიზაციის შეტანას. ყოველი ასეთი დანაკლისის შემდეგ ჩვენ უფრო მჭიდროდ ვირაზმებით ლენინური პარტიის ირგვლივ. ასე იქნება ეხლაც, როდე-

საც სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოაცალა ამხ. ფაბრიციუსი.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შტაბის უფროსმა ამხ. ალაფუზომ სთქვა, რომ ამხ. ფაბრიციუსმა დაგვიტოვა დაწერილი ანდერძი — თავისი ცხოვრება, რომელმაც ასეთი გმირული ეტაპები განვლო და ასე ტრაგიკულად შესწყდა.

ჩვენ დავიცავთ ამ ანდერძს და შევასრულებთ იმ დიდ საქმეს, რომელიც გვიანდერძა ამხ. ფაბრიციუსმა, ჩვენ შევინახავთ ისტორიისათვის მის სახელოვან დიად სახეს.

შემდეგ ამხ. სმირნოვმა გაუზიარა დამსწრეთ მოგონებანი ამხ. ფაბრიციუსის შესახებ. ამხ. სმირნოვი ფაბრიციუსთან ერთად იბრძოდა პოლონეთის ფრონტზე და მასთან ერთად მონაწილეობას იღებდა კრონშტადტის აღებაში. ამხ. ფაბრიციუსი არაჩვეულებრივად მამაცი მეომარი იყო. იგი ყოველთვის ყველაზე წინ იყო, ფხიზლად აფასებდა მდგომარეობას და ერთი წუთითაც არ ასუსტებდა ყურადღებას.

პოლონეთის ფრონტზე ამხ. ფაბრიციუსმა თავისი სიმამაცით არაერთი პოლკი გადაარჩინა განადგურებას. თუ ფაბრიციუსია, მაშ გავიმარჯვებთ, ამბობდენ, მის შესახებ წითელ არმიელები. ამბობდენ, რომ ფაბრიციუსი მეთაური კი არ არის,—მხოლოდ ძველი ამხანაგი და მასწავლებელიაო. მას მეტად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა დამსახურებული წითელარმიელებს შორის.

კრონშტადტის აჯანყების დროს ამხ. ფაბრიციუსს ჩააბარეს მე-501 პოლკი. ამ პოლკს არ სურდა გალაშქრება აჯანყებულთა წინააღმდეგ. საქმე იქამდე მივიდა, რომ წითელარმიელებმა ყარაულიც კი დაუყენეს თავიანთ მეთაურებს. როგორც კი ამხ. ფაბრიციუსი პოლკში გამოჩნდა, განწყობილება უცებ შეიცვალა. მე-501 პოლკი პირველი შევიდა კრონშტადტში და მან მაგალითი მისცა სხვა პოლკებს.

საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია: მძიმე დანაკლისის წინაშე, იმ დროს როდესაც საბჭოთა კავშირის შეურიგებელი მტრები სცდილობენ ჩაშალონ ჩვენი უდიდესი სოციალისტური მშენებლობა, ფიცსა ვდებთ განუხრელად მივდიოთ იმ გზას, რომელზედაც ასე სახელოვნად მიდიოდა ამხ. ფაბრიციუსი. ფიცსა-ვდებთ—უფრო მჭიდროდ შევეკავშიროთ ჩვენი რიგები ლენინური პარტიის ირგვლივ, მთელი ძალღონე მოვახმაროთ წითელი არმიის ბრძოლის უნარის შემდგომ განვითარებას, ჩავუნერგოთ არმიას სიძულვილი მშრომელთა მასების ყველა მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ისეთი ლახვარი ჩავსცეთ საბჭოთა კავშირის მტრებს, რომელიც შეარყევს იმპერიალიზმის საფუძვლებს და მოაახლოვებს კომუნიზმის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში.

პროფ. პოდოლსკი ავარიის შესახებ

იმ მიზეზების შესახებ, რომელთაც შეეძლოთ აეროპლანის ავარიის გამოწვევა, ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა მოსკოვის სახელმწიფო აერო-ჰიდრო-დინამიური ინსტიტუტის პროფესორს პოდოლსკის, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება.

პროფესორმა სთქვა:

ის ტრაგიკული კატასტროფა, რომელმაც ამხ. ი. ფ. ფაბრიციუსის დაღუპვა გამოიწვია, კვლავ აყენებს კითხვას—ვღებულობთ თუ არა ჩვენ ყველა გამაფრთხილებელ ღონისძიებას საჰაერო რეისების დროს.

ამჟამად მეტად ძნელია იმის თქმა, თუ რა იყო კატასტროფის უშუალო მიზეზი. ავარიის მიზეზის შესახებ რაიმე გადაჭრილი აზრის გამოტანა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გულდასმით იქნება შესწავლილი მოტორის მდგომარეობა კატასტროფის შემდეგ, მისი კონსტრუქცია და სხვ. არის ერთი დამაფიქრებელი ფაქტი—ეს ის, რომ ავარია, როგორც მოსული ცნობა გვაუწყებს, მოხდა მაშინვე, როგორც კი აეროპლანი აფრინდა ადგილიდან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არ იყო მიღებული ყველა გამაფრთხილებელი ღონისძიება და, რაც მთავარია, არ ყოფილა გულდასმით გასინჯული აეროპლანი, უმთავრესად, მისი „სული და გული"—მოტორი. ავარიის მეორე შესაძლებელი მიზეზი შეიძლება ვეძებოთ მფრინავის ფსიქიურ ღირსებაში. საქმე იმაშია, რომ მფრინავებს სრულიად ბუნებრივად უყენებენ გადიდებულ ფსიქიურ მოთხოვნილებებს, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. აეროპლანის მართვა შეიძლება მიენდოს მხოლოდ ისეთ პირს, რომელსაც დაჭერილი აქვს განსაზღვრული ფსიქოტეხნიკური გამოცდა. მაგრამ ადამიანის ფსიქიკა ცვალებადია და ძნელი გამოსარკვევია, როდის არის მოდუნებული მისი ნერვიული სისტემა. ამიტომ საჭიროა მფრინავების ხშირი ფსიქოტეხნიკური შემოწმება.

რა თქმა უნდა, ჩემ მიერ დასახელებული ორი მოსაზრება არ შეიძლება სავსებით შეუმცდარად ჩაითვალოს, ვინაიდან ვიმეორებ, ავარიის მიზეზის გასაგებად საჭიროა ყველა პირობების შესწავლა. ერთი კი ეჭვს გარეშეა. ეს ის, რომ კატასტროფის მიზეზი არ არის აეროპლანის უვარგისობა. ყველა აეროპლანი, რომელიც საბჭოთა კავშირში შემოღებულია სახმარად, გულდასმით არის შემოწმებული და შეუმცდარია იმის თქმა, რომ ავარიის მიზეზი აეროპლანის ცუდი კონსტრუქციაა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საჰაერო მგზავრობა, რომელიც ჩვენში განვითარდა, არ არის უფრო საშიში, ვიდრე მიმოსვლის სხვა რომელიმე საშუალება. ამ დებულებას ადასტურებს მსოფლიო სტატისტიკა. წავიდა ის დრო, როდესაც ადამიანი ჰაერს იპყრობდა და აუცილებელ მსხვერპლს იღებდა. ავიაცია წლიდან წლობით სულ უფრო და უფრო უმჯობესდება. კარგი აეროპლანი ისაა, რომელსაც ახასიათებს საჭირო სიმაგრე, წონის მინიმუმი და წინააღმდეგობის მაქსიმუმი. ეს ფაქტორები მთელი ჩვენი მუშაობის და კვლევა-ძიების მუდმივი ყურადღების საგანს წარმოადგენს.

გადავიდა რა საკითხზე იმ დასკვნების შესახებ, რომელთა გამოტანაც ეხლავე შეიძლება, ამხ. პოდოლსკიმ სთქვა:

მოსკოვ-თბილისის ახალმა საჰაერო გზამ ცუდად დაიწყო თავისი მოღვაწეობა. რამდენიმე თვის განმავლობაში ეს უკვე მეორე კატასტროფაა. აქ კლიმატიური პირობები არაფრით განირჩევა სხვა საჰაერო ხაზების კლიმატიური პირობებისაგან. მაშასადამე, არ არსებობს ობიექტიური პირობები, რომლებიც კავკასიის ხაზზე ფრენის დროს რაიმე დაბრკოლებას უქმნიან აეროპლანს. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს აეროპლანის მდგომარეობის გულდასმით შემოწმებას და მფრინავის ღირსებას. ეს მუშაობა უნდა ხდებოდეს არა უეცარი შემოწმების სახით, არამედ სისტემატიურად და ყოველდღიურად. ჰაერი ჩვენ მიერ მტკიცედ არის დაპყრობილი და აეროპლანი ჩვენ უნდა გვემორჩილებოდეს მთელი ასი პროცენტით. მსხვერპლი არ უნდა იყოს.

ამხ. ი. ფაბრიციუსის ნეშტს მოასვენებენ თბილისში

გუშინ დილით ამხ. ფაბრიციუსის ნეშტი შემურვის შემდეგ კუბოში მოათავსეს და ავტობუსით სოხუმში გაგზავნეს. სოხუმიდან კუბო კატერით იქნება გადატანილი ფოთში, საიდანაც სპეციალური ვაგონით ჩამოასვენებენ თბილისში.

ნეშტის ჩამოსვენებას თბილისში 28 აგვისტოს მოელიან.

დამკრძალავი კომისია

ამხ. ი. ფაბრიციუსის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის შექმნილია მთავრობის კომისია, რომელშიც შედიან: საქ. ცაკის მდივანი ამხ. ს. თოდრია, საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. მაჩაიძე, ქ. თბილისის კომენდანტი ამხ. ბელოვი, კავკ. წით. დროშოვან არმიის მე-2 განყოფ. უფროსი ამხ. სნეგირევი, ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. ბახტაძე, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ავაქოვი, არმიის პარტკომისიის მდივანი ამხ. მოსკოპა, და საკ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი.

სპარსეთის კონსულის სამძიმარი

გუშინ, სპარსეთის გენერალური კონსული ფენდრესკი და გენერალურ საკონსულოს მდივანი ნავაბი ეწვივნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილეს ამიერ-კავკასიის მთავრობასთან ამხ. კვიტაშვილს და გამოუცხადეს სამძიმარი კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწის —ამხ. ფაბრიციუსის ტრაგიკული დაღუპვის გამო.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აუწყებს ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებს, რომ აეროპლანის ავარიის დროს დაიღუპა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის უფროსის თანაშემწე და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი, ძველი ბოლშევიკი

ამხ. ი. ფაბრიციუსი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია იუწყება, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი და საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი

ამხ. ფაბრიციუსი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება ა.-კავკასიის ცაკის წევრის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელოვანი მებრძოლის და წითელი არმიის დაუღალავი მშენებლის

ამხ. იან ფაბრიციუსის

ტრაგიკულ სიკვდილს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ბრძოლის პოსტზე ტრაგიკულად დაიღუპა წითელი არმიის ხელმძღვანელი, რევოლიუციის ვეტერანი, სამოქალაქო ომის უაქტიურესი მონაწილე და მტკიცე ბოლშევიკი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწე

ამხ. იან ფრიცის-ძე ფაბრიციუსი

ნ. 3149

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აუწყებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა წევრებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, წითელი არმიის ერთი ყველაზე თვალსაჩინო ხელმძღვანელთაგანი, სამოქალაქო ომის გმირი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწე

ამხ. იან ფაბრიციუსი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა საქ. კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრი, ძველი ბოლშევიკი

ამხ. იან ფრიცის-ძე ფაბრიციუსი

ნ. 3150

საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარების გრძნობით იუწყება ძველი ბოლშევიკის, გამოცდილი რევოლიუციონერის, პროლეტარული დიქტატურის სახელოვანი მებრძოლის და წითელი არმიის დაუღალავი მშენებლის, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრის

იან ფრიცის-ძე ფაბრიციუსის

ტრაგიკულად გარდაცვალებას.

საქართველოს ცაკი და სახალხო კომისართა საბჭო იუწყებიან ა.-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის მოადგილის, წითელი არმიის გმირის, ძველი ბოლშევიკის

ამხ. იან ფაბრიციუსის

ტრაგიკულად გარდაცვალებას ნ. 3446

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ძველი ბოლშევიკი რევოლიუციონერი, წითელი არმიის დაუღალავი მეომარი, სამოქალაქო ომის გმირი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწე, თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს წევრი

ამხ. იან ფრიცის-ძე ფაბრიციუსი

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება ნ. 3148

ა.-კავკასიის და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ს-ბის პრეზიდიუმები და სარევიზიო კომისიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ყველა ორგანიზაციებს, უჯრედებს და ს-ბის წევრებს — ბოლშევიკური პარტიის საუკეთესო წევრის, მუშათა კლასის თავდადებულ მებრძოლის, სამოქალაქო ომის უშიშარ გმირის, წითელი არმიის მშენებლის, ა.-კ. თავდაცვა - ავიაქიმის საბჭოს და პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის

ამხ. ი. ფ. ფაბრიციუსის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრები

სამზადისი მანევრებისათვის დამთავრებულია.--დღეს „წითლები" და „ლურჯები" შეხვდებიან ერთმანეთს

წითელი მებრძოლნი აცხადებენ: „ფიცსა ვსდებთ, რომ არ უღალატებთ ამხ. ფაბრიციუსის ტრადიციებს. ვიძლევით სიტყვას, რომ ამხ. ფაბრიციუსის ხსოვნის აღსანიშნავად ბრწყინვალეთ ჩავატარებთ „კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მანევრებს"

შევამოწმოთ ჩვენი ძლიერება

საკავ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოწოდება

ამხანაგო წითელარმიელებო, მუშებო და გლეხებო!

კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ დაამთავრა საზაფხულო მეცადინეობა და ამჟამად იგი გადის მანევრებზე, რომელიც წარმოადგენს ანგარიშის ჩაბარებას მის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ამავე დროს, შორეულ აღმოსავლეთში ომის საფრთხის გამწვავებასთან დაკავშირებით, მიმდინარე წელს მანევრებს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. კერძოდ, მანევრები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის, იმის მეოხებით, რომ მასში ერთსა და იმავე დროს მონაწილეობას მიიღებენ ნაციონალური დივიზიები, გადაიქცევა ამიერ-კავკასიის ხალხების ძმობის მძლავრ დემონსტრაციად, იმის დემონსტრაციად, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელნი მზად არიან გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ თავდასხმას ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სოციალისტურ დამოუკიდებლობასა და მთლიანობაზე.

ამხანაგებო, მუშურ-გლეხური არმიის საბრძოლო მომზადება წარმოუდგენელია მშრომელ მოსახლეობასთან მტკიცე კავშირის გარეშე. მანევრების დროს შეიქმნება ნამდვილი საომარი მდგომარეობა და ეს საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ, თუ რამდენად მტკიცეა ეს კავშირი, რამდენად მზად არიან მშრომელნი დაეხმარონ არმიას მომავალ ბრძოლებში კაპიტალისტურ მსოფლიოსთან.

ამასთან ერთად მანევრები ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კავშირის განსამტკიცებლად ქალაქსა, სოფელსა და წითელ არმიას შორის, და იმისათვის, რომ სოფლად პოპულიარული გავხადოთ პარტიის პოლიტიკა, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის და მისი განუყრელი ნაწილის — ამიერ-კავკასიის ფედერაციის — თავდაცვის უნარის განმტკიცებას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მიესალმება კავკასიის წითელდროშოვან არმიას დამთავრებული მეცადინეობის შესამოწმებლად ლაშქრად გასვლის გამო და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, მშრომელი მასების აქტიური დახმარებით, ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ მანევრებმა უდიდესი წარმატებით ჩაიაროს, რომ ხელი შეუწყოს ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის თავდაცვის უნარის განმტკიცებას და უფრო მჭიდროდ შეაკავშიროს წითელ მებრძოლთა, მუშათა და გლეხთა მშრომელი ოჯახი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მოუწოდებს მუშათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — მიიღონ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მანევრებში და ამით უზრუნველჰყონ მანევრების სრული წარმატება.

გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრებს!

გაუმარჯოს წითელი არმიის მტკიცე კავშირს მშრომელებთან!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — სოციალისტური გარდაქმნისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის ორგანიზატორს!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

მანევრებს წარმატებით ჩავატარებთ

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მანევრებისათვის სამზადისში გართულმა წითელმა მებრძოლებმა მიიღეს ცნობა ძველი ბოლშევიკის და წითელი არმიის ერთ-ერთ მთავარი ორგანიზატორის და მებრძოლის ამხ. ფაბრიციუსის დაღუპვის შესახებ.

ამ ცნობამ დიდი მწუხარება გამოიწვია გორის ბანაკში.

25 აგვისტოს შესდგა გორის გარნიზონში მდგომ ყველა ნაწილების საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცნობა ამხ. ფაბრიციუსის დაღუპვაზე. გაშუქებულ იქნა ამხ. ფაბრიციუსის ცხოვრება, მისი მუშაობა ბოლშევიკების რიგებში, ბრძოლები საბჭოთა კავშირის მტრებთან და ის უდიდესი ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ამხ. ფაბრიციუსს წითელი არმიის ორგანიზაციის საქმეში.

კრებაზე ილაპარაკეს მეთაურებმა და წითელარმიელებმა. თავის სიტყვებში ყველა ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ წითელმა არმიამ ამხ. ფაბრიციუსის სახით დაჰკარგა უდიდესი მებრძოლი და ორგანიზატორი, რომელიც წითელ მებრძოლებს აძლევდა მაგალითს და უჩვენებდა, თუ როგორი უნდა იყვეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომარი.

კრების დასასრულს წითელარმიელებმა და მეთაურებმა განაცხადეს, რომ ისინი ყოველთვის იხელმძღვანელებენ ამხ. ფაბრიციუსის სახელოვანი ტრადიციებით, უფრო შეამჭიდროებენ წითელი არმიის ფოლადისებურ რიგებს და ბრწყინვალედ ჩაატარებენ კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრებს, რომლისათვის ამჟამად ემზადება არმია.

— „ვიძლევით სიტყვას, — განაცხადეს წითელარმიელებმა, — რომ ისევე, როგორც სჩვეოდა ეს ამხ. ფაბრიციუსს, არ დავიშურებთ სიცოცხლეს მსოფლიო მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის".

ე. ხუციშვილი.

გორი, 26 აგვისტო.

მანევრების მოლოდინში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ხვალ შუაღამისას ,სრულ 12 საათზე, სამხედრო ენაზე კი 24 საათზე, „წითლები" და „ლურჯები" შეხვდებიან ერთი-მეორეს—დაიწყება კავკასიის წითელდროშოვან არმიის დიდი მანევრები.

ამ მანევრებით სრულდება არმიის ერთი წლის სწავლება. მანევრები უდიდესი გამოცდაა როგორც წითელი არმიელებისათვის, ისე მეთაურთა შემადგენლობისათვის.

აქ, „ბრძოლის" ველზე, უნდა გამოირკვეს კავკასიის წითელდროშოვან არმიაში შემავალ ყველა ნაწილების სამხედრო მომზადება, მათი გაწვრთნა, უნდა გამოირკვეს, თუ როგორ არის შეთვისებული მებრძოლების მიერ სამხედრო ხელოვნება.

წითელი არმიელები კარგათ გრძნობენ მათ წინაშე მდგომ ამოცანების მთელ სიდიადეს და ამიტომაც არის, რომ ყველანი გაფაციცებით ემზადებიან მანევრებისათვის.

ქ. გორი, სადაც დაბანაკებულია „ლურჯების" კორპუსში შემავალი ნაწილები, დღეს წარმოადგენს სამხედრო ბანაკს.

ჩვეულებრივად მშვიდი და წყნარი ქალაქი, აზმაურებულია: ქუჩებში განუწყვეტლივ მოძრაობენ მეთაურები და არმიელები, ისმის ორკესტრების გუგუნი, ავტოების ღრიალი.

ქალაქის მიდამოები სავსეა სამხედრო ნაწილებით: ხეების ჩრდილში, მდინარის პირას დაბანაკებულან დროებით სხვადასხვა ნაწილები მანევრების დასაწყისის მოლოდინში.

გორს ყოველ ჟამს ემატება ჯარის ახალ-ახალი ნაწილები.

რეგულიარული ჯარის გარდა, გორის ქუჩებში შეხვდებით შეიარაღებულ ახალგაზრდობას და მუშებს— ესენი არიან მუშათა ათასეულების რაზმელები.

მრავლად არიან ველოსიპედისტები, წითელი ჯვრის რაზმელები.

ეს მესამე დღეა, რაც გორში მოვიდნენ აზერბეიჯანის წითელი ჯარის ნაწილები, რომლებიც სხვა ნაწილებთან ერთად იღებენ მონაწილეობას მანევრებში.

განსაკუთრებულად იქნა აღნიშნული თურქ არმიელების სტუმრობა — ეს უდიდესი მოვლენაა ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, რომელიც მაჩვენებელია იმის, რომ ამ.-კავკ. ხალხთა შორის დამყარებულია მტკიცე კავშირი, მტკიცე მეგობრობა.

მანევრები, სადაც მრავალ ეროვნებების წითელარმიელებს და მეთაურებს მოუხდებათ ერთად ყოფნა და მუშაობა, უფრო აახლოებს მებრძოლებს და ჩაუყრის მტკიცე, ურყევ საფუძველს ამ კავშირს.

როგორც წითელი მებრძოლების, ისე გორის მოქალაქეთა მთელი ყურადღება მიპყრობილია მანევრებისაკენ. ლაპარაკი სჭარბობს მხოლოდ და მხოლოდ მანევრების ირგვლივ. ყველას აინტერესებს მომავალი „ბრძოლები", „მოწინააღმდეგეების" შეხვედრის ადგილი, ტანკების და ავიაციის „ბრძოლა", ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ეხება მანევრებს.

მაგრამ, მანევრების მსვლელობის გეგმა ჯერედ საიდუმლოა და მოქალაქეები კმაყოფილდებიან მხოლოდ ზოგადი მსჯელობით.

განსაკუთრებული განწყობილებაა წ.-არმიელთა შორის. დინჯათ, აუჩქარებლივ ასრულებენ არმიელები თავის საქმეს, უსიტყვოდ ემორჩილებიან მეთაურთა განკარგულებას და ბრძანებას. ბევრი საქმე აქვთ [illegible], მაგრამ არავინ არ იჩივის დაღლილობას, პირიქით, ყოველი არმიელი ცდილობს დაეხმაროს თავის ამხანაგს, უშველოს მას ამა თუ იმ საქმის შესრულებაში.

— აბა! ბიჭებო, ყოჩაღად, თორემ საცაა უნდა გაუდგეთ გზას.

— შენ იდარდე, რომ პირველად მიდიხარ მანევრებზე, თორემ მე მაგისთანებს შეჩვეული ვარ: მგონი ორჯერაც ვიყავი მანევრებზე.

— შენც იტყვი, რაღა! აბა, სად შარშანდელი მანევრები, სად წრევანდელი, შედარებაც კი არ შეიძლება. შარშან სად იყო ამოდენა ხალხი და ან ტანკები.— ისმის ხშირად მუშაობის დროს ასეთი ლაპარაკი.

როდესაც ვლაპარაკობთ სამზადისზე მანევრებისათვის, უნდა აღინიშნოს ის დიდი ენტუზიაზმი, რომელიც სუფევს ყველა ნაწილებში.

„ჩინელ მილიტარისტების თავხედურ გამოსვლას და იმპერიალისტების მზადებას ახალი ომისათვის ჩვენ უპასუხებთ არმიის მანევრების წარმატებით ჩატარებით", — აი, რას ამბობენ წითელი არმიელები და მეთაურები. ამ ლოზუნგით მიმდინარეობდა მთელი სამზადისი მანევრებისათვის და შედეგებიც ფრიად დამაკმაყოფილებელია და თვალსაჩინო.

წითელი ჯარის ნაწილები სავსებით მომზადებულნი გადიან მანევრებზე და ის მიზანი, რომელსაც ისახავს სარდლობა — მიღწეული იქნება.

ე.ხუციშვილი.

ქ. გორი, 26 აგვისტო. 1929 წ.

შეიარაღებული მუშები

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

გორის მუშათა ათასეულის დროებითი შტაბი მოთავსებულია ლენინის ქუჩაზე, მუშათა კლუბის შენობაში.

შტაბში შესავალ კარებს იცავს შაშხანა თოფით შეიარაღებული ახალგაზრდა მუშა.

ერთი კვირაა, რაც გორის ავიაქიმი შეუდგა ათასეულის ჩამოყალიბებას და მეცადინეობას რაზმელებთან.

დღეს ათასეული უკვე წარმოადგენს გაწვრთნილ ერთეულს, რომელიც წითელი არმიის ნაწილებთან ერთად შესძლებს სარდლობის დავალებების შესრულებას.

ათასეული სავსებით უზრუნველყოფილია მეთაურებით და პოლიტხელმძღვანელებით. ყველა რაზმელი შეიარაღებულია შაშხანა თოფით.

რაზმელთა შორის არიან ახალგაზრდები და ხანში შესული მუშა-მოსამსახურეები.

მეცადინეობის დროს კარგათ ასრულებენ სხვადასხვა ხერხებს, მოძრაობენ მწყობრად, კარგათ შეუთვისებიათ იარაღის ხმარება, მაგრამ, ეტყობა, რომ ათასეულს აკლია გაწვრთნა, დისციპლინის მნიშვნელობა ვერ შეუთვისებიათ და შეუგნიათ მტკიცედ. ეს ნაკლი, უეჭველია, გამოსწორდება „ბრძოლის" ველზე, როდესაც მუშები დაინახავენ თუ რა მნიშვნელობა აქვს დისციპლინას და მეთაურის ბრძანების უსიტყვოდ და სწრაფად შესრულებას „ბრძოლის" დროს.

გორის მუშათა ათასეული შეყვანილ იქნება წითელი ჯარის რომელიმე ნაწილში და იმოქმედებს ამ ნაწილთან ერთად, მხარ და მხარ.

ათასეული მოუთმენლად ელოდება ბრძანებას ველად გასასვლელად, ყველას დიდათ აინტერესებს მომავალი „ბრძოლები".

— თქვენ, ამხანაგო, თუ გიმსახურიათ წინათ წითელ ჯარში? — ვეკითხები ერთ რაზმელს, რომელსაც კოხტათ უკავია ხელში შაშხანა თოფი ხიშტით.

— არა, ამხანაგო! პირველად ავიაქიმში ვისწავლე სამხედრო საქმე, არც მანევრებზე ვყოფილვარ არას დროს — ეს პირველია ჩემი გასვლა მანევრებზე, ჯართან ერთად —მიპასუხებს იგი.

მუშების გარდა, ათასეულში არიან გლეხებიც გორის მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან.

გამოწყობილნი ქალამნებში ავიაქიმელი გლეხები გამოიყურებიან მამაცად და იმედია. რომ „ბრძოლების" დროს არ ჩამორჩებიან ქალაქელ ამხანაგებს.

ე. ხუციშვილი.

ქ. გორი, 26 აგვისტო, 1929 წ.

პოლიტმუშაობა მანევრებზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მანევრებმა უნდა შეამოწმონ წითელი ჯარის ნაწილების საბრძოლო მომზადება. ამავე დროს მანევრები წარმოადგენენ წითელი ჯარის ნაწილების პარტ-პოლიტაპარატის გამოცდას. მანევრებმა უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენათ არის მოქნილი ნაწილების პარტ-პოლიტაპარატი და როგორ შეეგუება იგი საბრძოლო პირობებს.

ნაწილების პოლიტორგანოებმა ჩაატარეს დიდი მუშაობა მანევრების ირგვლივ და შეიმუშავეს მუშაობის გეგმა მანევრების დროს. მთავარი ყურადღება მიქცეული ექნება მანევრებისათვის ხელის შეწყობას, რომ სარდლობის მიერ დასახული გეგმა შესრულებული იქნეს მთლიანად და უნაკლოდ. ამ მხრივ წითელარმიელთა და მეთაურთა შორის ჩატარდება სათანადო მუშაობა.

დიდი მუშაობა იქნება ჩატარებული მოსახლეობას შორის. სოფლად გაიმართება მიტინგები, კრებები, საზეიმო სხდომები, ჯგუფური და ინდივიდუალური საუბრები სხვადასხვა საკითხებზე.

სოფლად ჩატარებული იქნა კამპანია ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის, შემოდგომის თესვის, პურის დამზადების ირგვლივ. მანევრების დროს მოეწყობა ექსკურსიები კოლმეურნეობების, არტელების და კოლექტივების დასათვალიერებლად.

პოლიტაპარატის მიერ გამოკვლეული იქნება შვებულ წითელარმიელების მდგომარეობა და მუშაობა სოფლად.

ჩატარდება მუშაობა 1907 წ. დაბადებულთა გაწვევის ირგვლივ. სადაც შესაძლებელი იქნება, მოეწყობა გასაწვევთა საერთო კრებები.

მიღებული იქნება ზომები, რომ სოფლის მოსახლეობა ახლო გაეცნოს წითელი არმიის მიღწევებს და მის ტეხნიკას.

ჯარის ნაწილები სოფლებში აწარმოებენ კულტურულ მუშაობასაც. სოფლად გაიმართება წარმოდგენები, მშრომელ გლეხობის და წითელარმიელთა დაახლოების საღამოები.

მოეწყობა კინო-სეანსები, ნაწილებს თან მიაქვთ სამი მოძრავი კინო და ერთი რადიოსადგური. სოფლად იმუშავებენ აგიტ-ფურგონები, რომლებიც მოაწყობენ სამკითხველოებს და დაურიგებენ გლეხებს ლიტერატურას.

ყველა ნაწილების მიერ გამოშვებული იქნება მრავალტირაჟიანი გაზეთები, რომლებშიაც გაშუქდება მანევრების მსვლელობა და მუშაობა მოსახლეობას შორის.

ე. ხუციშვილი.

ქ. გორი, 26 აგვისტო..

მანევრების ქრონიკა

გუშინ გორში ჩამოვიდა წითელი ჯვრის რაზმი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას მანევრებში „ლურჯების" მხარეზე.

—:—

„ლურჯების" კორპუსის მეთაურათ დანიშნულია ამხ. კაზანსკი, პოლიტგანყოფილების უფროსად — ამხ. ნევრაევი.

—:—

კორპუსში შემავალ პირველ შეერთებულ დივიზიას მეთაურობს ამხ. ქუთათელაძე, დივიზიის სამხ. კომისრად გამოყოფილია ამხ. ნ. ბლუაშვილი.

—:—

მანევრების დროს გამოვა ყოველდღიური გაზეთი „ჩვენი პასუხი", რომელიც დაიბეჭდება მოძრავ სტამბაში.

„ჩვენი პასუხი"-ს პირველი ნომერი გამოვა 27 აგვისტოს.

—:—

დღეს, 26 აგვისტოს, „ლურჯები" და „წითლები" დაიჭერენ ისეთ მდგომარეობას, საიდანაც უნდა დაიწყონ „საომარი" მოქმედება და ელოდებიან სარდლობის ბრძანებას შემდეგი მოძრაობისათვის.

მანევრების დაწყებამდე წითელარმიელებთან ჩატარდება საუბრები იმის ირგვლივ, თუ რა მოვალეობა დაეკისრება ყოველ მებრძოლს პოზიციაზე.

სამხ. კოოპერაციის („ზაკვოენპო"-ს) გორის განყოფილება მზად არის მანევრებზე გასასვლელად.

მოძრავი დუქნები მომარაგებულია სურსათ - სანოვაგით და სხვა საჭირო ნივთებით.

—:—

გორის მუშათა ათასეულს შეუერთდნენ ქუთაისის და ხაშურის ავიაქიმ-რაზმები.

—:—

კვირას, საღამოს ლენინაკანიდან თბილისში ჩამოვიდა მუშათა რაზმი, რომელიც შეადგინეს ლენინაკანის მუშებმა. რაზმი თბილისში შეჩერდა რამდენიმე საათის განმავლობაში და შემდეგ დაუყოვნებლივ გაუდგა გზას კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრებში მონაწილეობის მისაღებად. ნავთლუღში მუშა-წითელარმიელებს შეეგებენ თავდაცვა - ავიაქიმის თბილისის საბჭოს მუშაკები.

—:—

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდა აზერბეიჯანის თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს მიერ ბაქოს მუშებისაგან შედგენილი ათასეული ჩამოვიდა აგრეთვე საკავშირო რაზმი, ქიმიური მწყობრი და წითელი ნახევარ მთვარის რაზმი.

საქართველოს კომკავშირის მესამე კონფერენცია

მეცხრე სხდომა

კონფერენციის მეცხრე სხდომა შესდგა რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში, ამხ. გ. ჯავახიძის თავმჯდომარეობით.

საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ კონფერენციამ მოისმინა

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

ამხანაგებო! ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა ახალი და ორიგინალურია. ეს სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი შეფასება და ჩვენი წინასწარმეტყველება ისტორიულ მოვლენათა მსვლელობის და განვითარების საქმეში მთლიანად გამართლდა. ის რაც ამჟამად ხდება ევროპასა და ამერიკაში წარმოადგენს კომინტერნის მე-6 კონგრესის მიერ წინასწარ გათვალისწინებულ პერსპექტივებს, რაც უკვე აღნიშნულ იქნა კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმზე.

მე-6 კონგრესის შემდეგ ვლაპარაკობდით, რომ ვიმყოფებით კაპიტალიზმის კრიზისების განვითარებაში.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებმა შესძლეს წარმოების აღდგენა ომამდე არსებულ დონემდე და ამის შემდეგ შეუდგნენ ბურჟუაზიული წარმოების რაციონალიზაციას. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არ იქნებოდა მტკიცე, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია დროებითია და მერყევი. ეს სტაბილიზაცია უკვე შეირყა და კაპიტალიზმს კრიზისების მდგომარეობაში გადადის. ასე, რომ ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით ომებისა და რევოლიუციის პერიოდში.

ბურჟუაზიამ შესძლო გაეტარებია კაპიტალისტური რაციონალიზაცია ზემოდან--ქვევით. მან შესძლო არა მარტო აღედგინა წარმოებისა, არამედ წინსვლაც მოახერხა. აგებული იქნა მთელი რიგი ახალი ფაბრიკა ქარხნები, რომლებიც თანდათან იზრდებიან.

ეს რაციონალიზაცია მთლიანად მუშათა კლასის ხარჯზე ჩატარდა, რამაც ამ უკანასკნელის საარსებო პირობების გაუარესება გამოიწვია. კაპიტალისტური წარმოება რაციონალიზაციამ იმ დონემდე მიიყვანა, რომ ის არ საჭიროებს მუშების შეგნებულ მონაწილეობას. მუშა იქ უბრალო ავტომატადაა გადაქცეული. ასეთ რაციონალიზაციამ ბურჟუაზია ტეხნიკის უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა. სათანადო ბაზრების უქონლობის გამო ბურჟუაზიული წარმოება დატვირთულია მხოლოდ სამი მეოთხედით. სწორედ სათანადო ბაზრების უქონლობაში ძევს მიზეზი ამერიკასა და ევროპის შორის მწვავე დამოკიდებულებისა. სწორედ იმაშია იმის მიზეზი, რომ მოსალოდნელია იმპერიალისტური ომი. ჰააგის კონფერენციაზე მომხდარი ამბები ნათლად ამტკიცებენ იმპერიალისტური ომის აუცილებლობას.

კარგა ხანია ორ სახელმწიფოს შორის, ამერიკასა და ინგლისს შორის ისმება მსოფლიო ჰეგემონიის საკითხი. ამ ორი ძლიერი სახელმწიფოს ირგვლივ ადგილი აქვს დაჯგუფებებს. ამ ნიადაგზე იქმნება სხვადასხვა სამხედრო პოლიტიკური კავშირები—ინგლის-საფრანგეთსა, ინგლის-იაპონიასა, საფრანგეთ-პოლონეთსა და სხვებს შორის.

ბურჟუაზიული სახელმწიფოები საგრძნობლად აძლიერებენ თავიანთ არმიებს. ასე, რომ შეიძლება ვსთქვათ, ბურჟუაზია კბილებამდე იარაღდება. თუ წინად თვითეულ სამხედრო ერთეულში უფროსთა შემადგენლობა 14 პროც. უდრიდა, ამჟამად ის 48 პროცენტამდეა გაზრდილი. თვითეული არმია ისეა შეიარაღებული, რომ ძველთან შედარება შეუძლებელია. მაგალითად, იმპერიალისტური ომის დროს დივიზია შეიარაღებული იყო 21 ტყვიისმფრქვეველით, ამჟამად დივიზიაში 354 ტყვიამფრქვეველია, ამერიკაში კი—940. მძიმე არტილერიით ეხლანდელი არმიები ორჯერ და სამჯერ უფრო შეიარაღებულნი არიან ძველ არმიებთან შედარებით.

ამჟამად კაპიტალისტური ქვეყნები ძალზე ანვითარებენ საზღვაო და საჰაერო ფლოტს.

ამავე დროს იზრდება ბურჟუაზიის ეჭვიანობა თავის არმიებისადმი. ამიტომ არმიებთან ერთად ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ ეგრედწოდებულ ფაშისტურ [illegible] ორგანიზაციებს. ეს არის ბურჟუაზიის კლასიური არმია, რომელსაც ის მაშინ გამოიყენებს, როდესაც დადგება ყოფნა-არყოფნის საკითხი—დაიწყება სამოქალაქო ომი.

დღემდე სოციალ-დემოკრატებს მიჰყვებოდა პროლეტარიატის დიდი ნაწილი. ს.-დემოკრატები გადაიქცნენ ბურჟუაზიის პარტიად, რომლებიც ათასგვარ ჭორებს და პროვოკაციას ეწევიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იქ, სადაც ძალა-უფლება სოციალ-დემოკრატების ხელშია, ან მათ საკმაო გავლენა აქვთ სახელმწიფო მმართველობაზე, ისინი ყველაზე აქტიურად ილაშქრებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატები გარდაიქცნენ კაპიტალისტური მშენებლობის აქტიურ მუშაკებათ. ისინი ბურჟუაზიასთან ერთად ამაგრებენ კაპიტალისტურ სამყაროს. ბურჟუაზია ენდობა სოც.-დემოკრატებს, ამიტომ მათ არავითარ საიდუმლოებას არ უმალავს. ამგვარ მოვლენას ადგილი აქვს როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთსა და ინგლისში.

ამხანაგებო! პირველ მაისს ქუჩები ყოველთვის პროლეტარიატს ეკუთვნოდა. 40 წლის განმავლობაში პირველი მაისი იყო მუშათა კლასის დღე. სოციალ-დემოკრატიულმა მმართველობამ და პოლიციამ ბერლინში მოინდომეს მუშათა კლასს ამ დღის წართმევა. პირველი მაისის და პირველი აგვისტოს ამბებმა სამუდამოდ დაარწმუნა მუშათა კლასი სოც. დემოკრატების გამცემლობაში. პირველ აგვისტოს სოციალ-დემოკრატებს უნდოდა მოეწყო მუშათა კლასის არ ნახული სისხლის ღვრა. მათი მიზანი იყო პირველ აგვისტოს ქუჩები თვითონ დაეპყრათ და აეკრძალათ პროლეტარიატისათვის ქუჩაში გამოსვლა. მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. 1 აგვისტოს მუშათა კლასი, კომპარტიის ხელმძღვანელობით გაბედულად გამოვიდა ყაჩაღურ ომის წინააღმდეგ. ამ ამბებმა დაგვანახვა, რომ მუშათა ფართო მასები მზად არიან აქტიურად გამოვიდნენ იმპერიალიზმის და მოსალოდნელ ახალი ომების წინააღმდეგ.

თუ წინათ ევროპის სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის ბლოკადით კმაყოფილდებოდენ, ამჟამად მათი ტენდენცია საზღვრებზე საომარი პროვოკაციების მოწყობაა. ამას მოწმობს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი ამბები, ის, რაც ხდება შორეულ აღმოსავლეთში მოწყობილია არა ჩინეთის ინიციატივით, არა ნანკინისა და მუკდენის ხელისუფლების მიერ, არამედ ისინი ანხორციელებენ იმ დირექტივებს, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმისაგან მიიღეს.

ჩან-კაი-შის ზურგს უკან სდგას მსოფლიო იმპერიალიზმი, რომლის მიზანსაც შეადგენს ომი. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ასეთ პროვოკაციაზე არას დროს არ წავა. ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით საკადრისი პროლეტარული პასუხი გავსცეთ იმას, ვინც შეეცდება ჩვენი წითელი საზღვრების გადმოლახვას.

ამხანაგებო! ხუთწლიანი გეგმა, რომელზედაც თქვენ საკმაო ყურადღება შეაჩერეთ, წარმოადგენს კომპარტიის მეორე პროგრამას. ამ გეგმის განხორციელება, რომელსაც ჩვენ უსათუოდ შევძლებთ, ნიშნავს სოციალიზმის შენების გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში. ინდუსტრიალიზაციის მიზანია ჩვენი აგრარულ-სამრეწველო ქვეყანა გარდააქციოს სამრეწველო-აგრარულ მხარეთ. კერძოთ ამიერ-კავკასიისათვის ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია ოქტომბრის რევოლიუციის შემდგომი განვითარების მეტად დიდმნიშვნელოვან ამოცანაა.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა იწვევს მთელ რიგ სიძნელეებს, რომლის გადალახვა აუცილებელია. ბურჟუაზიული ელემენტები ქალაქად და სოფლად ილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგ.

აქ ადგილი აქვს პარტიის ზოგიერთი წევრის მერყეობას, რაც მემარჯვენე გადახრაში გამოიხატება. თქვენ ალბათ წაიკითხავდით კომინტერნის აღმასკომის დადგენილებას ამხ. ბუხარინის შესახებ. ამხ. ბუხარინი მე-16 პარტ. კონფერენციის შემდეგაც მერყეობს. ის სიტყვით უარჰყოფს ამ მერყეობას, მაგრამ მისი გამოსვლებიდან და წერილებიდან ნათელია, რომ ამხ. ბუხარინს გადახრები ახასიათებს. ასეთი მდგომარეობა მოუთმენელი იყო. შეუძლებელია კომინტერნის ხელმძღვანელად იქნეს მერყევი ადამიანი. ამიტომ სწორი იყო კომინტერნის აღმასკომის დადგენილება ამხ. ბუხარინის კომინტერნის შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ.

მემარჯვენე გადახრა არ არის მარტო იდეოლოგიის საკითხი, არამედ ის გვხვდება პრაქტიკულ, ყოველდღიურ საქმიანობაში. თუ ამას ზოგიერთი ხელმძღვანელი ვერ ამჩნევს, ეს ყველაზე დიდი საშიშროებაა.

ჩვენს წვრილ-ბურჟუაზიულ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ მოიძებნებიან მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები, სადაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს რელიგიურ ცრუმორწმუნეობას, ეს გადახრა კიდევ უფრო საშიშია. ამიტომ ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მემარჯვენეობასთან ბრძოლას.

მემარჯვენე გადახრას ადგილი აქვს თვითეულ კუთხეში, ამიტომაც ვამბობთ, რომ მემარჯვენე გადახრა მთავარი საფრთხეა ჩვენს პარტიაში. ამჟამად ჩვენი ლოზუნგია—ფართოდ გავშალოთ თვითკრიტიკა, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის მშენებლობის ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. იმდენად, რამდენადაც ჩვენი პარტია ლეგალური მმართველი პარტიაა, ჩვენ ჩვენს თავს უნდა ვუწიოთ კრიტიკა, რადგან სხვას არ შეუძლია ჩვენი გაკრიტიკება ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. მართალია კრიტიკა შეუძლია მტრებსაც, მაგრამ მათი მიზანი ჩვენი წინსვლის შეფერხება იქნება.

რომ თვითკრიტიკა ერთად-ერთი მძლავრი იარაღია ჩვენი წინსვლისათვის, ამას ამტკიცებს ბაქოს ორგანიზაციაში მომხდარი ამბები. იქ ხელმძღვანელები მოწყვეტილი იყვნენ მასას, იქ მთელ რიგ უმსგავსოებას ჰქონდა ადგილი. ეს მოხდა იმიტომ, რომ არ იყო ბოლშევიკური თვითკრიტიკა გაშლილი ისე, როგორც ეს საჭიროა.

თვითკრიტიკა შინაპარტიულ დემოკრატიის, მძლავრი იარაღია, ეს პროლეტარული დემოკრატიის იარაღია, ამიტომ მის ფართოდ გაშლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახალი კადრების მომზადება და მუშათა დაწინაურება ჩვენი ქვეყნის სოც. მშენებლობის ძირითადი ამოცანაა. ამიტომ ახალი კადრების მომზადებას პარტია, ხელისუფლება და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, საკითხი იმის შესახებ, შევძლებთ თუ არა ჩვენ ასეთი კადრების შექმნას, უზრუნველჰყოფთ თუ არა ჩვენს მშენებლობას ჩვენს ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის [illegible] საკითხია. მის გადაჭრაზე დამოკიდებულია 5 წლიანი გეგმის განხორციელებაც.

გარდა ამისა საჭიროა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერება ახალი კადრების მასიურად მომზადებისათვის. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს ჩვენი სახალხო განათლება. დღემდე სახალხო განათლების სისტემას ჰუმანიტარული განხრა ახასიათებდა. ეს სისტემა უნდა შეიცვალოს კადრების კომუნისტურად აღზრდის სისტემით.

კომკავშირს აქვს უდიდესი მიღწევები მუშაობის სხვადასხვა დარგში. მან ჩაატარა ლაშქრობა მოსავლიანობის გადიდებისათვის, მანვე მოაწყო კულტურული ლაშქრობა, ის სისტემატიურად ებრძვის ბიუროკრატიზმს და სხვა.

კომკავშირი არ დაიღება კულტურულ მშენებლობის გაძლიერების მხოლოდ პიონერად, არამედ ის განუწყვეტელ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ გარდაქმნის საქმეში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და კომკავშირის აქტიური მონაწილეობით ჩვენ შევსძლებთ ყოველგვარი გადახრების დაძლევას. ხუთწლიან გეგმის საფუძვლებზე ახალი კადრების მომზადებით ჩვენ შევსძლებთ სოც. მშენებლობის კიდევ უფრო ჩქარი ტემპით განვითარებას და უდიდეს შედეგებს მივაღწევთ საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის წინსვლის საქმეში.

მეათე სხდომა

მეათე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ნესტეროვის მოხსენება სოფლის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის შესახებ (მოხსენებას მოვათავსებთ შემდეგ ნომერში).

ამხ. ნესტეროვის მოხსენების შემდეგ იმავე სხდომაზე გაიმართა კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ჯავახიშვილმა, გუგავამ, ბიჭვაიამ, ლაბარტყავამ, დოდუაშვილმა, კაკაბაძემ, ნუცუბიძემ, ჭანტურიამ, ბერბერაშვილმა, კვაშილავამ და ბურჯანაძემ.

ამავე სხდომაზე მოჯამაგირეთა სახელით კონფერენციას მიესალმენ მოჯამაგირეები— წიკლაური და გასანოვი.

მიღებული იქნა დეპეშა ამხ. ფაბრიციუსის ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ. კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა შეუდრეკელ მებრძოლის ხსოვნას.

ამხ. ლანცუცკის წერილი

საქ. კომკავშირის მესამე კონფერენციას

ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს კომკავშირელებო!

რადგან მე საშუალება არა მაქვს პირადათ წარსვდგე თქვენს წინაშე და მოგესალმოთ პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის და ბელორუსიის მუშათა და გლეხთა სახელით, ამიტომ მოგმართავთ წერილით. მუშურ-გლეხური პოლონეთი გიძღვნით თქვენ მხურვალე რევოლიუციონურ სალამს.

თქვენი კომკავშირის მესამე კონფერენცია მიმდინარეობს მეტად საპასუხისმგებლო მომენტში—როდესაც იმპერიალისტური ომის საფრთხე და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესაძლებლობა მეტად მოახლოვდა და რეალური შეიქნა. საერთაშორისო ბურჟუაზია ინგლისის მეთაურობით ენერგიულად ემზადება ახალი იმპერიალისტური ომისათვის. ჩინეთში მომხდარი ამბები გვიმტკიცებენ, რომ მაკდონალდის მთავრობა ყოველგვარ დახმარებას უწევს ჩინეთის ბანდიტებს, როგორც რჩევა-დარიგებით, ისე ფულით და იარაღით. სოციალ-დემოკრატებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ერთად-ერთი დამცველნი არიან კაპიტალისტებისა და რომ მათ სურთ გამოიყენონ მოხერხებული მომენტი, რათა თავს დაესხენ მსოფლიოს პროლეტარიატის სამშობლოს— საბჭოთა კავშირს.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ყაჩაღურად ხელში ჩაგდება, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩინელ ჯარისკაცთა და თეთრგვარდიელთა თავდასხმა ინგლისის მუშათა პარტიის მთავრობის ინიციატივით და წაქეზებით,—ყოველივე ეს მოწყობილია იმისათვის, რომ გამოწვეულ იქნას ახალი იმპერიალისტური ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამხანაგებო, საქართველოს კომკავშირლებო! თქვენ, როგორც მუშათა კლასის ავანგარდმა, კარგად იცით, რომ მსოფლიო პროლეტარიატს თავისუფლების გარანტიას მხოლოდ საბჭოთა კავშირის სიძლიერე აძლევს. საბჭოთა კავშირის დამარცხება გამოიწვევს ნაციონალური რესპუბლიკების მიერ თავისუფლების დაკარგვას. საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობიანობა, მაგრამ თუ საერთაშორისო ბანდიტები და ინგლისის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა აამხედრებენ ჩინეთს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაშინ თქვენს მოვალეობას შეადგენს იარაღის აღება და თავდამსხმელთა წინააღმდეგ გალაშქრება. საბჭოთა კავშირის დაცვით თქვენ დაიცავთ საქართველოს საზიზღარ საერთაშორისო კაპიტალიზმისაგან.

დასავლეთის პროლეტარიატი და მათ შორის პოლონეთის მშრომელთა მასები, დაიცავენ საბჭოთა კავშირს და იმპერიალისტურ ომს უპასუხებენ სამოქალაქო ომით. პოლონეთის პროლეტარიატი არავითარ მსხვერპლს არ მოერიდება და იარაღს არ დაჰყრის იმ დრომდე, სანამ არ დაამსხვრევს საზიზღარ კაპიტალისტურ წესწყობილებას და არ შექმნის საბჭოთა პოლონეთს, რომელიც შეუერთდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიას!

გაუმარჯოს საქართველოს ლენინურ კომკავშირს!

გაუმარჯოს კომინტერნს!

სტანისლავ ლანცუცკი.

თბილისი, 25 აგვისტო, 1929 წელი.

მეთერთმეტე სხდომა

კონფერენციის მეთერთმეტე სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ნესტეროვის მოხსენების გარშემო. ილაპარაკეს: ამხ. ხუდაბაშიანმა, გასიევმა, კვანტალიანმა, დელმერმა, ჟუკოვსკიმ, ვოზზა, ამირზაგულიანმა, ცქიტიშვილმა, პრავდენკომ, მარგარიტა ზვიადაძემ, ანტონოვმა.

ამავე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ლანცუცკის წერილის ტექსტი. გარდა ამისა ამავე სხდომაზე კონფერენციას მიესალმა ა. კ. ი.-ს დელეგაცია.

ა. კ. ი.-ს დელეგაცია კონფერენციაზე

კონფერენციის დელეგატები მქუხარე ტაშის ცემით და ვაშას ძახილით შეხვდა ა. კ. ი.-ს დელეგაციას.

დელეგაციის სახელით კონფერენციას მიესალმა შვედელი კომკავშირელი ამხ. რიზბერგი.

ამხ. რიზბერგის სიტყვა

ამხანაგებო! შვეციის, გერმანიის და შვეიცარიის დელეგაციის სახელით ნება მიბოძეთ გადმოგცეთ მხურვალე კომკავშირული სალამი.

ჩვენი მოგზაურობის მიზანია შევისწავლოთ საბჭოთა რესპუბლიკების სოციალისტური მშენებლობა, შევისწავლოთ თქვენი ყოველდღიური მუშაობა და ამასთან ერთად განვამტკიცოთ ინტერნაციონალური კავშირი საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნის კომკავშირის ორგანიზაციებს შორის.

მთელი ქვეყნის პროლეტარიატი უკანასკნელამდე დაიცავს საბჭოთა კავშირს ინგლისის, ამერიკის და იაპონიის იმპერიალისტურ პოლიტიკისაგან. მთელი ქვეყნის კომკავშირლები, როგორც ერთი კაცი დადგებიან საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ამხ. კირშის სიტყვა

(დელეგაციის თავმჯდომარე)

ა.კ.ი.-ს დელეგაციას საბჭოთა კავშირში მოგზაურობა მოუხდა იმ მომენტში, როდესაც მომწიფებულია ომის საშიშროება, ჩინეთის საზღვრებზე მზადდება ახალი იმპერიალისტური ომი.

ჩვენ მოვედით საქართველოში სწორედ იმ მომენტში, როდესაც თქვენ ატარებთ გასამხედროებას და სამხედრო მანევრებს.

ამხანაგებო! უნდა განვაცხადოთ შემდეგი: ჩვენ, რომლებიც გამოგზავნილი ვართ კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარულ ახალგაზრდობიდან, კარგათ ვიცით, რომ მსოფლიო იმპერიალიზმი ემზადება ახალ იმპერიალისტურ ომისათვის, რომ ის ამჟამად აგებს ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, რომლებიც კაპიტალიზმის არმიას სამხედრო იარაღს მიაწოდებს. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ მუშათა კლასი დაიცავს საბჭოთა კავშირს. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ მუშა-ახალგაზრდობა, კომკავშირის ხელმძღვანელობით, ჩადგება საერთაშორისო წითელ არმიის რიგებში, რომ დაიცვას საბჭოთა ქვეყანა.

ამჟამად საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა, საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელობით აგროვებს საშუალებებს ტანკ „საქართველოს კომკავშირელი"-ს ასაგებათ. საერთაშორისო კომკავშირის დელეგაციის სახელით მე ვესალმები ამ წამოწყებას და შემოგვაქვს 50 მანეთი (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო! ჩვენ ჩვენს დახმარებას არ განვსაზღვრავთ გაღებულ წვლილით. როდესაც დავბრუნდებით ჩვენს ქვეყნებში ჩვენ გავაძლიერებთ მუშაობას მოსალოდნელ იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ. ჩვენ ენერგიულ მუშაობას ჩავატარებთ მუშა-ახალგაზრდები იმ მიმართულებით, რომ მან გაიგოს მომავალი იმპერიალისტური ომის მთელი საშინელება

ჩვენ გესალმებით თქვენ ახ. საერთაშორისო მე-15 დღის გარიჟრაჟზე, როდესაც მთელი ქვეყნის ახალგაზრდობა ქუჩებში გავა დემონსტრატიულად ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დასაცავად.

გადაჭრით ვაცხადებთ, რომ სამხედრო მანევრებში, რომელიც ჩატარდება საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენ აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ.

ამხ. გ. ჯავახიძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ დელეგაციას არ ჰქონდა საშუალება დაწვრილებით გაცნობოდა ჩვენი კონფერენციის პრაქტიკულ მუშაობას, რომელიც მთლიანად საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის საქმის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. სამწუხაროთ დელეგაციას საშუალება არ ჰქონდა გაცნობოდა დელეგატების ცალკე გამოსვლებს, რომელიც დაკავშირებული იყო მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციასთან. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ დელეგაცია, იმ ხნის განმავლობაში, რომელსაც ის საბჭოთა კავშირში დაყოფს, დაწვრილებით გაეცნობა იმ პრაქტიკულ მუშაობას, რომელსაც აწარმოებს საკავშირო კომკავშირი და, კერძოთ, საქართველოს ორგანიზაცია.

საქართველოს კომკავშირსაც აქვს თავისი წარსული. მან გაიარა იატაკ ქვეშ მუშაობა, გადასახლების და სხვა პერიოდი, რათა მუშათა კლასთან ერთად ხელში აეღო ძალაუფლება. საქართველოს კომკავშირმა განვლო შიმშილის პერიოდი, რათა აღედგინა საქართველოს სახალხო მეურნეობა. საქართველოს კომკავშირი დღესაც მთელი თავისი ენტუზიაზმით და ენერგიით მუშაობს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის.

დეე უცხოელ ამხანაგებმა იცოდნენ, რომ ჩვენ აქ მუშაობა გვიხდება მძიმე პირობებში. ჩვენ ბევრი მსხვერპლის გაღება გვიხდება იმისათვის, რომ ვაშენოთ მძიმე ინდუსტრია, ავაგოთ ახალი ფაბრიკა-ქარხნები. ამას ჩავდივართ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა, რომლისგანაც დამოკიდებულია მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საზღვარგარეთული კომკავშირი, ევროპის მუშა ახალგაზრდობა, აღმოსავლეთის მუშა ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ გამოგზავნის, არც ერთ ტყვიას.

საბჭოთა კავშირის მუშა-ახალგაზრდობა, საქართველოს მუშა-ახალგაზრდობა მტკიცედ არის დარწმუნებული იმაში, რომ კაპიტალისტური ქვეყნების არც ერთი ჯარისკაცი, რომლებიც გამოსული არიან მშრომელთა ოჯახებიდან, არ იზამს იმას, რომ ხიშტზე წამოაგოს მისი თანამებრძოლი—წითელი არმიელი.

ამხანაგებო! დასავლეთელ ამხანაგების და მუშათა კლასის განწყობილებაა პროლეტარულ სამშობლოს დასაცავად, რადგან ჩვენი სამშობლო არის მათი სამშობლოც. მაგრამ არიან ისეთი ბნელი ძალები, რომლებიც საბჭოთა კავშირზე ქმნიან ცრუ შეხედულებებს. არიან ისეთი ბნელი ძალები, რომლებიც ცდილობენ დაარწმუნონ მუშები, რომ საბჭოთა კავშირი ბოროტების ქვეყანაა.

ამიტომ უცხოეთის კომპარტიის და კომკავშირის ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა კლასს დაანახონ თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში.

ნება მომეცით ჩვენი კონფერენციის სახელით განვაცხადო, რომ იმ მომენტში, როდესაც ამას მოითხოვს მთელი ქვეყნის მშრომელთა ინტერესები, დავხარჯოთ არა მარტო მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი სიმამაცე არამედ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ შევსწიროთ საერთო საქმეს საკუთარი სიცოცხლეც.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ამხ. ტატანაშვილი.

ამის შემდეგ კონფ. დელეგაციასთან ერთად იმღერა ინტერნაციონალი, რის შემდეგ სხდომამ მქუხარე ტაშის ცემით და „ვაშა"-ს ძახილით გააცილა ძვირფასი სტუმრები.

მეთორმეტე სხდომა

მეთორმეტე სხდომაზე გაგრძელდა კამათი სოფლად მუშაობის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ: ამხ. ულენტი, კიკორია, ჩიხლაძე და ბოსტანჯიევი.

კამათის დასრულების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ნესტეროვის საბოლოო სიტყვა.

დასასრულ არჩეულ იქნა კომისია სათანადო რეზოლიუციის შესამუშავებლად.

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ტატანაშვილის მოხსენება სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ.

სამანდატო კომისიის მოხსენება

საქ. კომკავშირის მესამე კონფერენციას დაესწრო 273 კაცი. ამათგან: სათათბირო ხმის უფლებით—74 კაცი (27.1 პროც.) მეორე კონფერენციას კი დაესწრო 185 დელეგატი. ე. ი. მიმდინარე კონფერენცია წარმოდგენილია 108 კაცით მეტი, ვიდრე ეს მეორე კონფერენციაზე იყო.

მეორე კონფერენციაზე ვაჟები იყვნენ 129 (94,9 პროც.), ქალები—7 (5,1 პროც.), მესამე კონფერენციაზე კი—166 კაცი გადამწყვეტი ხმის უფლებით (83,4 პროც.), ქალები—33 (16,6 პროც.), მუშები მეორე კონფერენციაზე იყო 48 (35,3 პროც.), დაზგის მუშები—12 (8,8 პროც.), მოჯამაგირეები—0, ღარიბი გლეხი—29 (21,3 პროც.), სხვა—46 (33 8 პროც.), მესამე კონფერენციას ესწრება მუშა—55 (27,7 პროც.), დაზგის მუშა—53 (26 7 პროც.), მოჯამაგირე—15 (7,6), ღარიბი გლეხი—34 (17,0 პროც.), სხვა—36 (10,0 პროც.).

ნაციონალური შემადგენლობა. ქართველი მეორე კონფერენციაზე იყო—80 (58,8 პრ.), სომეხი—22 (16,2 პროც.), თურქი—4 (2,9 პროც.), რუსი—13 (9,5 პროც.), ოსი—5 (3,7 პროც.) და სხვა.

მესამე კონფერენციას ესწრება ქართველი—134 (67,3 პროც.), სომეხი—21 (10,6 პროც.), თურქი—5 (2,5 პროც.), რუსი—15 (7,5 პროც.); ოსი—7 (3.5 პროც.) და სხვა.

დელეგატების დასწრება კონფერენციის სხდომებზე 86,6 პროც. უდრიდა.

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ სათანადო შესწორებით მიიღო რეზოლიუციები ყველა მოხსენების გარშემო.

კონფერენცია დაიხურა ამხ. ჯავახიძის მოკლე სიტყვით.

საქ. კომკავშირის ცეკას მეოთხე პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში შესდგა საქ. კომკავშირის ცეკას მეოთხე პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორგანიზაციული საკითხები.

ამხ. აზარაშვილი, კომკავშირში მუშაობიდან განთავისუფლების გამო, გამოყვანილ იქნა ცეკას სამდივნოს შემადგენლობიდან. მის მაგივრად ცეკას სამდივნოს წევრად შეყვანილ იქნა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ალ. ხომახურიძე. ცეკას სამდივნოს კანდიდატათ დამტკიცებულ იქნა ამხ. ქ. ბუჯიაშვილი.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს პასუხისმგებელ რედაქტორად დამტკიცებულ იქნა ამხ. აკ. მახათაძე. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" პასუხისმგებელ რედაქტორად—ამხ. ხომასურიძე.

ამხ. აკ. მახათაძის ნ. პ. ცენტრალურ ბიუროდან განთავისუფლების გამო ნ. პ. ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ბეჟვაია.

ცეკას წევრების შემადგენლობიდან გამოყოფილ იქნენ: ჩხეტია,—ოპოზიციონური მუშაობისათვის და ამხ. წერეთელი—ინტრიგანობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომის თესვის კამპანია საფრთხეში

მიწადმოქმედების კომისარიატი აცხადებს რომ „თუ 2--3 დღეში მიღებული არ იქნება საჭირო თანხები, მდგომარეობის გამოსწორება ძნელი იქნება“-ო.--„თანხები უნდა გამოინახოს და შეიძლება გამოინახოს სას.-სამეურნეო კრედიტების სისტემაში“-ო,--უპასუხებს ა.-კ. მუშგლეხინის წარმომადგენელი

შემოდგომის თესვის კამპანიის ამოცანები

მიმდინარე წლის შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების დროს ამოცანად არის დასმული შემოდგომის ნათესების სივრცის გადიდება 15.000 ჰექტარით ანუ 6,8 პროცენტით შარშანდელთან შედარებით. შემოდგომის ნათესების საერთო სივრციდან ინდივიდუალურმა მეურნეობებმა უნდა დასთესონ 215.400 ჰექტარი, კოლექტიურმა მეურნეობებმა 20.000 და საბჭოთა მეურნეობებმა — 2.000 ჰექტარი. მოსავლიანობა საერთოდ უნდა გაიზარდოს არა ნაკლებ 5,4 პროცენტით, კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — არა ნაკლებ 15 პროცენტით.

ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა შემდეგ აგრონომიულ ღონისძიებათა ჩატარება: დასათესი სივრცის არა ნაკლებ 31,6 პროცენტის ადრე მოხვნა, 55,5 პროცენტის მოხვნა გუთნით, 4,3 პროც. ტრაქტორით და სათესი სივრცის არა ნაკლებ 2,9 პროცენტის დათესვა მწკრივში.

ხარისხოვანი თესლით საქართველოში უნდა დაითესოს არა ნაკლებ 1.000 ჰექტარისა. მინერალური სასუქით უნდა განოყიერდეს 5.000 ჰექტარი.

სათესლე მასალის მოთხოვნილება დიდია. საჭიროა 442.200 ფუთი თესლი.

შემოდგომის თესვის ჩასატარებლად საჭიროა 3.159. 000 მანეთი.

რა გააკეთა და რას აკეთებს მიწსახკომი

მთავარი ფინანსების საკითხი

(საუბარი მიწადმოქმედების სახ. კომისართან — ამხ. ს. ჟუღელთან)

თესვის კამპანიის ჩატარება მოითხოვს ყველა ძალებისა და შესაძლებლობათა მობილიზაციას. მაგრამ ჩვენში მეტად ცუდი თვალსაზრისია განმტკიცებული კამპანიების ჩატარებისა და კერძოთ თესვის კამპანიის ჩატარების დარგში. მუშაობენ მხოლოდ მაშინ, როცა ახლოვდება თესვის პერიოდი, დანარჩენი დრო კი გამოუყენებელი რჩება ამ მიზნისათვის. საჭიროა ეხლავე გადაჭრით და მტკიცედ დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ მუშაობა გაზაფხულისა და შემოდგომის თესვის კამპანიების ჩასატარებლად სწარმოებდეს განუწყვეტლივ, მთელი წლის განმავლობაში. არ შეიძლება დაკმაყოფილება მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდით. მთელი წლის განმავლობაში უნდა სწარმოებდეს მუშაობა წარსული შეცდომების გამოსამჟღავნებლად და ფართო ღონისძიებების შესამუშავებლად სასოფლო მეურნეობის დარგში დასახულ ამოცანების წარმატებით გადაჭრის უზრუნველსაყოფად. თუ ეს აზრი ჩვენ მტკიცედ არ შევითვისეთ, საფრთხეში ჩავაგდებთ დასახული გეგმების შესრულებას და, მაშასადამე, ხუთწლიან გეგმასაც. ეს კი არ უნდა მოხდეს.

თესვის კამპანიისათვის ფინანსების მიწოდებას უსათუოდ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ამჟამად ადგილობრივი ორგანოები სრულიად არ ზრუნავენ ფინანსებზე თესვის კამპანიისათვის. ისინი იმედებს ამყარებენ ცენტრზე, რომელიც „ფულებს გაიღებს“. უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ ადგილობრივ ხარჯთ - აღრიცხვებში შეტანილი იქნეს თესვის კამპანიისათვის საჭირო თანხები.

რა მდგომარეობაშია შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების საქმე საქართველოში?

13 ივლისს საქართველოს სახკომსაბჭომ დაამტკიცა თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა. სულ ჩქარა ამის შემდეგ საქ. მიწსახკომმა თვითეულ მაზრას მისცა მტკიცე დავალება შემოდგომაზე დასათეს სივრცის აბსოლიუტური ციფრების აღნიშვნით. გარდა ამისა, მაზრებს მიეცა დირექტივა დასათეს მიწების სივრცე გაენაწილებიათ რაიონების მიხედვით. პასუხისმგებლობა მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის დაკისრებული აქვს თესვის ჩამტარებელი სამეულების თავმჯდომარეებს. ინსტრუქცია თესლის დაწამლვის, ყველა რესურსების მობილიზაციის შესახებ და სხვ. მიწადმოქმედების კომისარიატმა დროზე მისცა ადგილებს. მთელი მოსამზადებელი მუშაობა თესლის დაწამლვისათვის უკვე ჩატარებულია და ხუთი რაზმის გაგზავნა ადგილებზე ყოვნდება მხოლოდ თანხების სიმცირის გამო.

მავნებლებთან საბრძოლველად საჭირო საშუალებათა ნაწილი უკვე გაგზავნილია ადგილებზე. მუშათა ბრიგადები, სათანადო ინსტრუქციების მიღების შემდეგ, გაემგზავრნენ სოფლად და შეუდგნენ ტექნიკური დახმარების აღმოჩენას უღარიბესი გლეხობისათვის. უახლოეს დროში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გაემგზავრება აგრონომიული ფაკულტეტის 14 სტუდენტი, რომლებიც ადგილობრივ აგრონომიულ ძალებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საწარმოო გეგმების შედგენაში რაიონული მასშტაბით, სასოფლო საწარმოო თათბირების მოწყობაში და სხვ.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა მობილიზაცია უყო მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტებსაც, რომლებიც აგრეთვე იგზავნებიან ადგილებზე.

1-ლ სექტემბერს იხსნება სასოფლო აქტივის გადასამზადებელი კურსები 450 კაცისათვის, უმთავრესად აგრორწმუნებულებისათვის, რომელთა არჩევა ამჟამად სასწრაფო ტემპით მიმდინარეობს.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენ კოლმეურნეობებს. მათ უნდა დასთესონ 21.000 ჰექტარი. 27 კოლმეურნეობა, სადაც ჩატარებულია მიწადმოწყობა, გადაჰყავთ მინდვრის თესლბრუნვაზე და 100 პროცენტით უნდა შეასრულონ აგრომინიმუმი. წარსულ წელთან შედარებით კოლმეურნეობათა სივრცე გადიდებული იქნება 50 პროცენტზე მეტით.

ტრაქტორების რაციონალურად გამოყენებას მაქსიმუმი ყურადღება ექცევა. მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოაშკარავა ტრაქტორების სუსტი დატვირთვა, რომელიც საშუალოდ ნორმალური დატვირთვის 40—50 პროცენტს არ აღემატება, ცალკე შემთხვევებში კი ნორმალური დატვირთვის 10—15 პროცენტს აღწევს. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია და მიწსახკომმა მთელი რიგი ღონისძიებები შეიმუშავა ტრაქტორების დატვირთვის გასადიდებლად. სხვათა შორის, როგორც ტრაქტორების მფლობელებს, ისე ტრაქტორისტებს მიცემული აქვთ გაფრთხილება, რომ თუ თესვის კამპანიის დასრულების შემდეგ მიცემული საწარმოო დავალება მათი მიზეზით შეუსრულებელი აღმოჩნდა, დაისმება საკითხი ტრაქტორის ჩამორთმევის ან ტრაქტორისტის მოხსნის შესახებ სამსახურიდან, ამ თანამდებობის დაკავების უფლების წართმევით. ეწყობა ხუთი სატრაქტორო გუნდი, რომლებიც იმუშავებენ თბილისის და კახეთის ოლქში.

საბჭოთა მეურნეობებს დავალება მიეცა შარშანდელთან შედარებით 50-ზე მეტი პროცენტით გაადიდონ შემოდგომის ნათესი სივრცე.

საქართველოს მიწადმოქმედების კომისარიატი ყოველ ღონეს ხმარობს შემოდგომის თესვის წარმატებით ჩასატარებლად. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შემოდგომის თესვის კამპანია ჩატარებული იქნება ისე, როგორც ამას მოითხოვს საერთოდ სახალხო მეურნეობის ინტერესები.

აუცილებელია თანხები, რომლებიც მიწსახკომს საჭირო რაოდენობით არ მოეპოვება; თუ ჩვენ უახლოესი 2—3 დღის განმავლობაში არ მივიღებთ თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად შესაფერ გადამწყვეტ ღონისძიებებს, მდგომარეობის გამოსწორება ძნელი იქნება.

შემოდგომის თესვის გეგმის შესრულება საფრთხეშია.

საჭირო საშუალებები შეიძლება გამოინახოს

ამ.-კავკ. მუშგლეხინის სას.-სამ. ჯგუფის ხელმძღვანელმა ამხ. **კილასონიძემ** ჩვენს თანამშრომელს განუცხადა: მიმდინარე წლის შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებას ელობება დაბრკოლებები, რომელთა დაუძლევად შეუძლებელია მისი წარმატების უზრუნველყოფა. თესვის გეგმის წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად პირველ ყოვლისა საჭიროა თესლის გადაცვლის პროგრამის განხორციელება იმ რესურსებიდან, რომელიც ამიერ - კავკასიაში გამოყოფილია შემოდგომის თესვის კამპანიისათვის. მეორე, საჭიროა თესვის კამპანიის არსებითი და გადაუდებელი საჭიროებების ფინანსიურად უზრუნველყოფის გეგმის შესრულება, როგორიცაა: მანქანების მომარაგება, თესლის დამზადება და აგრეთვე აუცილებელ აგროკულტურულ ღონისძიებათა და აგრომინიმუმის გატარება და სხვ.

სას.-სამეურნეო კრედიტის სისტემის — შემოდგომის თესვის კამპანიის ფინანსებით უზრუნველმყოფელი ძირითად წყაროს ფინანსიური მდგომარეობა ძლიერ გართულებულია. საკავშირო ორგანოებიდან საშუალებების მიღების პერსპექტივა თითქმის არ არის. ეს გარემოება აუცილებელს ხდის სოფლის საბჭოთა საზოგადოებრიობის და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანოების მთელი ყურადღება მიექცეს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემაში დაგროვილ თანხების მაქსიმალურად გამოყენებას და ვადა გადაცილებულ სესხების შეკრებას. სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო სისტემის საშუალებების შეკრების და მობილიზაციის საქმეში ადგილი არ უნდა ექნეს სისუსტეს, რადგან შემოდგომის თესვა მიმდინარეობს სასოფლო მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის პერიოდში და სოფლად თავს იყრის თანხები. ვადაგადაცილებულ სესხების გადახდა განსაკუთრებულ მძიმე ტვირთად სოფელს არ დააწვება.

ამ საშუალებების წარმატებით შეკრება დიდად არის დამოკიდებული სოფლის პარტიულ, კომკავშირის, პროფესიონალურ და სხვ. ორგანიზაციების ენერგიაზე.

ტრაქტორების რაციონალურად გამოყენებისათვის

(თათბირი მიწადმოქმედების კომისარიატში)

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში შესდგა თბილისის აღმასკომის, „სოფლის კავშირი“-ს, წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენელთა და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სპეციალისტების თათბირი.

თათბირზე მოსმენილ იქნა აგრონომ კიზირიას მოხსენება მომავალ შემოდგომის თესვაში ტრაქტორების რაციონალურად გამოყენების შესახებ.

თათბირის დადგენილებით, კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორებმა და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის მონტიორ-ინსტრუქტორებმა უახლოეს ხანში უნდა შეამოწმონ აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ტრაქტორების მდგომარეობა, უხელმძღვანელონ დაზიანებულ ტრაქტორების შეკეთებას და რაიონის აგრონომებთან ერთად ტრაქტორებისათვის უნდა შეიმუშაონ მოხვნის საოპერაციო გეგმა.

ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობათა ინსტრუქტორები გაემგზავრებიან დასავლეთ საქართველოში ასეთივე მუშაობის ჩასატარებლად, ხოლო მონტიორ ინსტრუქტორები დარჩებიან აღმოსავლეთ საქართველოში სამუშაოდ ხვნის დამთავრებამდე. მონტიორ - ინსტრუქტორები ტექნიკურ ხელმძღვანელობას გაუწევენ შემკეთებელ სახელოსნოების და მუშათა ბრიგადების მუშაობას.

დასავლეთ საქართველოში მოსავლიანობის აწევის მიზნით თათბირმა საჭიროდ სცნო შემოდგომაზე ფართოდ იქნას წარმოებული გაზაფხულზე დასათეს მიწების დახვნა აოშვა. ამ საქმეში ფართოდ უნდა გამოიყენონ დასავლეთ საქართველოში არსებული ტრაქტორები.

თათბირმა საჭიროდ სცნო აგრეთვე დაჩქარებით დამთავრდეს კოლმეურნეობათა გამოკვლევა, რომლის დროს აღმოჩენილ ცრუ კოლექტივებს დაუყოვნებლივ ჩამოერთვას ტრაქტორები და ისინი მაქსიმალურად იქნან გამოყენებული შემდგომი თესვის კამპანიაში.

დაჩქარებით უნდა მოგვარდეს ტრაქტორების სათბობი მასალით უზრუნველყოფა. სასოფლო - სამეურნეო ბანკიდან გამოთხოვილ იქნას 10.000 მან. გრძელვადიანი სესხი ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების შესაძენად.

სამაზრო აგრონომების დასახმარებლად თათბირმა საჭიროდ სცნო აგრონომიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის 14 სტუდენტის მოწვევა 2 თვის ვადით. აღნიშნული სტუდენტები დაიგზავნებიან მაზრებში და სამაზრო აგრონომების ხელმძღვანელობით ჩაატარებენ ადგილებზე აგრონომიული ხასიათის მუშაობას.

ქუთაისის ოლქში

საოლქო კომიტეტის პლენუმი

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 26 აგვისტო. 25 აგვისტოს, შესდგა ქუთაისის, შორაპნის და რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო პარტიულ კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი, საკონტროლო სამეულებთან ერთად. თანახმად ცეკას დადგენილებისა, პლენუმის მიერ გაუქმებული იქნა ქუთაისის, შორაპნის, რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტები და შექმნილ იქნა ქუთაისის საოლქო კომიტეტი ქუთაისის, რაჭა-ლეჩხუმის შორაპნის სამაზრკომების პლენუმების შემადგენლობით. ოლქში დამტკიცებულ იქნა 16 რაიკომი. რაიკონფერენციები ჩატარდება სექტემბრის თვის პირველ ნახევარში.

გაერთიანებულ პლენუმის მიერ საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: წევრებად—ამხ. **დარახველიძე, კორსაველი, ღვამიჩავა, საჯაია, ქერვალიძე, ნადირაშვილი, ალავიძე, სანებლიძე, ქერესელიძე, ნამჩევაძე, ბლუაშვილი, შავლაძე, შარიკაძე, კუხიანიძე, კალანდაძე, ქუთათელაძე** და **ჯანჯღავა**; კანდიდატებად: **ბერიძე, გულოვი, მინონსიანი, კაკაბაძე, ახობაძე, ლარცულიანი, გვასალია.**

საოლქო კომიტეტის მდივნად გამოყოფილ იქნა **ვასილ დარახველიძე**, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ—**თ. კორსაველი**, აგიტპროპ-განყოფილების გამგედ—**ჯანჯღავა**, ქალთა განყოფილების გამგედ—**კოსტავა**. საოლქო კომიტეტის საკონტროლო ხუთეულში გამოყოფილ იქნენ ამხ. **აფხაიძე, გიგაური, ფოფხაძე, ბეშიძე, ხობუა**; მუშგლეხინის რწმუნებულად—**აფხაიძე**, პარტსამეულის თავმჯდომარეთ — **გიგაური.**

ქუთაისი—საოლქო ქალაქი

ერთ დროს ქუთაისი დასავლეთ საქართველოს კულტურული და ეკონომიური ცენტრი იყო.

მაგრამ ყველამ იცის, თუ რა გასაქანი ქონდა კულტურას აწ განსვენებულ ნიკოლოზის დროს, ხოლო თუ როგორი იყო ამ ქალაქის ეკონომიკა, ამის შესახებ თუნდა ის გარემოება მეტყველებს, რომ იმდროინდელ ქუთაისს არ ქონია არც განათება, არც წყალსადენი, არც კანალიზაცია და სხვა მრავალი, რაც ყოველ, ცოტათ თუ ბევრათ, კეთილმოწყობილ ქალაქს უნდა ახასიათებდეს. ქარხნებსა და საწარმოვო დაწესებულებათა შესახებ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.—მაგრამ, რაც იყო წარსულს ჩაბარდა.

25 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მოხდა ქუთაისის, შორაპნისა და რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო პარტმუშაკთა გაერთიანებული პლენუმი, საოლქო პარტცენტრის შესაქმნელად, ხოლო 26 აგვისტოს ამავე სახით სამაზრო აღმასკომთა პლენუმზე მოეწყობა საბჭოთა საოლქო ცენტრი.

რას მოუტანს ასეთი გაერთიანება ხსენებულ მაზრებს?—უდავოა დარაიონების როლი მოსახლეობის დასაკავშირებლად თავის ხელმძღვანელ ორგანოებთან; გარდა ამისა ეკონომიურადაც უფრო გაღონიერდება პერიფერიათა ის ნაწილი, რომელთა ეკონომიურ უძლურობას დღემდე ქრონიკული ხასიათი აქვს. მაგრამ ყველა ამის შესახებ უკვე მრავალი რამ ითქვა და დაიწერა.

საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ თვით ქუთაისის ეკონომიურ-პოლიტიკური როლი, გაოლქების შედეგათ, დიდათ მაღლდება, მისი კულტურული მნიშვნელობა ფართოვდება.—იმ მრავალი წამოწყებათა გარდა, რომელთაგან ბევრი უკვე მოთავებულია (ბარიტის, ფლორიდინის, ძაფსახვევი ქარხნები და სხ.), ხოლო ბევრი ახლო მომავალში დამთავრდება (წყალსადენი, კანალიზაცია და სხ.).—კვლავ მრავალ ახალ წამოწყებებს ექნება ადგილი, რომელთა განხორციელება ქუთაისს გააღონიერებს ეკონომიურათ და გაამშვენიერებს, როგორც ქალაქს.

ასე, მაგალითად, სულ ახლო მომავლის საქმეა ქუთაისში სტანდარტულ ბინათა აგება, რომლის განსახორციელებლად უკვე მომავალი 1930 წლისათვის მილიონ ნახევარი მანეთია შეტანილი ბიუჯეტში. უახლოესი ორი წლის განმავლობაში უნდა იქნას გაყვანილი ტრამვაის ხაზი, რომელიც საკავშირო მნიშვნელობის კურორტ წყალტუბოს ქუთაისთან დააკავშირებს. საამისოთაც 1.600 ათასი მანეთია უკვე ნავარაუდევი.

მართალია საბჭოთა ქუთაისი, სამაზრო ჩარჩოებშიც მომწყვდეული აღარ ჰგავდა ძველს, „სავარდო“ ქუთაისს. საბჭოთა ქუთაისში შენდებოდა და შენდება ახალი ქარხნები, მაგრამ ასეთ პროცესს ყოველმხრივ გარდაქმნისას კიდევ უფრო ზედმეტათ დააჩქარებს ქუთაისის გაოლქება.

გ. რიონიძე

კულაკებს არ სძინავთ

(იანეთი)

როგორც სხვაგან, ისე სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთშიაც ჩამოყალიბდა გლეხთა არტელი, „ნამგალ-ჩაქუჩი“. იგი ჯერჯერობით აერთიანებს 12 მეკომურს, რომელთაც კოლექტიურად დამუშავებული აქვთ 50 ჰექტარი მიწა.

კოლექტივს სათანადო ყურადღება მიაქცია ხელისუფლებამ, გაგზავნა მიწისმზომელი მიწადმოწყობის მოსაწესრიგებლად და სხ., მაგრამ მასვე უყურადღებოთ არ შეხვედრიან ადგილობრივი კულაკებიც:

მიწის მზომელი მიწადმოწყობას შეუდგა, ხოლო კულაკი მათე ჯვარშეიშვილი კულაკთა არალეგალური კრების მოწყობას.

ხსენებულმა ვაჟბატონმა, ნიკოლოზის დროის ნამამასახლისევმა, მოიწვია მეზობლები: კოსტა ჯვარშეიშვილი, დიმიტრი ჯვარშეიშვილი და მისი ვაჟი (ვაჟრები), რამდენიმე ღარიბი გლეხიც მოიტყუეს და შეუდგენ გეგმის შემუშავებას—თუ როგორ დაეშალათ კოლექტივი და ხელი შეეშალათ მიწადმოწყობისათვის. გეგმით გათვალისწინებული იყო პროვოკაცია,—რომ მთავრობა მიწადმოწყობის შემდეგ ყველას ჩამოართმევს მიწას და სხ.

დაუზავნეს შიკრიკები, დაარიგეს ხელისმოსაწერი ფურცლები და შეუდგენ ფულის შეკრებას „დესპანებისათვის“, რომელთაც მთავრობისათვის უნდა აეხსნათ და ეთხოვათ, რომ იანეთის თემის კოლექტივები და არტელები სულაც არ საჭიროებს მიწადმოწყობას და სხ.

ამავე დროს შეუდგენ კოლექტივის ოჯახის წევრთა ერთმანეთზე გადაკიდებას, წასისიანებას და პროვოკაციას, რომ მოსავალს მთავრობა მიითვისებსო.

მაგრამ, კულაკები, ბჭობდენ, ხოლო ღარიბი გლეხები იცინოდნენ:

— ამ უკანასკნელებმა კულაკთა მახინაციები დროზე აცნობეს ხელისუფლებას და დღეს ხსენებული ვაჟბატონები არალეგალური კრების მომწყობი სრულებით ლეგალურათ სხედან ოთხკედელს შუა და ელიან ახლო დროისთვის საჯარო, სანიმუშო გასამართლებას.

ს. მ.—ი.

ქრონიკა

მუშკორთა კონფერენცია

2 სექტემბერს ქუთაისში მოწვეულია მუშკორთა საოლქო კონფერენცია.

„ქუთვაჭრობის“ ლიკვიდაცია

„ქუთვაჭრობა“ ლიკვიდაციაქმნილია და მთელი მისი საქმეები და საქონელი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობას. ხსენებული საზოგადოების ლიკვიდაციისაგან მიღებული თანხა განაწილებულ იქნა შემდეგნაირად:—350 ათასი მანეთი გადაეცემა წყალსადენის კომიტეტს, 3.400 მანეთი—ყოფილ აქციონერებს, ხოლო დანარჩენი 25.676 მანეთი მოხმარდება სხვადასხვა საჭიროებას.

ნაბეჭდი ცეხური გაზეთი

— სექტემბრის პირველს ქუთაისში გამოსვლას იწყებს ნაბეჭდი ცეხური ორ-კვირეული გაზეთი „რკინის გზელი“. ასეთივე სახის გაზეთი გამოიცემა ამ დღეებში ჭიათურაში.

ნათესების მდგომარეობა ხონის რაიონში

დიდი და ხანგრძლივი გვალვების გამო ნათესები ბევრგან სულ ერთიანად გადახმა. განსაკუთრებით დაზარალდნენ ადგილები, რომელთაც სარწყავი არხები არ სწვდება, ასეთი კი 40 პროცენტზე მეტია. ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები აქვს არხების მუშაობასაც და მათ შორის ის, რომ სამი თვეა არხებზე მომუშავეთ ხელფასი არ მიუღიათ წყალთა სამმართველოდან.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტ. მესამე სესხის კამპანიის ჩატარება ქუთაისსა და მის ოლქში დაგვიანებით დაიწყო,—სესხის რეალიზაციაში არაჩვეულებრივ აქტიობას იჩენენ მუშა-მოსამსახურენი. ასე, მაგალითად: ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის წევრთა საერთო კრებამ დაადგინა: ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები კოლექტიურად იქნეს შენახული ბანკში, ხოლო მესამე სესხის ობლიგაციათა შესაძენათ ყოველმა მუშამ გადასდოს, ერთთვიური ჯამაგირი.—21 აგვისტოს მოწვეულ ყველა სახის **სარეწაო კოოპერატიულ ნადების** წევრთა მრავალრიცხოვან კრებაზე ერთხმად დაადგინეს: მესამე სესხის ობლიგაციათა შესაძენათ გადადებულ იქნას თითო თვის ხელფასი. ხელის მომწერთა მიერ ვალებული თანხა უდრის 30 ათას მანეთს—თითო თვის ხელფასი გადასდეს მესამე სესხის ობლიგაციათა შესაძენათ **ქუთაისის აკადემიური თეატრისა და კინო-რადიუმის მუშა-მოსამსახურეებმა.**— დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ სესხს რიონჰესის **პირველი დისტანციის მუშა-მოსამსახურენი.** მათ შორის ბევრია ისეთი, რომელმაც ორი და, ზოგჯერ, სამი თვის ხელფასი გადასდევს ობლიგაციათა შესაძენათ. მესამე სესხზე ხელის მოწერის შეჯიბრში გამოიწვიეს რიონჰესის მეორე დისტანციის მუშა-მოსამსახურენი.

ობლიგაციათა შესაძენათ თითო თვის ხელფასი გადასდეს **სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშაკთა კავშირის წევრებმა.** მათვე დაადგინეს, რომ მეორე სესხის ობლიგაციები შენარჩუნებულ იქნას მთელი რაოდენობით. მათვე გამოიწვიეს: ვანის მეორე საგრენაჟო სადგური, შაქრის საცდელი სადგური, ვაჟევის მამული, ვარციხის სახ. მამული, ძლიითის საკირეები და სხ.

— თითო თვის ხელფასი გადასდეს მესამე სესხის ობლიგაციათა შესაძენათ ადგილობრივი **ძაფსახვევი ქარხნის** 1000-ზე მეტმა მუშამ.

ი. ბ.

საბჭოთა აპარატის წმენდა

წმენდის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიაში

სოცდაზღვევის სამმართველოს წმენდის ნაკლოვანებები

გუშინ, 26 აგვისტოს, შესდგა საბჭოთა აპარატის გამწმენდ რესპუბლიკანური კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. ათოევის და დევდარიანის ცნობა სოცდაზღვევის სამმართველოს წმენდის მიმდინარეობის შესახებ.

კომისიამ აღნიშნა, რომ წმენდის პირველივე დღეებში მნიშვნელოვან დეფექტებს აქვს ადგილი, რაც გამოიხატება იმაში, რომ სოცდაზღვევის სამმართველომ ვერ შესძლო წმენდაზე უმუშევართა საკმაო რაოდენობით მიზიდვა. თუმცა წმენდას 600-მდე კაცი დაესწრო, მაგრამ მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი შემთხვევით დამსწრე პირებად ჩაითვლება. სათანადო მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლობას მიეწერება ის, რომ წმენდას დაესწრო ქალთა მცირე რიცხვი. იმ დაწესებულებებში, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ სოცდაზღვევის სამმართველოსთან თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, პროფორგანიზაციებმა ვერ მოამზადა პროფაქტივი წმენდაში მონაწილეობის მისაღებად. საცდელი წმენდისათვის სოცდაზღვევის სამმართველოს არჩევა კომისიამ შეცდომად ჩასთვალა. მოსამზადებელი მუშაობის სისუსტე, მუშათა ბრიგადების არ გამოყენება და სუსტი კავშირი გამწმენდ და დამხმარე კომისიებს შორის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად ჩაითვლება სოცდაზღვევის სამმართველოს წმენდის საქმეში.

აღნიშნულ დეფექტებზე მითითების შემდეგ კომისიამ მიზანშეწონილად სცნო შემდეგისათვის წმენდის მუშათა რაიონებში ჩატარება. გარდა ამისა, კომისიამ აღნიშნა თბილისის საოლქო კომისიის უყურადღებობა წმენდისადმი, რაც გამოიხატა იმაში, რომ არავითარი წინასწარი მუშაობა დღემდე მას არ ჩაუტარებია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომისია გამოყოფილია 10 დღის წინეთ. წმენდის ჩამტარებელ თბილისის საოლქო კომისიის შემადგენლობაში რესპუბლიკანურმა კომისიამ შეიყვანა ამხ. **ბუხნიკაშვილი** (მუშგლეხინიდან).

აფხაზეთის დაწესებულებების გამწმენდი კომისია

ამავე სხდომაზე დამტკიცებული იქნა წმენდის ჩამტარებელი აფხაზეთის ცენტრალური კომისია ამხ. **ჩამბას, გაბუნიას, ამპარის, გიგაურის სერიოგინას, წყვიტაშვილის** და **კოჟეიანცის** შემადგენლობით.

დაწესებულებების წმენდის ვადები

მიღებული იქნა დადგენილება სახ. კომისარიატების წმენდის ჩატარების შესახებ შემდეგ ვადებში: მიწსახკომის—15 სექტემბრიდან, იუსტიციის სახალხო კომისარიატის—1 ოქტომბრიდან, ფინსახკომის—7 ოქტომბრიდან, აღმასკომის—10 ოქტომბრიდან, შრომის სახ. კომისარიატის—20 ოქტომბრიდან და მილიციის—15 ოქტომბრიდან. კომისიამ დაადგინა წმენდაზე ხელმძღვანელობის გასაწევად მაზრებში მივლინებული იქნეს რესპუბლიკანური კომისიის ორი წევრი. რადგან თითქმის არც ერთ დამხმარე კომისიას არ გამოუყენებია საკმაოდ მუშათა ბრიგადები, კომისიამ დაავალა პროფსაბჭოს 28 აგვისტოსათვის გადასინჯოს ბრიგადების სიები და მიამაგროს დამხმარე კომისიებზე უფრო აქტიური მუშები. ყველა დამხმარე კომისიებს წინადადება მიეცა წმენდამდე დარჩენილი დროის განმავლობაში სავსებით გამოიყენონ საზოგადოებრივი აქტივი და ამით შექმნან შესაფერისი პირობები წმენდის ჩასატარებლად. ზემოაღნიშნული აქტივის გაერთიანებული თათბირის მოწვევა დანიშნულია 28 აგვისტოსთვის, საღამოს 6 საათზე, (მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისრის კაბინეტში).

საგზაო მშენებლობა

ხუთდღიური კვირაში

მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს

ნიგოითი, 26 აგვისტო. ნიგოითის თემში საგზაო მშენებლობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. მშრომელი მოსახლეობა მთლიანად არის ჩაბმული მუშაობაში. ერთი დღის მუშაობამ უკვე საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. ხუთდღიურის ჩატარების შემდეგ გზები საფუძვლიანად შეკეთდება.

კილასონია.

—:—

ზემოხეთი, 26 აგვისტო. ზემოხეთის თემის მოსახლეობა 25 აგვისტოს შეუდგა საავტომობილო გზის მშენებლობას. გზის სიგანე 9 მეტრს უდრის. ხუთდღიურის ჩატარებაში მთელი გლეხობა იღებს მონაწილეობას. სამუშაოზე გამოცხადდა 500 მამაკაცი და 150 ქალი. კომკავშირის ორგანიზაციამ თავისი აქტივობით საგზაო მშენებლობაში ჩააბა 200-დე ახალგაზრდა ვაჟი და ქალი.

გზა გაყვანილ უნდა იქნას თემში და შემდეგ აგარაკ ორკეზე, რომლის მანძილი 6 კილომეტრს უდრის. შრომის დეზერტირობას ადგილი არ აქვს. პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციის მთელი ყურადღება ამჟამად მიპყრობილია გზის მშენებლობის ნაყოფიერად დამთავრებისაკენ.

თემის აქტივს განზრახული აქვს 1-ლ სექტემბერს ზემოხეთში პირველად ამოვიდეს ავტომობილი, რასაც მოსახლეობა მოუთმენლად და დიდ ენტუზიაზმით მოელის.

საგზაო მშენებლობის საქმეში მაზრის ხელისუფლება, რომელმაც გამოგზავნა ამხ. ლომთათიძე, გვიწევს სათანადო დახმარებას. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს და გვერდში უდგას გლეხობას შვებულებაში ჩამოსული წითელი მეთაური ამხ. კოტრიკაძე.

იმედი გვაქვს ზემოხეთის თემიდან გასული ამხანაგები გაგვიწევენ ფინანსიურ დახმარებას.

ზემოხეთის თემსაბჭო.

—:—

აცანა, 26 აგვისტო. აცანის თემში საგზაო მშენებლობის ხუთდღიური ნაყოფიერად ტარდება. წინასწარ აღრიცხული იყო 880 მუშახელი. სამუშაოზე გამოცხადდა—870. ხუთდღიურის ჩატარებაში ქალებიც ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. მოხალისეებათ გამოვიდნენ 31 მოხუცი მამაკაცი. მუშაობა მიმდინარეობს დიდ ხალისით და შეჯიბრებით. დასვენების შემდეგ ეწყობა საუბრები.

აცანის თემმა საგზაო მშენებლობის ნაყოფიერად ჩატარებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია შუხუთის და აკეთის თემები.

საგზაო სამ. თავმჯდომარე — **ბეგლარ ქინქლაძე.**

როგორ ესმის კახეთის ტრესტს პურის დამზადება

შირაქის მეურნეობის მოსავალს დაღუპვა მოელის

კახეთის ტრესტის დაუდევრობით შირაქის საბჭ. მეურნეობა არ არის საწყობებით უზრუნველყოფილი.--60.000 ფუთი პურის ნამკალი ცის ქვეშაა მიტოვებული.--ტრესტი სალეწ მანქანებს აქირავებს, შირაქის პური კი გაულეწავი ყრია.--ფეტვი დღემდე მოუმკელია და ნახევრდება.—საჭიროა სასწრაფო ზომები შირაქის საბჭოთა მეურნეობის მოსავლის გადასარჩენად.--სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველას, ვინც შირაქის მოსავალი ასეთ საფრთხეში ჩააგდო

მარცვლეული კულტურის შირაქის საბჭოთა მეურნეობა წელს იძლევა პირველს და საშუალოზე კარგ მოსავალს. წელს შირაქის საბჭოთა მეურნეობის ნათესები აყვანილი იქნა 960 ჰექტარამდე და ნავარაუდევია 100.000 ფუთზე მეტი მოსავლის მიღება ყველა კულტურებიდან (პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი და სხვა.).

ამჟამად, როგორც ირკვევა, აღნიშნული საბჭოთა მეურნეობის მოსავლის დროზე და მთლიანად აკრეფისათვის არ ყოფილა წინასწარი ზომები მიღებული. შირაქის საბჭოთა მეურნეობა საკუთარი საწყობებიდან დაშორებულია 25 ვერსით. ამისათვის ჯერ კიდევ ივნისის პირველ რიცხვებში კახეთის საოლქო აღმასკომმა წინადადება მისცა კახეთის სასოფ. სამეურნეო ტრესტს ადგილობრივ, საბჭოთა მეურნეობაშივე აეგო საწყობები აკრეფილი მოსავლის დროებით შესანახად. დღეს ირკვევა, რომ აღნიშნული დადგენილება კახეთის ტრესტს არ შეუსრულებია, რითაც შექმნილია უდიდესი საშიშროება ხსენებული მეურნეობის მოსავლისათვის.

60.000 ფუთამდე პური მომკილი ყრია მინდორზე და დღემდე მის შესანახად ზომები არ არის მიღებული მოსავლის დასაბინავებლად. რაც შეეხება ფეტვს, მისი მომკა საგრძნობლად დააგვიანეს, რის გამოც დაღუპვა მოელის ფეტვის მოსავლის ნახევარზე მეტს.

ამასთანავე პურის ლეწვას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ტრესტს თავისი სალეწი მანქანები გაქირავებული აქვს სხვადასხვა სოფლებში და საკუთარი მეურნეობის მოსავალი კი გაულეწავი უყრია მინდორში.

ეხლა, როდესაც პურის დამზადების და მომპირნეობის საკითხი გადაქცეულია უსერიოზულეს პრობლემად, საბჭოთა მეურნეობაში პურის მოსავლის აკრეფისადმი ასეთი გულგრილობა პარტიის და ხელისუფლების ამოცანების აშკარა ღალატს ნიშნავს. დღეს საკმარისია მოვიდეს ძლიერი წვიმა და ნიაღვარი, რომ შირაქის საბჭოთა მეურნეობის მთელი მოსავალი სტიქიამ შთანთქას.

საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება შირაქის საბჭ. მეურნეობის მოსავლის სასწრაფოდ ასაკრეფად და გასალეწად.

გარდა ამისა, დაჩქარებით უნდა გამოინახოს საჭირო ტრანსპორტი აღნიშნული მოსავლის სოფ. წითელწყაროს საწყობებში გადმოსატანად. გარდა საკუთარი საშუალებებისა, ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციების, კოლექტივების და განსაკუთრებით სოფ. ქედის კომუნის სატრანსპორტო საშუალებანი. მომავლისათვის კი უსათუოდ უნდა შესრულდეს კახეთის საოლქო აღმასკომის დადგენილება სათანადო საწყობების თვით შირაქშივე აშენების შესახებ.

დასასრულ, საჭიროა სასტიკი პასუხი მოეთხოვოს ყველა იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც აღნიშნულ საბჭოთა მამულის მოსავალი ასეთ საფრთხეში ჩააგდეს.

მირაბო.

პურის დამზადება აზერბეიჯანში

ბაქო, 26 აგვისტო. პურის დამზადების საქმე აზერბეიჯანში ისევ გამწვავებულია. კამპანიის დაწყებიდან 25 აგვისტომდე დამზადდა 3.530 ტონა პური და 3.820 ტონა ქერი, რაც შეადგენს ამ დროის გეგმის 50 პროცენტს. ადგილებზე ყოველ საკრედიტო ამხანაგობაში, რომელიც პურის დამზადებას აწარმოებს, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციამ გაგზავნა განსაკუთრებული რწმუნებულები. ლენქორანის ოლქის დიდი დამამზადებელი რაიონი—ასტრახან — ბაზარი „სოიუზხლებ“-ის უთადარიგობის გამო კვლავ უსახსროდ დარჩა. მესამე დღეა, შვიდი ჩასაბარებელი პუნქტი თანხების უქონლობის გამო, პურის მიღებაზე უარს აცხადებს (ადს).

პოლონეთის მუშათა დელეგაციის გამგზავრება

კოჯორის საბავშო კოლონიაში

25 აგვისტოს დილით პოლონეთის მუშათა დელეგაცია განათლების კომისარის მოადგილე ამხ. მარიამ ორახელაშვილთან ერთად გაემგზავრა კოჯორში საბავშო კოლონიის დასათვალიერებლად

მუშათა დელეგაციას მხურვალეთ მიესალმენ კოლონიაში მყოფი პიონერები, რის შემდეგ გაიმართა ბავშების თავისუფალი ვარჯიშობა. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს კოლონიის ყველა დაწესებულება და ზედმიწევნით გაეცნენ ბავშთა აღზრდის საქმის დაყენებას კოლონიაში, ბავშთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, მათ ყოფა-ცხოვრებას.

ვისაც სურს გაიგოს, თუ როგორ მზრუნველობით ამზადებს საბჭოთა ხელისუფლება მომავალ მებრძოლ თაობას—განაცხადა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. ოტო მაცმა, მან უნდა დაათვალიეროს კოჯორის საბავშო სახლი.

კოლონიის დათვალიერების შემდეგ განათლების სახ. კომისარიატმა დელეგაციის წევრები მიიწვია ბანკეტზე.

ნაშუადღევს 4 საათზე დელეგაცია დაბრუნდა თბილისში.

დელეგაციის გამგზავრება

კვირას, საღამოს 7 ნახევარ საათზე პოლონეთის მუშათა დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა ბაქოში. დელეგაციის გასაცილებლად თბილისის რკინის გზის სადგურზე შეიკრიბნენ პროფორგანიზაციების, რემდასის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებთან საუბრის დროს დელეგაციის წევრები გამოსთქვამენ უდიდეს აღფრთოვანებას იმ დიდი სოციალისტური აღმშენებლობის გამო, რომელიც სწარმოებს მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში. პოლონეთის პროლეტარიატი— განაცხადეს დელეგატებმა, მუდამ იხელმძღვანელებს თავისი მოძმის. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის გამოცდილებით და თუ პოლონეთის ფაშიზმი შეეცდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას, პოლონეთის მუშათა კლასი ამ ომს გამოიყენებს პოლონეთის ფაშისტური წყობის დასამხობად და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან ხელიხელ ჩაკიდებული შეუდგება სოციალისტურ მშენებლობას.

უცხოეთის კომკავშირელთა დელეგაცია თბილისში

კვირას დილით, უცხოეთის კომკავშირელთა დელეგაციამ დაათვალიერა რევოლიუციის მუზეუმი. საღამოთი დელეგაციის მთელი შემადგენლობა გამოცხადდა თბილისში მიმდინარე კომკავშირის მესამე კონფერენციაზე და მონაწილეობა მიიღო მის მუშაობაში.

გუშინ დილით დელეგაცია გაიყო სამ ჯგუფად: პირველი ნაწილი გაემგზავრა ნატახტარში ახალი წყალსადენის და კოლმეურნეობის დასათვალიერებლად.

მეორე ჯგუფმა დაათვალიერა სტალინის სახელობის ქარხანა, სადაც დაწვრილებით გაეცნო მუშების შრომის პირობებს, ყოფა-ცხოვრებას და კომკავშირულ ორგანიზაციის მუშაობას.

მესამე ჯგუფმა დაათვალიერა ტრამვაის პარკი. საღამოს დელეგატები მიიწვიეს ხელოსანთა საზაფხულო კლუბში, სადაც მათ პატივსაცემად გაიმართა ინტერნაციონალური საღამო.

თათართა რესპუბლიკის მწერლების დელეგაცია

კვირას, დილიდანვე თათართ რესპუბლიკის მწერლების დელეგაცია შეუდგა ქალაქის და კულტურულ დაწესებულებების დათვალიერებას.

იმავე დღეს დელეგაცია გაემგზავრა კოჯორში, სადაც დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს საბავშო სახლები, ინახულეს ბანაკად მდგომი პიონერები და ესაუბრენ მათ.

საღამოს ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა დიდი საზეიმო საღამო. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო, უმთავრესად იყვნენ მუშები და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საღამო გახსნა ხელოვნების მთავარ მმართველობის გამგემ ამხ. ალავიძემ, რომელიც შეეხო დელეგაციის ჩამოსვლის მნიშვნელობას და გამოსთქვა სურვილი, რომ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხების კულტურულ ძალების ურთიერთ გაცნობას თან მოჰყვეს ამ ხალხების მჭიდრო კულტურული დაკავშირება თარგმანების საშუალებით, ხშირი საქმიანი მიმოსვლით და აღნიშნული მიზნით შეუსუსტებელი მუშაობით.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სახელით ამხ. შ. რატიანმა, საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით ბ. ჟღენტმა, ა.-კ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სახელით ამხ. ტატულოვმა, ა.-კ. კულტურულ კავშირის სახელით დელეგაციას მიესალმა ა. ჭუმბაძე, დელეგაციას მხურვალედ მიესალმენ მთავარ სახელოსნოს მუშების წარმომადგენელი, ამხ. **იმერლიშვილი, ლორთქიფანიძე** და სხ.

საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს დელეგაციის სახელით **ნიგმატომ** და **კუტუიმ**. შემდეგ ლექსები წაიკითხეს: **კუტუიმ, დაგდაშიმ, მაშაშვილმა, ჩიქოვანმა, სიტკოვსკიმ, კრეიტანმა** და სხ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

ფაბრიციუსის დაღუპვის შესახებ ცნობის მიღებისთანავე დამსწრეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს მის ხსოვნას.

ფასების დაწესება შეშაზე

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ 1929—30 წლისათვის დააწესა შეშის ფასები (თბილისის ბაზრისათვის) რკინის გზის საწყობში 1 კუბიკურ საჟენ 24 ვერშოკიანი სიგრძის მაგარი ჯიშის შეშაზე დაწესებულია—82 მანეთი; ამავე სიგრძის რბილ ჯიშის, შეშაზე—68 მან.; 12 ვერშოკიან მაგარი ჯიშის შეშაზე—98 მანეთი, ამავე სიგრძის რბილ ჯიშის შეშაზე—81 მან.

ქალაქის სხვადასხვა რაიონების შეშის საწყობებში 24 ვერშოკიანი მაგარი ჯიშის შეშაზე ერთ საჟენზე დაწესებულია 92 მანეთი, ამავე სიგრძის რბილი ჯიშის შეშაზე—87 მან., 12 ვერშოკის სიგრძის მაგარი ჯიშის, შეშაზე — 108 მანეთი და ამავე სიგრძის რბილ ჯიშის შეშაზე—91 მანეთი.

ქუთაისის, გორის, შორაპნის აღმასკომებს და ფოთის ქალაქის საბჭოს სავაჭრო კომისიებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ სატყეო მრეწველობის ტრესტის მიერ დამზადებული შეშის საგასაცემო ფასები ქალ. ქუთაისისათვის, ბორჯომისთვის, ჭიათურისთვის და ფოთისთვის (აღნიშნული ქალაქების შეშით უზრუნველყოფა დავალებული აქვს სატყეო მრეწველობის ტრესტს).

ქალაქ ბათომსა და სოხუმში შეშის საგასაცემო ფასების დაწესება დავალებული აქვთ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენლებს აჭარისტანსა და აფხაზეთში.

ცნობები საქ. გეოგრ. საზ-ბის ექსპედიციისაგან

საქ. გეოგრაფიულმა საზოგადოებამ შემდეგი ცნობები მიიღო: ამჟამად სვანეთში მყოფი ექსპედიციის მონაწილე გ. და ყ. ნიკოლაძეებისაგან:

მესტია, 13 აგვისტო. გუშინ ჩამოვედით მესტიაში. ჯერ-ჯერობით მოგზაურობა კარგათ მიდის. ამინდიც აქამდე კარგი იყო. ლატპარის უღელტეხილზე რომ ავედით, ცა მოიღრუბლა, მაგრამ ნახევარ საათში ისევ მოიწმინდა და თვალწინ წარმოგვიდგა იშვიათი სანახაობა.

ბარგის ამოსატანათ დაგვჭირდა 12 ცხენი.

სურსათის საქმე მოიკოჭლებს. კიდევ კარგი, რომ ბევრი სურსათი გვაქვს თან წამოღებული. თუ ძართლა გავვიჭირდა, იმას მივყოფთ ხელს, მაგრამ იმედია საქმე გამოსწორდება.

თეთნულდზე ჯერ არავინ ასულა. სხვა მწვერვალებზე კი (დიხტაუ, კოშტანტაუ, შხარა) უკვე ასულან წელს უცხოელები. გერმანელების ერთი ჯგუფი ამჟამად უშბასთან მუშაობს მასზე ასასვლელად. შედგენილი გვაქვს საინტერესო გეგმები და თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, გადაწყვეტილი გვაქვს მათი მთლიანად შესრულება. სამწუხაროდ, აქ მესტიაში ცუდი დარია: გუშინ და დღეს წვიმს დროგამოშვებით, ხან კი მზეა და ცისარტყელა. ყველანი კარგათ ვართ.

მესტია, 14 აგვისტო. მთელი დღე ვისვენებთ და დღიურებს ვწერთ. მე თითქმის სავსებით ავწერე ჩვენი მოგზაურობა მესტიამდე. მესტია სავსეა რუს-ექსკურსანტებით. ვნახეთ სახკინმრეწვის ოპერატორი კალატოზიშვილი, რომელიც შეიძლება წამოგვყვეს თეთნულდზე.

მესტია, 15 აგვისტო. დღესაც ვისვენებთ. ველით იტალიელ მოგზაურებს. თანაც საჭიროა ზოგი რამის მომზადება. ჩვენი ექსპედიცია იყოფა სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში ი. თეთნულდის ჯგუფში შედიან: გიორგი, მე, ელიკო და მიტრო მიქაბერიძეები, დათა მგელაძე, ტარიელ მაჩუტაძე და პიმენ დვალი. ალბათ სიმონ ჯაფარიძეც ჩვენთან წამოვა. ამჟამად ვსინჯავთ ბანდულებს და დღიურებს ვწერთ.

დღეს კრება გვქონდა ექსპედიციის ჯგუფებად დაყოფის შესახებ. ბევრს გული წყდება, რომ თეთნულდზე ვერ მოდიან. ვანაწილებთ და ვკრავთ ბარგს. დარი დღეს ცვალებადია, ხან მზეა, ხან წვიმს.

ვადგენთ ტექსტს ფრანგულად და ინგლისურად რადიოთი გადასაცემად. გუშინ მაჩუტაძემ (რადისტი) ბევრი ეძება თბილისი, მაგრამ ვერ ნახა. ელაპარაკა უკრაინას და გადასცა ცნობები ჩვენს ექსპედიციაზე. უკრაინა ან ცნობებს გადმოსცემს თბილისს.

მესტია, 17 აგვისტო. ჩვენი მუშაობა ეხლა იწყება, ჯგუფებად დაყოფილნი ვართ. ყველანი მშვენივრათ გრძნობენ თავს.

მესტია, 17 აგვისტო. გუშინ გავისტუმრეთ ორი ჯგუფი. ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობს დევი მიქელაძე, მეორეს—შოთა მიქელაძე. ჩვენ (თეთნულდის ჯგუფი) გავემგზავრებით ხვალ.

დღეს დავათვალიერეთ ერთი ძალიან საინტერესო კოშკი და მეცხრე საუკუნის ხელთნაწერი სახარება, რომელიც ერთ ოჯახს აქვს შენახული.

ასვლა ბრუტ-საბძელზე

საქ. გეოგრაფ. ს-ბის ტურისტულმა განყ-ბამ მიზნად დაისახა, მოაწყოს ასვლები და შეისწავლოს კავკასიის ქედის ის მწვერვალები, რომლებზედაც ჯერ არავინ ასულა. ამ მიზნისათვის მოწყობილია ექსპედიცია ცენტრ. და დასავლეთ კავკასიონზე. მეორე ექსპედიცია გაემგზავრა სამხრეთ - ოსეთში ბრუტ-საბძელზე ასასვლელად. ეს მწვერვალი მიუდგომლად ითვლებოდა და აქამდე მრავლად მოწყობილ ექსპედიციებიდან ვერც ერთმა ვერ მიაღწია მწვერვალს. ასვლა მართლაც ძნელია, რადგან საჭიროა თითქმის შვეულ კლდეებზე ასვლა. ეს კლდეები კი ადვილად იშლება და ძნელია მათზე დაყრდნობა.

გეოგრაფ. ს-ბის ექსპედიცია გ. გიორგაძის ხელმძღვანელობით 22 აგვისტოს პირველად ავიდა ბრუტ - საბძელის მწვერვალზე, სადაც ნახა ოთხი ნიში და ერთი დანგრეული, არყის ხისაგან აგებული საკანი. საქმე იმაშია, რომ წარსულში ბრუტ - საბძელის მწვერვალი სპეციალურ კულტის სალოცავი იყო.

ექსპედიციამ აწარმოვა მეტეოროლოგიური და სხვა დაკვირვებანი, გადაიღო ფოტოგრაფიული სურათები და შეადგინა მყინვარების და გზის აღწერილობა.

საქართველოს ვაშლი ლონდონის ბაზარზე

მიმდინარე წლის თებერვალში ლონდონში გაგზავნილი იქნა გორისა და ახალციხის სხვადასხვა ჯიშის საექსპორტო ხილი (ვაშლი). მიღებული ცნობებით, ვაშლი ლონდონში მისულა კარგ მდგომარეობაში. მთელი პარტიიდან დაზიანებული აღმოჩნდა მხოლოდ რამოდენიმე ცალი. ინგლისელი სპეციალისტების დასკვნით ეს რამდენიმე ცალიც გაფუჭებულა მხოლოდ არა საკმაოდ კარგად ჩალაგების გამო.

ხილი ლონდონის ბაზარზე წარმატებით გასაღებულა. ზოგიერთი ჯიშის ჩვენებური ვაშლი ინგლისელ ვაჭრებს გაუსაღებიათ, როგორც კანადის მაღალი ხარისხის (ნიუტონორეგონის ჯიშის) ვაშლი. ამ.-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას ლონდონიდან ატყობინებენ, რომ ინგლისელი ვაჭრები ითხოვენ ჩვენი ხილის სისტემატიურად გაგზავნას.

ამის გამო განზრახულია საქართველოს ხილის ლონდონის ბაზარზე გატანის გაფართოება.

ფიზკულტურა და სპორტი

„დინამო—ბ“—„პროფკავშირთა ნაკრები“

კვირას, 25 აგვისტოს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო—ბ“ და თბილისის პროფკავშირთა ნაკრები გუნდები.

უნდა ითქვას, რომ ნაკრები გუნდი სუსტად თამაშობდა, რაც, ალბად, იმას უნდა მიეწეროს, რომ იგი სრული შემადგენლობით არ გამოსულა და აკლდა ზოგიერთი კარგი მოთამაშე.

„დინამოელების“ თამაში დამაკმაყოფილებელი იყო.

მატჩი დამთავრდა 2:2.

ჭიდაობა

თბილისში ჩამოვიდა როსტოვის მოჭიდავეთა გუნდი ხუთი კაცის შემადგენლობით. ოთხშაბათს, 28 აგვისტოს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეხვედრა როსტოველებისა თბილისელ მოჭიდავეებთან.

რადიო-გადაცემა

თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგური, 28, 29, 30 და 31 აგვისტოს განაახლებს რადიო-გადაცემას.

თბილისის რადიო-ცენტრი წითელ არმიისა და ფლოტის სახლთან და საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან ერთად მუშათა კლუბებიდან აწყობს კონცერტების რადიო გადაცემას ამიერ-კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრებისათვის.

ქრონიკა

ამხ. ბ. გვარამიას დანიშვნა

„სოფლის კავშირი“-ს გამგეობაში კოოპტაციის წესით მიწვეული იქნა ამხ. ბიქტორ გვარამია, რომელსაც დაევალა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შესრულება.

ქარხანა „ლურსმანი“-ს გაფართოება

თბილისის აღმასკომი შეუდგა ქარხანა „ლურსმანი“-ს გაფართოებას.

თბილისის ოლქის ტელეფონიზაცია

თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა ახლო მომავალში შეუდგეს თბილისის ოლქის ტელეფონიზაციას.

ტყის ხანძარი ყარაიაში

ყარაიის რაიონში 25 აგვისტოს ხანძარი გაუჩნდა ტყეს. ადგილობრივ გაემგზავრნენ მეხანძრეთა რაზმის ინსტრუქტორები, პოლიტსამმართველოს წარმომადგენელნი და ცხენოსანი მილიცია.

უმუშევართა მიღება კამოს სახ. საქ. სოფ. სკოლაში

შრომის ბირჟის გამგეობამ კამოს სახ. საქ. საფ. სკოლიდან მიიღო მოთხოვნილება ხსენებულ სკოლაში უმუშევართა გაგზავნის შესახებ. ამ უკანასკნელმა წინადადება მისცა ახალგაზრდათა სექციას გაგზავნოს წარმომადგენელი სასწავლებელში, სექციაზე აღრიცხვაზე მყოფი 1912, 1913, და 1914 წლებში დაბადებული უმუშევრები სკოლაში მისაღებ საკონკურსო გამოცდებზე. გამოცდები დაიწყება მიმდინარე წლის 2 სექტემბერს. გამოცდებზე დაშვებისათვის საჭიროა შვიდწლედის დამთავრების მოწმობა.

საბანაო

თბილისის საბანაოს მოწყობის წინასწარი მუშაობა დამთავრდა. ახლო მომავალში შეუდგებიან საბანაოს აგებას, რომელიც დამთავრდება ერთი თვის განმავლობაში. საბანაო აგებული იქნება ელბაქიძის ხიდის და ვერის პარკის შუა.

ყოფ. პროკურორ იოსელიანის საქმე

ყოფ. პროკურორ იოსელიანის საქმე, რომელიც საჯაროდ უნდა გაერჩია უზენაეს სასამართლოს კვირას, 25 აგვისტოს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, გადაიდო ბრალდებულის ავადმყოფობის გამო.

თბილისის აღმასკომში

◆ ამხ. ვ. ავაქოვის შვებულებაში წასვლის გამო თბ. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეობის ასრულება დაევალა ამხ. **ქ. ოდიშელაძეს.**

◆ კოლექტივ „წითელ თოხის“ მუშასაქონლის შესაძენად თბ. აღმასკომმა მისცა 2.000 მანეთი.

◆ კომუნალურ განყოფილების გამგის მოადგილეებად ამხ. ხიხარულიძის „ახალ-მშენში“ გადასვლის გამო დაინიშნენ ამხ. **ნ. ელიაშვილი და დარბინიანი.**

შემთხვევები

ზარის მოთამაშე კავშირის წევრი

სისხლის სამართლის მილიციაში კვირას, საღამოს, გამოცხადდა ძალზე მთვრალი მიხეილ ადამის ძე რობაქიძე, რომელმაც მორიგეს მოსთხოვა გაეტანებია მისთვის ერთ-ერთი თანამშრომელი ვიღაც ავარების დასაჭერათ. მისი განცხადებით ავარებმა მას ხელიდან გამოსტაცეს 25 მანეთი.

რობაქიძე ნერვიულობდა და ყვიროდა. შემდეგ დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მან 25 მანეთი წააგო ზარის თამაშის დროს. აგრეთვე გამოირკვა, რომ ის სისტემატიურად თამაშობს ზარს (კამათლებით). რობაქიძე არის კავშირის წევრი. მიღებულია ზომები ზარის მოთამაშეთა ასალაგმავად.

ვაზნის გასკდომა

ალექსანდრე დავითის ძე გამყრ[illegible] კარაპეტის აღმართი № 1) გაუფრთხილებლობით ხელში გაუსკდა სანადირო თოფის ვაზნა და მძიმედ დაიჭრა. დაჭრილი მოთავსებულია პირველ საავადმყოფოში.

შვილის დაჭრა

სანდრო ზაქარიას ძე გულიაშვილმა (მცხ. ალდონის ქ. № 10) ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე თავის შვილს შალვას (17 წლის) თავში დაარტყა ლამფის შარი და მძიმედ დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს. დაჭრილი გადაიგზავნა რესპ. მთ. საავადმყოფოში.

მტკვარში დახრჩობა

დიდუბესთან მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო 15 წლის გიორგი მიხეილის ძე ყანჩაველი (მცხ. ტყის ასავალი № 6). გვამი გადაიგზავნა რკინის გზის საავადმყოფოში.

კიბიდან გადმოვარდნა

კიბეზე ასვლის დროს ფეხი დაუსხლტდა და გადმოვარდა სოფიო ქელაფთარიშვილი, (მცხ. მცხეთის ქ. № 11) რომელიც სასწრაფოდ გადაიგზავნა საავადმყოფოში.

თვითმკვლელობა

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების შენობაში რევოლვერით თავი მოიკლა ამავე განყოფილების მოანგარიშემ ასლან მიხეილის ძე შონიამ (მცხ. ბელინსკის ქ. № 2). მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. გვამი გადაიგზავნა რესპ. მთ. საავადმყოფოს პროზექტურაში.

თოფის აღმოჩენა

ბებუთოვის ქუჩაზე მდებარე სახლის (№ 34) ეზოში, მისი შეკეთების დროს მუშებმა აღმოაჩინეს თათრული სამხაზიანი შაშხანა თოფი, გერმანული თოფის ლულა და ვაზნები. ძიება სწარმოებს.

ცეცხლი

23 აგვისტოს ღამის 2 ს. ცეცხლი გაუჩნდა რუსთაველის თეატრის კულტ-კუთხეს. ცეცხლი ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

მკვლელობა ბინის თაობაზე

ლენინის ქუჩაზე მდებარე (№ 13) სახლის პატრონის შვილმა აგრონომმა ალექსანდრე ანტონის ძე ხაბურზანიამ 26 აგვისტოს დღის 2 საათზე მოკლა მდგმური მიხეილ ივანეს ძე გერმანოვიჩი.

სახლის პატრონს ანტონ ხაბურზანიას უნდოდა სახლიდან სხვა ბინაში გადაესახლებინა მოქ. გერმანოვიჩი, მაგრამ ის არ თანხმდებოდა. ამ ნიადაგზე მათ შორის ხშირად ხდებოდა უსიამოვნება. უკანასკნელად ამავე საქმის თაობაზე ანტონ ხაბურზანიას და გერმანოვიჩს მოუვიდათ ჩხუბი, რის დროსაც ალექსანდრე ხაბურზანიამ მოკლა გერმანოვიჩი. მკვლელი დაპატიმრებულია.

შეპყრობა

ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ალექსანდრე ვარლამის ძე არევლაძე.—ქურდობისათვის შეიპყრეს თეიმურაზ აზარიშვილი,—შეიპყრეს კოლექტივ „შრომა“-ს დამლაგებელი რუბენ ასატუროვი, რომელმაც ამავე კოლექტივიდან მოიპარა შეკერილი ფეხსაცმლები.

ქურდობა

გაქურდეს თამარა ჯანიაშვილის ბინა.—მნაცაკან გალიანცს (განჩარსკის ქ. № 3) ღამით ეზოში ძილის დროს მოპარეს ტანისამოსი. ეჭვით დაპატიმრებულნი არიან ლევან ხატისოვი და გიორგი შერვანტენკო. გარდა ამისა ქალაქში ადგილი ქონდა ქურდობის რვა შემთხვევას.

მკვლელობა

სოფ. ნავაზარში (სიღნაღის მაზრა) ძმამ იგივე ნოე სურმავამ დანით მოკლა იმავე სოფლის მცხ. ილარიონ სურმავა. მკვლელი დაპატიმრებულია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა საქუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

რკინისგზელთა სექციიდან —ზინაიდა აგიშანოვა, ვარვარა ჟუკოვა, იადმივა ადიმინოვა, სოფიო მამიევა, გრიშა მერაბოვი, ზაქარია ლეცვაძე.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან — გრიგორი შავგვრემანიძე, გიორგი მირიანაშვილი, ელენე გაადაშვილი, ნიკოლოზ რაზმაძე, არჩილ ჭელიძე, გაჩეჩილაძე, მიხაილ ნიკურაძე, ივანე ლაბაძე, ნაცვლიშვილი, ვიქტორ მახარაძე, კონსტანტინე შაპლახოვი, ბაგრატ გელენიძე, არტემ მირზოევი, შალვა ჭელიძე, იგორ ჩეჩნევსკი, ამბარცუმ პაკილიანცი, ალექსანდრე ზაზოევი, ეკატერინე პავსკაია, იულია არგეცანსკაია, აკაკი თვარაძე, ავთანდილ კაცაძე, ლევან ჩაჩანიძე, ნიკოლოზ მაჭარაშვილი, კონსტანტინე ოტტო, სიმონ ცუროშვილი, გიორგი მზერკელია, ალექსანდრე ბეროზაშვილი, ვახტანგი ვოგიბერაშვილი, ოლღა კოლოლაშვილი, ანასტასია ედიგაროვა, შალვა რობაქიძე.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან — კონსტანტინე მაისურაძე, ვანო არუთინოვი, ბელემიანცი, ნინო ზურაბიშვილი, მიხაილ კაზაროვი, პავლე მორტუნგი, პროკოფი გველესიანი, ილია გორგელაძე, სიმონ ამბარცუმოვი, აპოლონ ახობაძე, ივანე ქართველიშვილი შალვა მესაბანიძე.

მედსექციიდან — ხვედელიანი დარია, ამავე სექციას ესაჭიროება მაზრაში გასაგზავნად ექიმის თანაშემწე.

მშენებელ მუშათა სექციიდან — გარეგან არუთინოვი, ნიკო ხეჩიაშვილი, სოსო აზიზოვი, სტეფანე ვართანოვი, გორ სურინი, ვაღარშაკ კოგოსოვი, თედორე ელენიკოვი, სტეფანე ნერსესოვი, აბრამ აკოფოვი, ანნა პავლოვა, ბაგრატ კარაპეტოვი, აკოფ შამირიანცი, კარაპეტ მაზკამიანცი, მიხაილ დავიდიანცი, ოვანეზ ელზეგოვი, სიმონ თერაპეტოვი, მიხეილ მახვილაძე, შალვა დგვიძე, შალვა ცირგამაძე, შაქრო პაპიაშვილი, სიკო სეხნიაშვილი.

შავ-მუშათა სექციიდან — ზაქრო მენჯიაშვილი, გიორგი ერისთავი, არტემ მაზლიშვილი, ელიგაშვილი, ზაქარია მესხიშვილი, არტემ ეგნოვი, ვლადიმერ ტრინკაშვილი, გიორგი ილაური, მაჭავარიანი, გიორგი ყაზარაძეილი, სტეფანიშვილი, ვლადიმერ კვინცაშვილი, გევორქოვი, ხაჩატუროვი, ერვანდ ალექოვი, გიორგი ნათიშვილი, მარიამ მარკაროვი, ისაკ ბადალიანცი, დათიკო თვაური.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

თათბირი სოციალური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ

დღეს, 27 აგვისტოს, დილის 9 საათზე, პროფსაბჭოს ახალ დარბაზში შესდგება თათბირი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. მაჩაიძე. თათბირს უნდა დაესწრონ საქ. კომპ. (ბ) თბ. ორგანიზაციის რაიკომების მდივნები, საორგანიზაციო განყოფილების გამგეები, აგიტპროპგანყოფილების გამგეები და აგრეთვე ყველა კავშირების ცენტრალური გამგეობების თავმჯდომარეები, დირექტორები, უჯრედების მდივნები და ფაბქარხკომების წარმომადგენლები (კომუნისტები) ქვემო - ჩამოთვლილი წარმოებებიდან და დაწესებულებებიდან დაუგვიანებლივ: მთავარ სახელოსნოებიდან, დეპოდან, ტრამვაიდან, „26“ კომუნართა სახ. ქარხნიდან, № 2 თუთუნის ფაბრიკიდან („პროლეტარი“), რკინის გზის გამგეობიდან, მოძრაობის დარგიდან, ტყავის ქარხნიდან, არსენალიდან, აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკიდან, „მაილომას“-იდან, ფეხსაცმელების ფაბრ.-დან, მილიციიდან, ამ.-კავკ. სახ. ვაჭრობიდან, ამ.-კავკ. ფინსახკომიდან, თბ. აღმასკომიდან, ლიტოგრაფიიდან, მე-5 სტამბიდან, „ზარია ვოსტოკას“ სტამბიდან, „თემზა“-დან, ზაკავტოპრომტორგიდან, კოლოფების ფაბრიკიდან და სახკინმრეწვიდან.

—.—

დღეს, 27 აგვისტოს საღამოს სრულ 6 საათზე, მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის ს. კ. პ. (ბ) გაერთიანებული კომუჯრედის სხდომა (სტ. კლუბის დარბაზში), დასწრება წევრთა და კანდიდატთა აუცილებელია დაუგვიანებლად.

საქ. კომპ. თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ 27 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე (სოლოლაკის ქ. № 7) შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

ოთხშაბათს, 28 აგვისტოს, დილის 8 საათზე, საქ. კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილება იწვევს თათბირს. ქვემო-დასახელებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: შავეროვა (ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილება), ანდრიაძე (თბ. კომიტეტის ქალთა განყოფილება), შერმანდინი (ლენინის რაიკომი), მელიქაძე (ქალაქის რაიკომი), მატინიანი (მესამე რაიკომი), კობახიძე (ცეკა), პელოზეროვი, ხოშტარია, ჰყონია, სიხარულიძე, გოგორიშვილი, მარკმანი, თალაკვაძე, ჩერქეზიშვილი, (საქ. პროფსაბჭო), მგელაძე, შიუკაშვილი (საქ. ცაკი), ქართველიშვილი (სარეწაო კოოპკავშირი), ერისთავი (მუშკოოპის გამგეობა), კაპანაძე (მიწადმოქმედების კომისარიატი).

ს. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტ. - საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 28 აგვისტოს, 12 საათზე, ბეჭდვითი განყოფილებაში ამხ. **კალანდაძესთან** უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ჟურნალების რედაქციების პასუხისმგებელი წარმომადგენლები: „პიონერი“, „ოქტომბრელი“, „საბჭოთა აღმშენებლობა“, „განათლების მუშაკი“, „ტეხნიკა და ცხოვრება“, „თანამედროვე მედიცინა“, „რემედასი“, „მოამბე“ (სახ. უნივერსიტეტ), „მუშგლეხკორი“, „საქ. „ეკონომისტი“, „ახალი სკოლისაკენ“, „მეტეოროლოგიური ბიულეტენი“, „ტროპიკული მედიცინა“, „ფიზკულტურა და თავდაცვა“, „მოამბე“ (საქ. მუზეუმი).

—:—

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. **სერგო ერქომაიშვილს** (ტგრო-ფაკულ. დაამთავრ.), ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ც. კ. აგიტპროპბეჭდ. განყოფილებაში (ოთახი № 19) ამხ. დ. კომახიძესთან.

თავზარდაცემულნი: დედა ანა, ძმები კოწია და ონისიმე ცოლშვილით, დები მარო, ბაბულია, მარგო უგულავა, სიძე ვლადიმერ შვილებით დავსტირით დაუვიწყარ

ბენია მათეს-ძე უგულავას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქუთაისში, 28 აგვისტოს, 5 საათზე, გოჭოურას სასაფლაოზე. ნ. 3143

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ბუქუჟა, სიდედრი მარო, ცოლისძმა ტოგო მეუღლით მარიკო შავიშვილები და კასინა ურუშაძე-კონტრიძისა აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს მათთვის საყვარელ

ასლან მიხეილის-ძე შონიას

უდროოდ გარდაცვალებას. 3001

დამწუხრებული მშობლები: ნატალია და მიხაკო შონიები, მეუღლე ბუქუჟა შავიშვილისა, ძმები: სანდრო, ფილიპე, სიმონი, ბესო და საშა; რძლები: ვარდო, ქსენია და ნატო თავისი შვილებით, სიდედრი მარო და ცოლისძმა ტოგო შავიშვილი მეუღლით იუწყებიან მარად დაუვიწყარ

ასლან მიხეილის-ძე შონიას

ტრაღიკულად დაღუპვას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, სამშაბათს, სად. 7 საათზე. განსვენებულის ბინაში ბელინსკის ქ. № 2, შესავალი ეზოდან. 3007

გულდათუთქული და გამწარებულნი: დედა ტასო, და აგრაფენა და ძმა პოლიკარპე დოლიძეები შვილებით: დორა, ფილიპე და ვანო აუწყებენ ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 23 აგვისტოს, ქ. ბორჯომში გარდაიცვალა უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტის სტუდენტი

ქეთო სიმონის ასული დოლიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. თბილისში ვერის ახალ სასაფლაოზე ა. წ. 27 აგვისტოს, 4 საათზე, გამოსვენება ბინიდან ყოფ., სენიას ქ. № 9.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 23 აგვისტოს გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი

ქ ე თ ო

რასაც მწუხარებით აუწყებენ კოლექტორის მუშა-მოსამსახურეები. 2999

ვალოდია სიხარულიძე, თალიკო ზამბახიძე, შალიკო, ვასო, ჟენია და თინა გოგოლაძეები, ალექსანდრე, კოლია, ოლღა, კატუშა და ციცინო დოლიძეები და თამარა წულაია ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ დაუვიწყარ ამხანაგის და მეგობრის

ქეთო დოლიძის

უდროოდ დაკარგვის გამო. ნ. 3142

დამწუხრებულნი: დედა სონია, მამა გოგი ჩარკვიანები, ბიძები: ნოე, გიორგი და დათიკო, ბებია და ბაბუა მაშიკო და სერგო მელქაძეები, დეიდა მარგარიტა ცერცვაძისა ქმარშვილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

პატარა რეზიკო

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, ა. წ. 27 აგვისტოს, გამოსვენება—საკირის ქუჩა № 11, 5 საათზე. 3005

გაუბედურებული მეუღლე გიორგი, მაზლი გაბრიელ, რძალი ელისაბედი შვილებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი და იშვიათი ადამიანის

ნინო იოსების ასული იაკობიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, გამოსვენება ბათომის ქ. № 30, 3 საათზე. 3009

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ელენე, და ნორა, ძმები ივანე, დავით, ალიოშა, რძალი ანიჩკა ყუფარაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის

სამსონ სოლომონის-ძე ყუფარაძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ქუთაისში, 27 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, საკირის ქუჩა, № 3. ნ. 3143

დამწუხრებული დედა წისა (პარასკევა), მამა არხიპო, დათიკო და ძმა შურა ლომაიები, ბებია კეკელა და დეიდები წოწო და ოლია ჯოლოგუები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გ ო გ ო ჩ კ ა ს ი

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ჩაქვში, სამშაბათს, 27 აგვისტოს. 2991

გულმოკლულნი ბებია კეკელა, დეიდები: გლაფირა და ოლია, ბიძები სერგო, დათიკო ჯოლოგუები, და ქსენია ხვიჩია და დეიდა ნინო ხოფერიასი ქმარ-შვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს მათი საყვარელ ლამაზ გოგონას

გოგოჩკა ლომაიას

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ჩაქვში, სამშაბათს, 27 აგვისტოს. ნ. 3147

გაუბედურებული ცოლი ვერა, შვილი ვალიკო, დედა პელაგია, ძმები გიორგი და ვახტანგი, რძალი პელო და ძმისშვილები ლადო და ნინა იუწყებიან, რომ 24 აგვისტოს, ქობულეთში ტრაღიკულად დაიღუპა

ნიკო ივანეს-ძე კურდოვი

გამოსვენება 28 აგვისტოს, 4 საათზე ბინიდან, რუსთ. ქ. სახლი № 3 (ლენინის რაიონი) დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ს)

გაუბედურებული დედა ნინო, ძმები: ლადო მეუღლე ანიკოთი, საშა მეუღლე ანათი, ირაკლი მეუღლე ბაბოთი, ნიკოლოზი, ვახტანგი და დავით აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 25 აგვისტოს ტრაღიკულად დაიღუპა, მე-8 შრომის სკოლის მოწაფე, მარად დაუვიწყარი

გოგი (ქოცო) ყანჩელი

გამოსვენება 27 აგვისტოს 4 საათზე, ბინიდან პრიუტის ქუჩა, ტყის აღმართი № 6, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3008

ლადო მიხეილის-ძე ყანჩელი მეუღლი ანიკოთი ულრმესი მწუხარებით იუწყება თავის პატარა ძმის

გ ო გ ი ს

ტრაღიკულად დაღუპვას. 3008

იოსებ იმედაშვილი შვილებით: შალვა, გაიოზ, თამარ, ქეთევან, ნინო და ფარნაოზი მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელ

გოგი (ქოცო) ყანჩელის

ტრაღიკულად დაღუპვას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე პრიუტის ქუჩა, ტყის აღმართი, № 6, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3008

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო დარბაზის (ბაღში)	საზღვარგარეთელი კომედია **რადიო და ლომი** ფილის ხევერის და ჯეკ დეფფის მონაწილეობით
საზაფხულო ეთერი	**3 ოთახი სამზარეულოთი** პროგრამის დამატებით—ჟურნალი სოვკინო
საზაფხულო პალასი	მონტი ბენკსი სურათში **მფრინავი ბედნიერება**

მალე: „მიწა გვექახის“ და „სევილი“

0—21

გაზ. „კომუნისტი“-ს

გამომცემლობა ამით აცხადებს

წლიური („კაპიტალი“-ს დამატებით)

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

რომ ა. წ. 1-ლ სექტემბრამდის მათ გადახდილი უნდა ჰქონდეთ ცალზე **14 მანეთი**, ვისაც ხსენებულ რიცხვისთვის 14 მანეთი სრულად არ ექნება გადახდილი, ამ რიცხვიდან მათ შეუწყდება გაზეთების გზავნა. მათი წლიური ხელისმოწერა გაუქმებული იქნება და შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული.

პროვინციის ხელისმომწერლებმა ფული უნდა გადმოგზავნონ იმ ვარაუდით, რომ იგი მიღებული იქნეს 1-ლ სექტემბრისათვის. 0—4

გაზ. „კომუნისტი“-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზეთის ქაღალდის ეკონომიის გამო, თვის პირველ რიცხვებში გაზეთის ზედმეტი კომპლექტი არ იბეჭდება, რისთვისაც გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს, აგენტებს და კონტრაგენტებს, ხელის მოწერა მომავალი თვისათვის მოგვაწოდონ აუცილებლივ მიმდინარე თვის 30-მდე.

დაგვიანებით მიღებული შეკვეთები შესრულებული იქნება მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც მიღებული იქნება შეკვეთა.

ხელის მოწერის დღეს გაზეთი არ მიეცემა. 0—4

აფხაზეთის ხელისმომწერთა საყურადღებოდ

პირველი აგვისტოდან ჩვენ შევწყვიტეთ აფხაზეთის ხელისმომწერთათვის გაზეთის გზავნა, „საბჭოთა აფხაზეთის“ კანტორის მიზეზით, რადგან აღნიშნულმა კანტორამ, რომელიც ავრცელებს ჩვენს გაზეთს აფხაზეთში, არა თუ შეთანხმებულ ვადაში, არამედ დღემდეც არ გადმოგვიგზავნა ხელის მოწერისგან შეკრებილი ფული. ამ ფულის მიღებისთანავე, ჩვენ დავიწყებთ გაზეთების გზავნას. იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც ხსენებული მიზეზით დააკლდათ გაზეთის ნომრები, საკომპენსაციოთ გაუგრძელდებათ გაზეთის გზავნა ხელისმოწერის ვადის გათავების შემდეგ იმდენი დღით, რამდენითაც მათ არ ექნებათ მიღებული ის ამჟამად შექმნილ მდგომარეობის გამო.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი კომისია

აცნობებს კოლექტივების ყველა თანამშრომელს, რომ **სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება შრომის სახალხო კომისარიატის კოლექტივების შტატის თანამშრომელთა წმენდა.**

ვთხოვთ კოლექტივების ყველა მუშაკს, ვისაც აქვს განცხადება რომელიმე თანამშრომლის წინააღმდეგ, შეიტანოს გაერთიანებულ კოლექტივთა სამმართველოს ქვე-კომისიაში, ვოლოდარსკის ქ., № 3, ან შრომის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებაში.

საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი კომისია.

4—3 ნ. 3134

Судисполнитель Нарсуда 2 района Тифлиса ПОТЕМКОВСКИЙ

Об'являет, что 30 августа 1929 г., в 11 час. дня в доме № 6 по улице Коминтерна, им будет продаваться с 1-го публичного торга следующее имущество Каролины Леонтьевны Лот: 1) обстановка кондитерской: столы, табуретки, стулья, стойка, выставочные шкафы, стенные шкафы, люстра и пр., 2) домашнее имущество: туалетное зеркало с мраморным столом, 2 шкафа бельевой и платяной, стол письменный, книжный шкаф, 4 круглых стола, диван, этажерка, оцененная для продажи в 979 рублей, на удовлетворение прегензий Леона Матинова, Якова Сафарова, Хорена Мецоняна, Тифгорисполкома и др. 2995

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე კერძო სავაჭრო - სამრეწველო მეპატრონეთა და სარეწავი საქმიანობის მწარმოებელ პირთა საყურადღებოდ, რომ უკანასკნელი ვადა სარეგისტრაციო მოწმობის (წინანდელი სარეწავი პატენტის მაგიერ) აღებისათვის დაწესებულია ა.-წ. 15 სექტემბერი, ამიტომ სარეწავი გადასახადის გადამხდელებმა უნდა შეეცადონ აიღონ მოწმობები და შეიტანონ პირველი ავანსი ა.-წ. 1 სექტემბრიდან. ამ ვადაშივე ევალებათ შეიძინონ მოწმობები სარეწავი საქმიანობის მწარმოებელ პირებს, რომელნიც იხდიან სარეწავ გადასახადს მაგარი განაკვეთების მიხედვით.

ის პირნი, რომლებიც იბეგრებიან ბრუნვასთან პროცენტული შეფარდებით, იხდიან პიველ ავანსს საგადასახადო ორგანოების უწყებებით. წარმოების პატრონი, რომელიც არ მიიღებს უწყებას პირველ სექტემბრისათვის, ვალდებული არის მიმართოს მის მისაღებად თბილისში — გადასახადების ამკრეფ განყოფილებას (ყოფ. ხაზინის ქუჩა № 3), მაზრებში — აღმასკომის საფინანსო განყოფილებას და ავტონომიურ რესპუბლიკებში—ფინრწმუნებულის საგადასახადო განყოფილებას.

სარეგისტრაციო მოწმობების მისაღებად აღნიშნულმა გადამხდელებმა უნდა შეავსონ განცხადების ბლანკები (ფ. № 1) ორ ცალად (ცენტრში დასაბეჭდ წარმოებებმა სამ ცალად) და წარუდგინონ ასეთი პ.-გ. ინსპექტორს ვიზისათვის. ამ განცხადებაზე უნდა იქნეს გადახდილი 2 მანეთის საოირბო მარკები. ვიზადასმული განცხადებები უწყებებთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი სახელმწიფო ბანკის სალაროში სარეგისტრაციო მოწმობის მისაღებად.

პირადი სარეწავი საქმიანობის მიმდევარნი პირნი ავსებენ განცხადების ბლანკებს (ფ. № 3) და უდგენენ პ.-გ. ინსპექტორებს ვიზისათვის. შემდეგ შეაქვთ ასეთი სახბანკის სალაროში სარეგისტრაციო მოწმობის მისაღებად. ეს განცხადებანი თავისუფალია სადერბო გამოსაღებისაგან.

ის პირნი, რომლებიც არ აიღებენ სარეგისტრაციო მოწმობებს 15 სექტემბრამდე დაჯარიმდებიან თანახმად სარეწავი გასახადის დებულებისა, ხოლო მათი საწარმონი იქნება დაბეჭდილი. ცნობების და ბლანკების მიიღებისათვის გადამხდელებმა უნდა მიმართონ პ.-გ. ინსპექტორების კანცელარიებში.

საქ. ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე—**მესხი**

ნ. 3161 საგადასახადო სამმართველოს უფროსი—**ბეჟირგანიშვილი**

სააქციო საზოგადოება „მეტალოსკლად“-ი

(თბილისი, თივის მოედანი № 80)

1929 წლის 4 სექტემბერს დღის 12 საათისთვის დახურულ პაკეტებში აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

დიდუბეში, „ხლებოპროდუქტ“-ის გვერდით მდებარე და საწყობის ასაგებად დანიშნული ნაკვეთი მიწის დაგეგმვისა და ხის ღობით შემოკავებისათვის საჭირო სამუშაოებზე.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, როგორც კერძო პირს, ისე ორგანიზაციას, რომელიც საწინდრად წარმოადგენს განცხადებული თანხის 10 პროცენტს, ან კანონიერ საბუთს, რომ თავისუფალია ასეთისაგან.

ნახაზების, პირობების და კონდიციების გაცნობა შეიძლება „მეტალოსკლად“-ის კანტორაში ზემოხსენებული მისამართით, ყოველდღე დილის 10-დან 1 საათამდე.

დახურული პაკეტი განცხადებული ფასით და იმ საბუთების დართვით, რომლებიც დაამოწმებენ განმცხადებლის პიროვნებას და 10 პროცენტის შეტანის ან ასეთისაგან განთავისუფლებას, უნდა გაიგზავნოს ზემოაღნიშნული მისამართით სავაჭრო კომისიის სახ ლზე.

მეორე დღეს 1929 წლის 5 სექტემბერს მოხდება ხელახალი ვაჭრობა, რომელზედაც შეიძლება როგორც წერილობითი, ისე ზეპირი განცხადების წარდგენა.

ნ. 3145 **მეტალოსკლადი**

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს)“ პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.

253325—15

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, სად. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67 25—1.

ქ. ქობულეთში

გავშვების ექიმი

ალ. მაღალაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე. მესხეთის ქ. № 14. 2838 25 | 1

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი („914“ შეშხაპ.) **ვენერიული** (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და **კანის** სნეულება.

მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. სად. 8—9 საათ.

მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.

2984 25—1

პროფ.

სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდება 1 სექტემბერს, მიღება სად. 6—7 ს. ვარდისუბნის ქ. № 9.

13—1 2987

პ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და სად. 5-დან 8 საათამდე ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

გ. მ. ფხალაძე

სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და **კანის სნეულებანი.**

მიღება: { დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები

მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).

25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, **ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა,** ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. სად.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი

მ. გ. შახნაზაროვი

სპეციალურად

სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი

ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

დასკვნითი ბალანსი

საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოსი

1929 წლ. 1-ლ იანვრისათვის

აქტივი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
I. ქონება		
1. შენობანი და ნაგებობანი	6.127.518-48	
2. მანქანები და ტეხნიკ მოწყობილობა	440.449-11	
3. სამეურნეო, სამედიცინო და ცოცხ. ინვენტ.	826.003 81	
4. ტრანსპორტი	34.248-05	7.428.219-45
II. დაუსრულებელი შენობები და კაპიტ. რემონტი	—	435.655-94
III. მასალები:		
1. ძირითადი	670.036-28	
2. საწვავი	16.711-88	
3. დამხმარე	38.124-47	
4. სარემონტო სააღმშენებლო	257.988-42	
5. გზაში	15.499-83	1.342.360-88
IV. საქონელი და მზა ნაწარმი		845.881-59
V. ფულადი საშუალებანი		
სალარო და მიმდინარე ანგარიშები	—	8.875-75
VI. ფასიანი და სარგებლ. ქაღალდ. აქც. და პაიები	—	46.057-82
VII. სამისაღებო თამასუქები და დოკუმენტები:		
1. მიღებული თამასუქები პორთფელში	56.601-49	
2. „ „ დახურდ. ბანკებში	328.918-13	
3. „ „ გადაცემ. საკომის.	5.619-34	
4. ფასნადებები.	2.270-01	393.408-97
VIII. საქვე-ანგარიშო თანხები	—	72.452-23
IX. დებიტორები:		
1. მუშა-მოსამსახურენი	19.804-35	
2. მომწოდებ. და მოიჯარადრენი	134.378-39	
3. მყიდველები	200.270-20	
4. სხვადასხვა დებიტორები	213.285-89	
5. საეჭვო დებიტორები	10.738-16	578.476-99
X, ხარჯები 1929 წლის	—	12.675-41
		11.163.065-0
ურთი-ერთი ანგარ. სამმართვ. კურ. და ქარხნ.	—	2.779.058-74
ბალანსი..	—	13.942.123-75

პასივი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
I. თანხები:		
1. საწესდებო (ძირითადი და საბრუნავი)	5.875.602-18	
2. საამორტიზაციო	292.531-73	
3. სათადარიგო	202. 55-92	
4. საკურორტო აღმშენებლ. და გაუმჯობესებ.	622.425-11	6.993.114-94
II. ფონდები და რეზერვები:		
1. მუშა-მოსამსახ. ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებ. ფონდი	100.817-49	
2. მუშათა გამომგონ. წასაქეზებ. ფონდი	845-26	
3. საეჭვო დავალიან. რეზერვი	9.542-26	111.205-01
III დებიტორები	—	1.092.259-68
IV. სესხი და კრედიტები:		
1. გრძელ-ვადიანი სამიზნო და მთავრ. სესხი	510.170-21	
2, სპეც, მიმდინარე ანგარ. ბანკებში	620.450-42	1.130.620-63
V. ვალდებულებანი ბანკებში დახურდ. თამასუქებით.	—	328.918-13
VI. გაცემული თამასუქები	—	612.467-99
VII. კრედიტორები:		
1. მუშა-მოსამსახურენი	45.822-15	
2. მოიჯარადრენი და მომწოდებელნი	161.649-24	
3. მყიდველები	28.796-26	
4. სხვადასხვა კრედიტორები	274.180-46	510.448-11
VIII. შემოსავალი 1929 წლ.	—	773-37
IX. მოგება 1928 წლ.	—	383.257-15
	—	11.163.065-10
ურთი-ერთი ანგარ. კურ. და ქარხნ. სამმ-სთან	—	2.779.058-74
ბალანსი..	—	13.942.123-75

მოგება-ზარალის ანგარიში

დებეტი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
კურორტების და სატყეობის საერთო ამდინისტრატიული და სამეურნეო ხარჯები	1.135.400-21	
შენობების და ანაგებების დაანგრების შენახვა	328.967-65	
სხვა ხარჯები	539.702-82	
საქონელი და მასალების დანაკლისი	34.577-98	
სავაჭრო ხარჯები	198.421-65	
გაცემული % % და კომისია	111.397-82	
ქარხნების გაჩერების და სხვა ზარალი	48.367-73	2.396.835-56
მოგება	— —	383-257-14
ბალანსი		2.780.093-01

კრედიტი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
კურორტების და სატყეობის შემოსავალი	1.997.682-71	
ზედმეტი აღმოჩენილი საქონელი და მასალები	34.891-28	
მოგება საქონლის გაყიდვით	694.076-02	
მიღებული %% და კომისია	31.346-39	
სხვა შემოსავალი	22.096-61	2.780.093-01
ბალანსი		2.780.093-01

მ ო გ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

3% პროფესიონალურ სატეხნ. განათლ. ფონდში	11.497-71	
10% (ნაშთიდან 371.759-44) მუშა-მოსამსახურეთა ყოფ.-ცხ. გასაუმჯ. ფონდში	37.175-94	
0,25 მუშათა გამომგონ. წასაქეზებ. ფონდში	929-39	
86,75 კურორტთა აღმშენებლ. და გასაუმჯობესებელ ფონდში	333.654-11	383.257-15

აღნიშნული ბალანსი დამტკიცებულია ა/წ. 13 მაისიდან, ოქმი № 4. წლიური ანგარიშების გამხილველ საუწყებათა შორისო კომისიის მიერ.

კომისიის თავმჯდომარე საქ. მუშ. და გლეხთა ინსპექც. კოლეგიის წევრი ამხ. **რასულ-ზადე.**

საქ. ს. კ. მოადგ. და კურ. მთ. სამმართველოს უფროსი **მამალაძე.**

მთავარი ბუჰღალტერი **ჭუმბაძე.**

დაიკარგა კომ. კავშირის მანდატი № 7721 თამარა სანოძის სახელზე, ჩ. გ. 2993

დაიკარგა: პურის წიგნაკი სიმონ ჭკუასელის **სახელზე, ჩ. გ.** 2993

დაიკარგა მედშემადგენლობის სამხედრო ბილეთი № 87/60 ექ. ტ. ო. ნიკოლაიშვილის სახელზე, **ჩ. გ.** 2992

დაიკარგა: საწევრო წიგნაკი გაცემული ბანძის მომხმარებელ საზოგადოება (ეპოსაგან) № 34/485 ანდრო ბაშინას-ძე კინტირაიას სახელზე, ჩ. გ. 2994

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი ირაკლი ქაქუჩიას სახელზე, ჩ. გ. 2996

დაიკარგა: სამხედრო სამსახურის წიგნაკი № 1228 გაცემული ნოქალაქევის რაისამხედრო მაგიდის მიერ იაკობი დიმიტრის-ძე ჩიტაიას სახელზე, ჩ. გ. 2994

დაიკარგა. გლეხკომის წიგნაკი № 578 გაცემული დიდი-ჯიხაიშის გლეხკომ-ს მიერ პეტრე ოტიას-ძე კახაძის **სახელზე ჩ. გ.** 2994

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 27 და სიღარიბის მოწმობა № 28 დომენტი ესტატეს-ძე თავაძეს სახელზე, ჩ. გ. 3004

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 28275 თამარ მიხეილის ასული ფალავანდიშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 3006

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 91 ელენე თომას ასული კობიძის **სახელზე, ჩ. გ.** 2996

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო მოწმობა № 7/7 ლეონიდე ნესტორის-ძე ჟღენტის **სახელზე, ჩ. გ.** 2996

დაიკარგა „ზაკტპო“-ს წიგნაკი № 76190 მაქსიმე ხვედელიანის სახელზე, ჩ. გ. 2996

დაიკარგა. კავშირის წიგნაკი ვარლამ გედევანის-ძე ფერაძეს სახელზე, ჩ. გ. 3000

დაიკარგა: ზაკტპოს საწევრო წიგნაკი პეტრე თოფურიძის სახელზე, ჩ. გ. 3004

დაიკარგა: კოოპერატივის წიგნაკი № 803 გიგუცა ლოლაძეს სახელზე, ჩ. გ. 2996

დაიკარგა: ეკონ მდგომარ. მოწმობა № 2196, საარჩევნო ხმის უფლების № 2197, წლოვანების № 2198 სასოფლო სამეურნეო გადასახადის № 2199, ბანძის თემაღმასკომის მიერ გაცემული და მოწმობები: ჯანმრთელობის № 510, ყვავილის აცრის № 564 გაცემული ბანძის საბჭოთა საავადმყოფოს მიერ ალექსანდრე კეკელიას **სახელზე, ჩ. გ.** 2994

დაიკარგა: შეუვსებელი ოთხი ცალი თამასუქები: ამათში 1—ცალი 1000 მან., ხოლო 3—ცალი ხუთას ხუთას მანეთიანი ლავროსა კაკაბაძეს და ამბაკო ჯანაშიას **სახელზე, ჩ. გ.** 3002

თანახმად სრ. საქ. საბჭ. აღმასრ. კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 12 1925 წ. 13 მარტის თარიღით ვაცხადებთ, რომ დიდი ჭყონის თემის მცხ ალექსანდრე ბახვას ძე თოდუა-კილასონიამ თავისი ოჯახის წევრები—ცოლი ოლღა და შვილები: ნუცა, ლუბა და ვალიკოთურთ გამოიცვალეს თავისი წინანდელი გვარი თოდუა-კილასონია ანჯაფარიძეებად. 2997

დაიკარგა: ცხრაწლედის მოწმობა ივანე კიკალეიშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 2996

დაიკარგა: ზუგდიდის მაზრის მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 32517 შილა მალანიას **სახელზე, ჩ. გ.** 2994

ტირაჟი—45.323

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.